



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი 1979

## შ 0 6 ა ა რ ს 0

მოხილვა დილის ქვეყნისა	5
პერმან პესეს მოგზაურობა ხატებისა და ამბების მიღმა (რ. ყარალაშვილი)	99
შენიშვნები	127

I

რაკი ბედმა მარგუნა ესოდენ დიდი ამ-  
ბების მომსწრე ვყოფილაყავი, რაკი წილად მხვდა  
ბედნიერება, „ძმობის“ წევრი და იმ არნახული  
მოგზაურობის მონაწილე გავმხდარიყავა, მეტეო-  
რივით ასე სასწაულებრივ რომ გაიელვა და ასევე  
გასაოცრად მალე მიეცა დავიწყებას, დავიწყებას  
კი არა-და, — სახელიც გაუტყდა, გადავწყვიტე, გა-  
მებედა და მოკლედ აღმეწერა ეს მოგზაურობა,  
რამეთუ ჰიუონისა და შმაგი როლანდის დროიდან  
მოყოლებული, ჩვენს უცნაურ, უბადრუკ, უსასოო  
და მაინც ესოდენ ნაყოფიერ დრომდე, რაც ეს  
დიდი ომი დამთავრდა, იმგვარი მოგზაურობა არც  
გაუბედავს ვინმე კაცთაგანს. ვიცი, რა ძნელი საქ-  
მეც ვიკასრე, ვიცი, რაოდენი დაბრკოლება შემ-  
ხვდება გადასალახი, ვიცი ისიც, რომ ეს დაბრ-  
კოლებანი მარტო ჩემზე არაა დამკიდებული;

მაგრამ ახეც რომ არ ყოფილიყო, საქმეს მანც  
არაფერი ეშველებოდა. არც საბუთი, არც დღიური  
და არც სხვა რამ სამახსოვრო არ დამრჩენია იმ  
მოგზაურობისა, თანაც გასაჭირისა და ავადმყო-  
ფობის მძიმე წლებში მოგონებების დიდი ნაწი-  
ლაც შემომეფანტა. აქეთ კიდევ, ბედის სიმუხო-  
ლის წყალობით ზედიზედ ნაწვნევმა გულაცრუე-  
ბამ მესსიერება ხომ შემისუსტა, ამასთან ნდობაც  
დამიკარგა აქამდე ესოდენ ერთგული მესსიერე-  
ბისა. თუმცა საკუთრივ ამ ჩემს გასაჭირზე რომ  
არაფერი ვთქვათ, ძმობის წინაშე ჩემა ოდინდელი  
აღთქმაც მიკრავს ხელ-ფეხს, ვინაიდან ეს აღთქ-  
მა ნებას კი მრთავს საკუთარი განცდები ჩემს ნე-  
ბისად გადმოვცე, მაგრამ მიკრძალავს ძმობის ყო-  
ველგვარი საიდუმლოებანა გავამჟღავნო. და თუმ-  
ცალა აგერ უკვე რამდენი წელია თითქმის აღარა-  
ფერი მესმის ძმობის შესახებ და არც მის წევრ-  
თაგან შემხვედრია ვინმე, მაინც ამქვეყნად ვერა-  
ცდუნება და ვერა მუქარა ვერ მაიძულებს გავ-  
ტეხო აღთქმა. პირიქით, დღეს ან ხვალ რომელი-  
მე სამხედრო სასამართლომ არჩევანის წინაშე  
რომ დამაყენოს, — ან მოგკლავთ, ანდა ძმობის საი-  
დუმლოება გათქვიო, ჰოი, რა დიდი სიხარულით  
მოვკვდებოდი და ძმობის წინაშე დადებულ აღთქ-  
მას კი არ ვუღალატებდი!

სხვათა შორის, აქვე უნდა მოგახსენოთ: გრაფ  
კაიზერლინგის „მოგზაურობის დღიურის“ შემდეგ  
რამდენიმე სხვა წიგნიც გამოიცა, რომელთა ავტო-  
რებმა ნაწილობრივ შეუცნობლად და ნაწილობრივ  
შეგნებულად ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თით-

ქოხდა ისინი ძმობის წევრები ყოფილიყვნენ და დი-  
ლის ქვეყანაში ემოგზაუროთ. თვით ოსენდოვსკის  
სათავეადასავლო მოგზაურობის ჩანაწერებსაც კი  
ხვდა წილად მისთანა ეჭვი, მაგრამ არც ერთს არა-  
ფერი პქონდა საერთო არც ძმობასა და არც დი-  
ლის ქვეყანაში ჩვენს მგზავრობასთან, ყოველ შე-  
მთხვევაში — ამაზე მეტი არა, პატარა პიეტისტუ-  
რი სექტების მქადაგებლებს რომ აქვთ მაცხოვარ-  
სა, მოციქულებსა თუ სულიწმიდასთან, რომელთა  
საგანგებო წყალობასა და თანაწევრობასაც ისინი  
იჩემებენ. გრაფ კაიშერლინგს რომ მართლაც არ-  
ხეინად და ბატონკაცურად ემოგზაურა დედამიწის  
ირგვლივ, ხოლო ოსენდოვსკის მართლაც ყოველი  
მხრით გადაესერა აღწერილი ქვეყნები, ეს მოგზა-  
ურობანი მაინც არ ჩაითვლებოდა დიდ სასწაუ-  
ლად, ვინაიდან მათ ახალი მხარეები არ აღმოუ-  
ჩენიათ. ჩვენმა ცალკეულმა ჯგუფებმა კი, დილის  
ქვეყანა რომ მოილოცეს, თუმცა უარი თქვეს თა-  
ნამედროვე მოგზაურობის ისეთ ჩვეულებრივ სა-  
შუალებებზე, როგორიცაა რკანიგზა, გემი, ტელე-  
გრაფი, ავტომობილი, თვითმფრინავი თუ სხვა,  
მაინც გააღწიეს ჰეროიკულსა და გრძნეულ მხა-  
რეებში. იმხანად ხომ ჯერაც დიდი დრო არ აყო  
გასული მსოფლიო ომის შემდეგ და დამარცხებულ  
ხალხთა გრძნობა და ფიქრი არარეალურობის უჩ-  
ვეულო განცდამ შეიძყრო, ისინი მზად აყვნენ  
რაღაც ზერეალური მოემოქმედათ, თუმცა სინამ-  
დვილეში მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოხერხ-  
და საზღვრის გადალახვა და მომავალი ფსიქო-  
კრატიას საბრძანისში შეღწევა. ჩვენი იმდროინ-

დელი მგზავრობა მთვარის ზღვაზე, ფამაგუსტას. კენ რომ მივდიოდით ალბერტუს დიდის მეთაურობით, ანდა ფარვანების კუნძულის აღმოჩენა, თორმეტი ხაზით რომაა დაშორებული ცაპანგუს, ანდა ძმობის დიდებული ზეიმი რიუდიგერის საფლავთან—გახლავთ ის საქმენი, რომელთა ქმნა და განცდა ჩვენი დროას ადამიანს მხოლოდ ამ ერთ-ხელ ხვდა წილად.

როგორც ვხედავ, უკვე აქ წავაწყდი ერთ-ერთ ფრიად დიდ დაბრკოლებას. ალბათ ძნელი არ იქნებოდა იმ მხარეთა ჩვენება, სადაც ვიღვწოდით, იმ სულიერი განცდის წარმოჩენა, რაც ჩვენს საქმეთ ასულდგმულებდა, ნება რომ მქონოდა მკითხველისთვის გამენდო ძმობის წმიდათაწმიდა საიდუმლოება, ურომლისოდაც ალბათ მრავალი რამ, ვინ იცის, იქნებ ყველაფერიც დაუჯერებლად მოეჩვენოს და აღუქმელი დარჩეს. მაგრამ კაცს გული უნდა ერჩოდეს იმაზე, რაც პარადოქსადაა მიჩნეული, მისდათავად შეუძლებელს კიდევ და კიდევ შეეჭიდოს ხელახლა. მე ვეთანხმები ზიდჰართას, ჩვენს აღმოსავლელ ბრძენ მეგობარს, რომელმაც ერთხელ თქვა: „სიტყვები ფარულ აზრს არას არგებენ; რა წამსაც ვიტყვით, ყოველივე უმალ იცვლება, თითქოს ყალბდება, თითქოს სასაცილოდ ისმის კიდეც“. დიახ, ესეც სწორია, ამასაც ვეთანხმები. რასაც ერთი ადამიანი თავის განძად და სიბრძნედ მიიჩნევს, ის მეორესთვის ყოველთვის სასაცილოდ უღერს. ჩვენი ძმობის წევრებმაც და უამთაღმწერლებმაც ჯერ კიდევ მრავალი და მრავალი საუკუნის წინ იწვნიეს ეს

სიძნელე და მედგრადაც შეებრძოლნენ მას. ერთ-მა მათგანმა კი, ერთ-ერთმა დიდებულთაგანმა, უკვდავი ლექსით გამოთქვა თავისი აზრი:

ვინც შორ ქვეყნებში მოგზაურობს, ის მრავალ რამეს,  
არარსებული რომ ეგონა, ისეთსაც ნახავს.  
როცა ჩამოვა და მოყვება, თვისტომნი ლამის  
შეშლილად თვლიან, უწოდებენ ზღაპრების მჩხახავს.  
ხალხი ყველაფრის შეფასებას ნახულით ლამობს,  
რაც თავის თვალით არ უნახავს, სიცრუედ სახავს,  
და, რაკი ვიცი გამოუცდელ კაცთა ბუნება,  
ვგრძნობ, ჩემს სიმღერას ცოტა ვინმე თუ ერწმუნება\*.

სწორედ ამ „გამოუცდელ კაცთა ბუნების“ ბრალია, რომ ჩვენი მოგზაურობა, რამაც თავის დროზე ათასობით ადამიანი ესოდენ აღაფრთოვანა და ააღელვა, სადღეისოდ არათუ მივიწყებულ იქნა საზოგადოებრიობის მიერ, არამედ ხალხმა თავის ხსოვნაში ნამდვილი ტაბუც კი დაადო. თუმცა ისტორია მდიდარია მისთანა მაგალითებით. ხშირად კიდეც მგონია, მთელი მსოფლიო ისტორია სხვა რაა, თუ არა დასურათებული წიგნი, ადამიანის ყველაზე მძაფრ და ყველაზე ბრმა სურვილს — დავიწყების სურვილს რომ აირეკლავს. განა ყოველ მომდევნო თაობას აკრძალვის, მიჩქმალვის, დაცინვის საშუალებით სწორედ ის არ აღმოუფხვრია, რაც წინა თაობას ყველაზე მნიშვნელოვნად მიუჩნევია? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მთელმა ხალხებმა დაჰკმეს, შეაჩვენეს, დავიწყებას მისცეს და გრძნეული ძალით წაიშალეს ხსოვ-

\* ლექსები თარგმნა დ. წერედიანმა.

ნიდან ის ხანგრძლივი, საზარელი ომი, ხოლო, იგივე ხალხები ახლა, ცოტა სული რომ მოითქვეს, ომზე დაწერილი რომანებით ხელახლა ცდილობენ იმის გახსენებას, რაც რამდენიმე წლის წინ თვითონვე მოიმოქმედეს და რის წყალობითაც ამდენი განიცადეს? დადგება ჩვენი ძმობის საქმეთა და ტანჯვა-განსაცდელის ხელახლა გამოჩინების დღეც, თუმცა ეს ყოველივე სადღეისოდ მივიწყებულა ან არადა ქვეყნის სასაცილო შექმნილა; ეს ჩემი ჩანაწერებიც ამ საქმეში ცოტაოდენ წვლილს შეიტანს.

დილის ქვეყანაში ჩვენი მსხემობის სხვა თავისებურებათა შორის ერთი ასეთი პირობაც იყო: თუმცა ძმობა ამ მოგზაურობით სრულიად გარკვეულ და დიახაც ზენაარ მიზნებისკენ ისწრაფოდა. (ეს მიზნები საიდუმლო გახლავთ და ამდენად არც ითქმის), ყოველ მონაწილეს მოგზაურობის თავისი კერძო მიზანიც შეიძლება ჰქონოდა და უნდა ჰქონოდა კიდეც, ვინაიდან ძმობას არავინ მიჰყავდა ისე, თუ მისთანა კერძო მიზანი არ ამოძრავებდა. ასე რომ ყველა ჩვენგანს, თუმცა გარეგნულად თითქოს ერთ იდეალსა და მიზანს მივსდევდით და ერთი დროშის ქვეშ ვიბრძოდით, გულში მაინც ჩვენი ბავშვობის უგუნური ოცნება გვქონდა, ის გვაძლევდა შინაგან ძალას, ის იყო ჩვენი უკანასკნელი ნუგეში. ჩემი მიზანი, ძმობაში მიღების წინ უზენაესმა საყდარმა რომ გამოკითხა, სულ უბრალო რამ იყო, მაშინ როცა ძმობის სხვა წევრები ისეთ მიზნებს მისდევდნენ, რო-

მელთაც დიდ პატივს კი ვცემდი, მაგრავ პოლოგ-  
დე მაინც ვერ ვხვდებოდი და ვწვდებოდი. ერთი,  
მაგალითად, განძის მაძიებელი გახლდათ და გან-  
ძის მოპოვების გარდა, რასაც იგი „ტაოს“ ეძახდა,  
სხვა არაფერი ჰქონდა აზრად. მეორეს გულში ჩა-  
ედო — ესა და ეს გველი უნდა დავიჭიროო, ას  
გველს რაღაც გრძნეულ ძალას მიაწერდა და კუნ-  
დალინის უწოდებდა. ამის საპირისპიროდ, ჩემა  
მოგზაურობისა და თვით სიცოცხლის მიზანი ის  
იყო, რაც ბავშვობიდანვე სიზმრებსაც კი მიფო-  
რიაქებდა: მენახა მეფის პირმშვენერი ასული  
ფატმე და მღირსებოდა მისი სიყვარული.

იმ დროს, როდესაც გავბედნიერდი და ძმობას  
შევუერთდი, კერძოდ, დიდი ომის დამთავრების  
უმაღლ, ჩვენი ქვეყანა სავსე იყო მაცხოვართა, წი-  
ნასწარმეტყველთა და მოციქულთა ჯგუფებით;  
ყველა და ყოველი აეტანა სამყაროს დასასრულის  
წინათგრძნობასა ან თუნდაც მესამე იმპერიის დამ-  
ყარების იმედს. ომისგან თავზარდაცემულია გასა-  
ჭირითა და შიმშილით სასოწარკვეთილი, ამდენი  
სისხლის, ამდენი დოვლათის უაზრო შეწირვით  
დიდად გულგატებილი ჩვენი ხალხი იმ დროს  
მზად იყო ზიარებოდა ყოველ განუხორციელებელ  
ოცნებასა და ქიმერას, მაგრამ ამავე დროს მას  
სულის ჭეშმარიტი აღმაფრენის უნარიც ჰქონდა.  
სწორედ მაშინ შეიქმნა ბაკეანალიური საცეკვაო  
საზოგადოებანი და ანაბაპტისტური ყაიდის საბრ-  
ძოლო ჯგუფები, შეიქმნა ისიც და ესეც, თითქოს-  
და საიქიოსა და სასწაულისკენ მიმავალი გზის მი-  
მნიშნებელნი; ერთობ გავრცელდა იმ დროს ინ-

დური, ქველი სპარსული და სხვა ადმოსავდებური საიდუმლოებებისა და კულტებისადმი ლტოლვაც ამიტომაც იყო, რომ ჩვენი ძმობაც, ეს ქველთა-ძველი კრებული, უმრავლესობას ერთ-ერთ იმ მოდურ თაოსნობად მიაჩნდა, რომლის მსგავსი ბევრი წამოჩნდა უეცრივ ირგვლივ. ამიტომაც იყო, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ისიც ნაწილობრივ მივიწყებულ იქნა, ნაწილობრივ სახელიც გაუტყიდა და საყოველთაო ზიზღიც მოიმკა. ამას ვერც მისი ერთგული მიმდევრები უარყოფენ.

რაოდენ კარგად მახსოვს ის წუთი, როცა ჩემი გამოსაცდელი წლის დასასრულ უზენაესი საყდრის წინაშე წარვსდექი და მამა-მაუწყებელმა დილის ქვეყანაში მსხემობის გეგმა გამანდო; რა მონდომებით მივეც ჩემი სული და ხორცი მის სამსახურად. ამის შემდეგ მეგობრულად მკითხეს, ამ ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობიდან რას გამოელიო. გავწითლდი კია, მაგრამ მაინც გულახდილად და უყოყმანოდ ვამცნე შეკრებილ უხუცესთ ჩემი გულისთქმა: მინდოდა ჩემი თვალით მეხილა-მეთქი მეფის ასული ფატიმე. მამა-მაუწყებელმაც, თითქოსდა გადმომითარგმნაო განდობილ მამათა აზრი, კეფაზე დამადო თვისი კეთილი ხელი, მაკურთხა და თქვა ის სიტყვები, ჩემს ძმად შედგომას რომ განამტკიცებდა. „*Anima pia*“,\* მომართა და მომიწოდა ვყოფილიყავ ერთგული მორწმუნე, გასაჭირის დროს მამაცი, ძმობის მოსიყვარულე. მთელი ის გამოსაცდელი წელი გულ-

\* მონანიე სულო.

დაგულ ვემზადებოდი ამ წუთისთვის და კიდეც  
დავდე ფიცი, რომ განვერიდებოდი ამა სოფელს  
და მის კერპებს. ხოლო რა დავამთავრე, წამომაც-  
ვეს თითზე ძმობის ბეჭედი, რომელზეც ძმობის  
ისტორიის ერთ-ერთი უმშვენიერესი თავიდან  
ნასესხები სიტყვები იყო ამოჭრილი:

მიწის, პაერის, ცეცხლისა თუ წყლის ბინადარი  
ყოველი სული მის ბრძანებას ემორჩილება;  
შეხედავს ურჩხულს და ურჩხული შიშით ილევა,  
თვით ანტიქრისტე მის წინაშე თრთის და მზად არის,  
ზახქვეშ გაეგოს...

ჩემდა სასიხარულოდ, ხელთდასმისთანავე წი-  
ლად მერგო და დამადგა ნათელი, რის თაობაზეც  
გაფრთხილებულნი ვიყავით მორჩილები. ის იყო  
მივსდიე უხუცესთა მითითებას და შევუერთდი  
ერთ-ერთ ათეულს, რომელიც გზას გასდგომოდა  
უკვე ძმათა ქარავნის დასაწევად, რომ მყისვე ჩვე-  
ნი მგზავრობის ერთ-ერთ იდუმალებაზე ამეხილა  
თვალი და შევიცან: მართალია, დილის ქვეყნის  
მოსალოცად მავალთ შევუერთდი და ერთი თით-  
ქოსდა გარკვეული, განუმეორებელი მსხემობის მო-  
ნაწილე გავხდი, მაგრამ, სინამდვილეში, ჭეშმარი-  
ტი და ზენაარი გაგებით ეს მსვლელობა დილის  
ქვეყანაში მხოლოდ ჩემი და მხოლოდ ამ დროის  
მსვლელობა კი არ იყო, არამედ მორწმუნე-  
თა და თავდადებულთა ნაკადი ნათელისა და  
სასწაულის საზიარებლად მარად და შეუწყვე-  
ტლივ მიეღინებოდა აღმოსავლეთისკენ, სინათ-  
ლის ამ სამშობლოსკენ. მიეღინებოდა საუკუ-

ნეთა მანძილზე და თითოეული ჩვენთაგანი, თითოეული ჯგუფი, მოელი ლაშქარი და ჩვენ, დიდი ლაშქრობაც სამშობლოში დაბრუნებას მან წყურებულ სულთა მხოლოდ ერთი ტალღა იყო ამ მარადიული სწრაფვისა დილისაკენ, სამშობლოსაკენ. და გამსჭვალა ამ ჭეშმარიტებამ მთელი ჩემი არსება, ვით სხივმა ნათელმა, და მაშინვე აუღირო ჩემს გულში სიტყვა, მორჩილობის წლებში რომ შევისწავლე და მუდამ საოცრად მომწონდა, თუმცა მისი აზრი კარგად არც გამეგებოდა. ეს იყო პოეტი ნოვალისის სიტყვა: „განა საითკინ მივდივართ? მუდამ შინისკენ“.

ამასობაში ჩვენი ჯგუფი უკიდი გზას გაუდევ. ხშირად ვხედიბოდით სხვა ჯგუფებსაც და სულ უფრო და უფრო გვავსებდა ის მშვენიერი და ნეტარი გრძნობა, რომ ყველა ერთად კიყავით, რომ ყველას ერთი მიზანი გვამოძრავებდა. მითითებათა თანახმად ვჯეოვრობდით ისე, ვით სალოცავალ წასულთ მოეთხოვება და უარს გამბობდით ყველა იმ საშუალებაზე, ფულით, კიფრებითა და დროით შეშლილი ის ქვეყანა რომ გვთავაზობდა და ჯხოვრებას რომ ესოდენ განძარვავდა შინაარსისგან: უწინარეს ყოვლისა ეს გახლდათ მატარებელი. საბოლოო და სხვა მისოანა მანქანები. მუორე წესი. რასაც ყველანი ერთსულოვნად უიცავთით, მცნებად გვიდებდა, ეწევოდით ჩვენი ძმობის ძველობელ ისტორიასა და მის რწმენასთან დაკავშირებულ ყველა ღირსსახსოვანსა და ნეტარმოსავონარ ადგილს და პატივი მიგვიგო მათთვის. მოუნახულებელი არ დაგვიტოვებია არც ერთი ღვთი-

სგან კურთხეული ადგილი, ძეგლი, ეკლესია თუ ღირსი საფლავი, ყვავილებით შეგვიმკია საკურ-თხეველნი, საგალობლებითა თუ უტყვი ჭვრეტით მიგვიგია პატივი ძველ ნანგრევთათვის, მუსიკითა და ლოცვით მოგვიგონია მიცვალებულნი. ბევრჯერ ყოფილა, ურწმუნოთ ხელი შეუშლიათ ჩვენთვის და დაუცინიათ, მაგრამ ბევრჯერ მომხდარა: რო-მელიმე მოძღვარს დავულოცნივართ და სახლში მივუწევივართ. ისეც ყოფილა, აღფრთოვანებული ბავშვები დაგვხევევია, შეუსწავლიათ ჩვენი საგა-ლობლები და მერე ცრემლმორეულნი დაგვმშვი-დობებიან; ისიც მომხდარა, მოხუცებულ კაცს და-ვიწყებული წარსულის ძეგლი უჩვენებია ჩვენთვის ან მშობლიური მხარის რაიმე თქმულება უამბნია, ხოლო ყმაწვილკაცები გამოგვყოლიან ერთხანს და მერე ძმობაში მიგვიღეთო, უთხოვიათ. ამათთვის რჩევა მიგვიცია და მორჩილობის პირველი ჩვევანი და წესნი გვისწავლებია. მოხდა პირველი სასწაუ-ლებიც. აქედან ზოგი ჩვენი თვალით ვნახეთ, ზოგ-მაც ამბად თუ ლეგენდად მოაღწია ჩვენამდე. მე ჯერ სულ ახალბედა ვიყავი, როცა ერთ დღეს ვიღა-ცამ უცებ თქვა: ჩვენს წინამძღოლს ბუმბერაზი აგ-რამანტი ეწვიათ კარავში და იმაზე უნდა დაიყოლი-ოს, აფრიკაში გადავუხვიოთ და ძმობის რამდე-ნიმე წევრი მაგრთა ტყვეობიდან ვიხსნათო. მეორედ ვიღაცამ ქონდრისკაცი დაინახა, ვიღაცამ ფისკაცუ-ნასა და ნუგეშას მოჰკრა თვალი. ამიტომ იყო, ყვე-ლამ ასე ვიფიქრეთ, ცისფერი ქვაბისკენ გვიჭი-რავს-თქო გეზი. მაგრამ პირველი სასწაული, მე რომ ჩემი თვალით ვიხილე, შპაიპენდორფის

ოლქში მოგვევლინა, ერთ ნახევრადდანგრეულ სა-  
უამნოსთან, საღაც სალოცავად და დასასვენებლად  
შევჩირდით. საფამნოს ერთადერთ დაუზიანებლად  
გადარჩენილ კედელზე წმინდა ქრისტეფორეს  
უზარმაზარი ხატი იყო გამოსახული, უამთა მსვლე-  
ლობით თითქმის ფერგადასული ყრმა მაცხოვარი  
ესვა მხარზე. წინამძღვრებმა, როგორც ხდებოდა  
ხოლმე, პირდაპირ კი არ გვითხრეს, რა გზით უნ-  
და გვევლო, არამედ, რაკი საფამნო სამი გზის გა-  
საყარზე იდგა, ჯერ ჩვენ გვკითხეს აზრი, საით წა-  
ვიდეთო, და არჩევანიც ჩვენვე მოგვანდეს. მხო-  
ლოდ ზოგიერთმა გამოთქვა თავისი აზრი და სურ-  
ვილი, ერთმა კი ხელით მარცხნივ გვანიშნა და და-  
ბეჯითებით მოითხოვა, ის გზა ვარჩიოთო. ვიდრე  
ვდუმდით და წინამძღვართა გადაწყვეტილებას ვე-  
ლოდით, კედელზე გამოხატულმა წმინდა ქრისტე-  
ფორემ უცებ მაღლა ასწია თვისი ნაჩორქნი გრძე-  
ლი კვერთხი და იქით, მარცხნივ მიაპყრო, საითკე-  
ნაც ჩვენი ძმა მოგვიწოდებდა. ეს ყველამ დავინა-  
ხეთ, თუმცალა ხმა არავის გაგვიღია. ასევე უსიტყ-  
ვოდ და უხმოდ შემობრუნდნენ წინამძღვარნიც  
მარცხენა მხარეს და ამ გზას დაადგნენ, ჩვენც გა-  
ხარებულნი მივყევით უკან.

არც ისე დიდი ხანი იყო გასული, რაც შვაბიის  
გზებს ვადექით, რომ რაღაცა ძალამ მოგვნუსხა,  
რომლის ჟეგავლენას კარგა ხნის განმავლობაში  
ძალუმ შევიგრძნობდით, მაგრამ მანამდე არ გვი-  
ფიქრია ამაზე და არც ის ვიცოდით, მეგობრული  
იყო იგი თუ მტრული. ეს გვირგვინის მცველთა  
ძალა იყო, ამ ქვეყანაში ოდითგანვე რომ იცავენ  
ჰოპენშტაუფენთა ხსოვნას და მემკვიდრეობას. ვერ

გეტყვით, იცოდნენ თუ არა ჩვენმა წინამძღოლება უფრო მეტი ამის თაობაზე, ან რაიმე მინიშნება ჰქონდათ თუ არა. ეს კია, რომ იმ მხრიდან არაერთხელ მოგვსვლია ნიშანი — გამხნევდით და ფხიზლად იყავითო. ერთხელ, მაგალითად, ბოპფინგენისკენ მივემართებოდით, რომ ერთი გორაკიდან ჭალარათმიანი ლეგა აბჯროსანი დაეშვა ჩვენსკენ, თვალდახუჭულმა თავი დაგვიქნია და მაშინვე უკვალოდ გაქრა. ჩვენმა წინამძღოლებმა ყურად იღეს გაფრთხილება, იმავე ადგილას შემობრუნდნენ, ისე რომ ბოპფინგენი თვალითაც არავის გვინახავს. მეორეჯერ ურახის მახლობლად ასეთი ამბავი შეგვემთხვა: სად იყო და სად არა, გვირგვინის მცველთა წარმოგზავნილი უცებ გაჩენილა წინამძღვართა კარავში და მუქარითა თუ დაყვავებით ცდილა, ჩვენი ქარავანი შტაუფენთა სამსახურში ჩამდგარიყო და სიცილია დაელაშქრა. მაგრამ როცა ჩვენმა წინამძღვრებმა მტკიცე უარი უთხრეს, ეს კაცი განრისხებულა და საშინლად დაუწყევლია ჩვენი ძმობაც და მგზავრობაც. თუმცა რასაც მე მოგითხრობთ, ყურმოკრული ამბებია, ჩვენ რომ ჩურჩულით გადავცემდით ერთიმეორეს, თვითონ წინამძღვართ ამ ამბის თაობაზე კრინტი არ დაუძრავთ. მიუხედავად ამისა, მე იგი მაინც ფრიად სარწმუნოდ მიმაჩნია. ჩვენს ძმობას სწორედ იმხანობას სრულიად დაუმსახურებლად დაუყარეს ხმა ფარული საზოგადოებაა და მონარქიის აღდგენა აქვსო მიზნად, რასაც გვირგვინის მცველებთან ჩვენს გაურკვეველ ურთიერთობას უნდა ვუმადლოდეთ.

ერთხელ იმ ამბის მოწმეც გახლდით, ჩვენმა  
ერთ-ერთმა ამსანაგმა როგორ მოინანია ძმობის  
წევრად შედგომა, ფეხით გათელა თავისი აღთქმა  
და ისევ ურწმუნოებას დაუპრუნდა. ეს ის ყმაწვი-  
ლი კაცი იყო, ვისი დანახვაც ყოველთვის მახარებ-  
და ხოლმე. დილის ქვეყანაში რომ გამოგვყვა, პირად  
მიზნად და სურვილად ისა ჰქონდა, წინასწარმეტყ-  
ველ მაპმადის კუბო ენახა, რომელზედაც სმენოდა,  
რაღაც გრძნეული ძალით დაფრენსო ჰაერში. შვა-  
ბიისა თუ ალემანიის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც  
რამდენიმე დღით სატურნისა და მთვარის წინააღმ-  
დეგობამ შეგვაყოვნა და გზის გაგრძელების სა-  
შუალება არ მოგვცა, ეს უბედური, ამ უკანასკ-  
ნელ ხანს რომ სულ მოწყენილი და თითქოს შე-  
ბოჭილი ჩანდა, ერთ თავის ყოფილ მასწავლებელს  
გადაეყარა, სკოლიდან რომ ძალიან უყვარდა; ჰო-  
და, აი, ამ მასწავლებელმა იმდენი შეძლო და მო-  
ახერხა, რომ ყმაწვილს იმ შუქზე დაანახა ყოვე-  
ლივე, ურწმუნოები რომ ხედავენ ხოლმე. ამ მას-  
წავლებელთან ერთ-ერთი სტუმრობის მერე ის  
საცოდავი ძლიერ აღელვებული და ბრაზით ყბა-  
მოქცეული დაბრუნდა ბანაკში, წინამძღვართა კარ-  
ვის წინ ერთი ჩხუბი და აყალმაყალი ატეხა და,  
როცა მამა-მაუწყებელი გამოვიდა, გაბრაზებულ-  
გა პირში მიახალა: ყელში ამომივიდაო თქვენი  
სამასხრო მოგზაურობა, იგი არასდროს არ მიგვი-  
ყვანს აღმოსავლეთშიო; მეყოფა, რაც თქვენი სუ-  
ლელური ასტროლოგიური ჭოჭმანის გამო დღეე-  
ბი გავაცდინეო; ეს თქვენი უსაქმურობა, ბალღუ-  
რი თავშექცევანი და აქეთ-იქიო უქმი პროწიალი,

ყველა მიმდინარე შეიძლო, რადაც გრძნებულ ძალებთან  
დაკავშირებული ფასიფუქი, პოეზიისა და ცხოვ-  
რების ერთიმეტრები აღრევა — ყველაზერი მომ-  
ყირველი, ამა, იქვენი ბეჭედი და კარგად მეყოლეო,  
მე კი იხევ ნაცად გხის დავადგები და რკინიგზით  
ჩემს ქვეყანასა და ხარვო, ხასიკეთო შრომას და-  
ვუბრუნდებით. პოი, რა ხაზისლარი და ხაცოდავი  
შეხახედავი იყო. ხირცხვილმა და თან ახერიგად  
დაბრმავებული ამხანაგის ხიბრალულმა გული შე-  
გნიკუმშა. მამა-მაუწყებელმა გულისხმიერად მო-  
უხმინა მას, ლიმილით დაწვდა და აიღო გადაგდე-  
ბული ბეჭედი, და ისეთი მშვიდი, მხიარული კილო-  
თი უთხრა, რომ ამ კილოს უოუოდ უნდა შეერცხ-  
ვინა მეამბოხე: „შენ ჩვენ დაგვემშვიდობე, მაშასა-  
დამე, რკინიგზას, გონივრულ განსჯას და სარვო  
ხასიკეთო შრომას დაუბრუნდები. შენ დაემშვიდობე  
ძმობას, დაემშვიდობე აღმოსავლეთში მსხემობას,  
დაემშვიდობე გრძნეულ ძალებს, ყვავილთა ზეიმს,  
პოეზიას. შენ თავისუფალი ხარ და აღთქმისაგანაც  
განთავისუფლებ“.

„დუმილის აღთქმისაგანაც?“ — ცხარედ შესძახა  
განდგომილმა.

„პო, დუმილის აღთქმისაგანაც“. — მიუგო მამა-  
მაუწყებელმა. — „გაიხსენე: შენ დაიფიცე, რომ და-  
იცავდი დუმილს და ურწმუნოთ არ გაანდობდი  
ძმობის საიდუმლოებას. მაგრამ რაკიდა ვხედავ,  
რომ საიდუმლო დაგვიწყნია, მაშასადამე, ვერც  
ვერავის გაანდობ მას“.

„მე დამვიწყნია? არაფერიც არ დამვიწყნია!“ —  
შესძახა ყმაწვილმა, მაგრამ მაშინვე თითქოს თვი-

თონგვე დღაჭედი და რაწამს მამა-მაუწყებელი, ზურგი აქცია და კარივები შევიდა, ხახვრიცხვ გა-ეცალა იქაურობას.

ამ ამბავმა გული დაგვწყვიტა, მაგრამ ის ფრი-ები იხე იყო ძლხავხე განცდებით, რომ ხაორული სწრაფად გადავივიწყე ამსანაგი. თუმცა არ გახუ-ლა დიდი ხანი, რომ რამდენიმე ხოველხა და ქუ-ლაქმი, ხადაც ჩვენი გზა გადიოდა, მცხოვრებთა მითქმა-მოთქმას მოვკარით ყური სწორედ ამ ემ-წილზე, რომელიც უკვე აღარავის გვახსოვდა. ამ ადგილებში ენახათ თურმე ვინმე ჭაბუკი, რომე-ლიც ყველგან დაგვეძებდა (ამასთანავე, წვრილად აღწერდნენ გარეგნობას და სახელსაც ამბობდნენ მისას). ჯერ თურმე უთქვამს, ვითომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი ყოფილიყოს და გზაში ჩამოგვრჩე-ნდეს, მერე კი ტირილი დაუწყია და გა-მოტეხილა, ძმობას ვუდალატე და გავექეცი, მაგრამ მხოლოდ ახლა დავრწმუნდი, უმისოდ რომ სიცოცხლე არ შემიძლიაო. ჰოდა სწა-დია გვიპოვოს და ისიც უთქვამს, რომ გვიპო-ვის კიდეც, რათა ფეხებში ჩაუვარდეს წინამდღ-ვართ და შენდობა სთხოვოს. სადაც კი არ მივდი-ოდით, ყველგან გვხვდებოდა მისი ამბავი, ეს საბ-რალო უკვე ყველგან იყო ნამყოფი. ჩვენ შევეკი-თხეთ მამა-მაუწყებელს, რა აზრისა იყო იგი ამ ამ-ბავზე და რა ბოლო შეიძლება მოჰყოლოდა ამას. „არა მგონია, მოგვნახოსო“, მოკლედ მოგვიჭრა. და მართლაც ვეღარ მოგვნახა, მას შემდეგ იგი აღარ შეგვხვედრია.

ერთხელ, როდესაც ერთ-ერთმა წინამდღვარმა

გულითად საუბარში შემიყოლია, ვაგბედე და  
ვკითხე, ნეტა იმ განდგომილ ძმას რა ეშველება-  
მეთქი; ხომ მოინანია თავისი საქციელი, ხომ  
ყველგან დაგვეძებს, მაშ არ უნდა დავეხმაროთ, არ  
უნდა გამოვასწორებინოთ თავისი შეცდომა, რად-  
გან მომავალში მასზე ერთგული წევრი ჩვენ ძმო-  
ბას არ ეყოლება-მეთქი. წინამძღვარმა პასუხად  
მითხრა: „ჩვენ ძალიან გაგვისარდება, თუ ის და-  
საბრუნებელ გზას იპოვის, მაგრამ საქმეს კი ვერ  
გავუადვილებთ, რადგან ძნელია ხელახლა რწმე-  
ნას შეუდგეს კაცი. ვშიშობ, რომ ის ვერც დაგვი-  
ნახავს და ვერც გვიცნობს, თუნდაც გვერდზე ჩა-  
ვუაროთ. იგი დაბრმავდა. მარტოოდენ მონანიება  
ვერას უშველის, შეწყალებას მონანიებით ვერ  
იყიდი, იგი არც როდის იყიდება. ადრეც მრავალს  
მოსვლია ასე, მისთანა ხვედრი დიდსა და განთქ-  
მულ კაცთაც ხვდომიათ წილად. იყო დრო, მათაც  
უნათებდათ ნათელი, მათაც ჰქონდათ თვალი და  
ჩინი და მისდევდნენ თავიანთ ვარსკვლავს. მაგრამ  
მერე გონებით განსჯის ხანი დაუდგათ, ქვეყნის  
დაცინვა და მასხარად აგდება იგემეს, ეზიარენ  
სულმდაბლობას, იწვნიეს ბედის უკულმართობა,  
დაიღალნენ და გულიც გაუტყდათ და მათაც კვლავ  
დაკარგეს თავი თვისი, ისევ დაბრმავდნენ. ზოგი  
მათგანი მთელი ცხოვრება ისევ და ისევ ჩვენ და-  
გვეძებდა, მაგრამ რაკი ვერ შეიძლეს ჩვენი მო-  
ნახვა, ქადაგად იქცნენ, თითქოსდა ჩვენი ძმობა  
მხოლოდ მშვენიერი ზღაპარია და ამ ზღაპარმა  
არ უნდა აცდუნოსო ადამიანი. ზოგნიც დაუძინე-  
ბელ მტრებად მოგვეკიდნენ და როგორც შეეძ-

ლოთ, ისე გვაყუნებდნენ ათასნაირ დამცირებასა  
და ვნებას.

პოი, რა საზეიმო დღეთა მომსწრე ვიყავით მუ-  
დამ, როცა კი გზად ძმათა ლაშქრის სხვა ჯგუფები  
შემოგვევედრია. ხანდახან უზარმაზარ ბანაკად გა-  
ვიშლებოდით და ასობით, თუ ათასობით ადამია-  
ნი ვიყავით ერთად. უნდა ითქვას, რომ ჩვენი  
ლაშქრობა წესრიგს დიდად როდი მისდევდა, მისი  
მონაწილენი დას-დასად კი არ ვიყავით დაყო-  
ფილნი, ერთი მიმართულებით რომ მოძრაობენ  
ხოლმე, არამედ ერთდროულად უთვალავ ჯგუფში  
გაერთიანებულნი და მუდამ გზად მყოფნი, ჩვენ-  
ჩვენს წინამძღოლსა და ვარსკვლავს მივსდევ-  
დით. ყოველი ჩვენთაგანი მზად იყო უფრო დიდ  
ჯგუფსაც შეერთებოდა, ერთხანს მისი წევრი გა-  
მხდარიყო და არანაკლები ხალისით ისევ გამო-  
ყოფილდა მას და მარტო განეგრძო გზა. ზოგიც სულ  
მარტო მიდიოდა; მეც არაერთხელ მიწია მარტო  
სიარულმა, როცა კი რაიმე ნიშანი ან ძახილი მო-  
ალწევდა ჩემამდე და თავის გზებზე გამიტყუებდა.

მე ერთი რჩეული პატარა ჯგუფი მახსენდება —  
რამდენიმე დღე ერთად ვიმგზავრეთ და ერთადაც  
დავბანაკდით. ეს ჯგუფი აფრიკაში წასვლას აპი-  
რებდა, ძმობის წევრები და მეფის ასული იზაბე-  
ლა უნდა დაეხსნა მავრთა ტყვეობიდან. მათზე ამ-  
ბობდნენ, ჰიუონის ბუკის მფლობელნი არიანო.  
აშ ჯგუფში იყვნენ ჩემი მეგობარი პოეტი ლაუ-  
შერი, მხატვარი კლინგზორი და კიდევ ერთი მხატ-  
ვარი, პაულ კლეე. მათი სალაპარაკო საგანი მხო-  
ლოდ აფრიკა და დატყვევებული მეფის ასული იყო,

სასარებად დონ კიხოტის საქმეთა წიგნი ჰქონდათ, ვის პატივსადებადაც გზად ესპანეთში სურდათ გაევლოთ.

მშვენიერი რამ იყო მეგობართა ასეთ ჯგუფთან შეხვედრა, მათ ზეიმებსა და ლოცვებზე დასწრება, მათი მოპატიუება, მათ საქმეთა და გეგმათა მოსმენა, დამშვიდობებისას მათთვის გზის დალოცვა; დიდებულ გრძნობას განიჭებდა იმის შეგრძნება, რომ ისინი ისევე მოუყვებიან თავიანთ გზას, როგორც ჩვენ-ჩვენსას; ყოველ მათგანს თავისი ოცნება, თავისი სურვილი ამოძრავებდა, თავისი იდუმალი ზრახვა ედო გულში და მაინც ყველანი ერთნი ვიყავით, ერთ დიდ ნაკადად მივედინებოდით, ერთი და იგივე მოწიწებით, ერთი და იგივე რწმენით აღვსილნი და ერთი და იგივე აღთქმით შეკრულნი. იუპს შევხვდი, მოგვს, ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა ქაშმირში ეძია ბედნიერება; კოლოფინოს შევხვდი, ჯადოქარს, კვამლის წყალობით რომ ახდენდა სასწაულებს და ზიმპლიცისიმუსის თავგადასავლიდან მის საყვარელ ადგილს რომ კითხულობდა; ლუი მრისხანეს შევხვდი, ვისი ოცნებაც იყო წმინდა ქვეყანაში ზეთისხილის გაღი აეყვავებინა და მონები ჰყოლოდა. ანსელმთან ერთად მოდიოდა იგი ხელიხელგაყრილი, ვინაც მისი ბავშვობის ცისფერი ზამბახის საძებნელად წამოსულიყო. შემხვდა და შევიყვარე ნინონი, „აუსლენდერის“ სახელით ცნობილი, უბრწყინავდა ქუფრი თვალები და უბზინავდა შავი თმა, ფატ-მეზე ეჭვიანობდა, ჩემი ოცნების მეფის ასულზე, თუმცალა, მგონი, სულაც თვითონ იყო ფატმე. ჩვენ

რომ მივდიოდით, ამ გზით უვლიათ ოდესლაც მსხემთა, მეფეებსა და ჯვაროსნებს მაცხოვრის საფლავის დასახსნელად, გინდა არაბული მაგიის შესასწავლად. ამ გზით მოულოცნიათ წმინდა ადგილნი ესპანელ რაინდებსაც, გერმანელ სწავლულებსაც, ირლანდიელ ბერებსაც და ფრანგ პოეტებს.

რაკი ჩემი ხელობა ვიოლინოზე დაკვრა და ზღაპრების კითხვა იყო, ჩვენს ჯგუფში მუსიკაზე მე უნდა მეზრუნა. სულ მალე ჩემს თავზე გამოვცადე, რაოდენ ამაღლებს თურმე თავისი დროის სიდიადე ყოველ პატარა ადამიანს და რაოდენ ძალას ჰმატებს მას. მე განა ვიოლინოზე ვუკრავდი და განა ჩვენს გუნდებს ვლოტბარობდი მხოლოდ, ძველ სიმღერებსა და ქორალებსაც ვაგროვებდი. გრიერდი ექვს და რვახმიან მოტეტებსა და მადრიგალებს, მერე კი ყოველივე ამას ვსწავლობდით და ვასრულებდით კიდეც. მაგრამ ამ ამბებით სულაც არ შინდა თავი შეგაწყინოთ.

მე შევიყვარე ბევრი ჩემი ამსანაგი და უფროსი. მაგრამ არც ერთ მათგანზე არ მიფიქრია შემდგომში იმდენი, რამდენიც ლეოზე, თუმცა თავის დროზე არცთუ დიდი ყურადღების ღირსად შიგვიჩნევია იგი. ლეო იყო ერთ-ერთი ჩვენი მსახურთაგანი (ისინიც ჩვენისთანა მოხალისენი იყვნენ), ბარგის ზიდვაში გვეხმარებოდა, ხანაც მამა-მაურყებელს ემსახურებოდა ხელზე. ეს შეუხედავი კაცი საოცარი ჩუმი და დაუზარელი ბუნების იყო, არასოდეს შეგაწუხებდა მისი თავაზი თუ სამსახური. ამიტომაც გვიყვარდა ყველას. თავის საქმეს ხალისით აკეთებდა, მეტწილად თავისთვის ღიდი-

ნებდა ან უსტვენდა, თვალში არასოდეს შეგეჩისი-  
რებოდა, მაგრამ თუ დაგჭირდებოდა, უმალ შენთან  
გაჩნდებოდა — სწორედ რომ უბადლო მსახური  
იყო. ეს კაცი ცხოველებსაც ძალიან უყვარდათ —  
თითქმის ყოველთვის მოგვყვებოდა ძაღლი, რო-  
მელიც ლეოს ადევნებოდა. შეეძლო ფრინ-  
ველთა მოჩვევა და როცა მოინდომებდა, ფარვა-  
ნებსაც იტყუებდა. დილის ქვეყანაში იმიტომ წა-  
მოსულიყო, სოლომონის გასაღები ეპოვა და მისი  
შემწეობით ფრინველთა ენა შეესწავლა. თუ ჩვენი  
ძმობის სხვა წევრები თავიანთი ღირსებისა და  
ძმობისადმი ერთგულების მიუხედავად, გარეგნუ-  
ლად მაინც ზედმეტად დაძაბულნი იყვნენ და არა-  
ბუნებრივი იერი დაჰკრავდათ, ლეო სადა და უშუ-  
ალო კაცი ჩანდა, — წითელლოყება, ჯანსაღი და  
მოკრძალებული.

თხრობა მეტადრე იმიტომ მიჰირს, რომ მო-  
გონებათა ცალკეული სურათები დიდად განსხვავ-  
დება ერთმანეთისგან. აკი მოგახსენეთ, ჩვენ ხან  
ცალკე ჯგუფად მივდიოდით, ხან უფრო მოზრდილ  
გუნდებად ვერთიანდებოდით, ხან სულაც დიდ  
ლაშქარს შევქმნიდით ხოლმე. მაგრამ ისეც მომხ-  
დარა, მხოლოდ ერთადერთ ამხანაგთან დავრჩე-  
ნილვარ, ხანდახან მარტოც მივლია, ისე რომ არც  
კარავი მქონია, და არც წინამძღვარი და მამა-მა-  
უწყებელი მყოლია. თხრობა კიდევ იმიტომაც მი-  
ჰირს, რომ განა მხოლოდ სივრცეში — დროშიც  
ვმოგზაურობდით ხშირად. ჩვენ დილის ქვეყანაში  
მივდიოდით, მაგრამ ამასთან შუა საუკუნეებშიც  
ჩავსულვართ, გზად გაგვივლია ოქროს ხანაშიც,

იტალიასა და შეეიცარიაშიც გვისეტიალნია, ზოგ-ჯერ მეათე საუკუნეშიც გაგვითევია ლამე და პატ-რიარქებთან და ფერიებთან გვიცხოვრია. ჩემი მარტოდყოფნის უამს ჩემივე წარსულის ადგი-ლებსა და ადამიანებს წავწყდომივარ ხოლმე. მი-სეირნია ზემო რაინის ტყიან ნაპირებზე ჩემს ყო-ფილ საცოლესთან ერთად, მიქეიფია სიყრმის მე-გობრებთან ტიუბინგენში, ბაზელსა და ფლორენ-ციაში. ხან ჩემს ბიჭობას დავბრუნებივარ და სკო-ლის ამხანაგებთან ერთად პეპლები მიჭერია ან ნავისთვის მითვალთვალნია. ხან სულაც ჩემივე საყვარელი წიგნების გმირები იყვნენ ჩემი მხლე-ბელნი, ალმანზორი, პარციფალი, ვიტიკო და გოლდმუნდი ჩემ გვერდით მიაჭენებდნენ ცხენს, ხან სანჩო პანსას ვმასპინძლობდით, ხანაც თვი-თონ ვეწვეოდით ბარმეკიდებს. ამის შემდეგ საღ-მე ველზე რომ მივაგნებდი ხოლმე ჩვენ ჯგუფს, გავიგონებდი ძმობის საგალობლებს და მოვეწყო-ბოდი წინამძღვართა კარვის პირდაპირ, მაშინვე ნათლად ვხვდებოდი, რომ ბავშვობის წიაღში ეს მოგზაურობა, ანდა სანჩო პანსასთან ერთად ცხე-ნის ჭენება, დიახაც, უცილობელი ნაწილი იყო ჩვენი მოგზაურობისა, ვინაიდან ჩვენი მიზანი მარტოდენ დილის ქვეყანა კი არ გახლდათ, უფ-რო სწორედ: დილის ქვეყანა მარტოდენ ერთი ქვეყანა და, ამრიგად, გეოგრაფიული ცნება კი არ იყო, არამედ იგი იყო სიყრმე და სამშობლო სულისა, იგი იყო ყველგან და არსად, იყო ყველა ჟამისა და დროის ერთიანობა. მაგრამ ეს შეგრ-ძნება მხოლოდ დროდადრო და მხოლოდ წამიე-

რად გაკრთებოდა ჩემს გულში და ხწორედ ის  
ბედნიერება იყო, გონების განათების ამ წუთებში  
რომ მატკბობდა. ვინაიდან ჩემი ბედნიერება აღ-  
სავსე იყო ისეთივე იდუმალებით, როგორიც სიზ-  
მარს აქვს ხოლმე—ისევე თავისუფლად შეგეძ-  
ლო ერთდღოულად განგეცადა ყოველივე შესაძ-  
ლებელი, შინაგანი და გარეგანი თამაშ-თამაშით  
შეგეცვალა, დრო და სივრცე კულისებივით გადა-  
გენაცვლებინა. ჰოდა, როგორც ჩვენი ძმობის წევ-  
რებს შეგვეძლო ისე გვემოგზაურა მთელ მსოფ-  
ლიოში, არც ავტომობილი და არც გემი დაგვჭი-  
რებოდა, როგორც ჩვენი რწმენით შეგვეძლო მო-  
გვენუსხა ომით გაუბედურებული ქვეყანა და სა-  
მოთხედ გვექცია იგი, ასევე შემოქმედებითად  
შეგვეძლო გამოძახება ნამყოს, მომავლისა თუ  
ჩვენი წარმოდგენით შეთხზულისა, და აწმყოში  
მოგვექცია იგი.

და კიდევ და კიდევ, შვაბიაში, ბოდენის ტბაზე,  
შვეიცარიაში თუ ყველგან, სადაც არ ვყოფილ-  
ვართ, გვხვდებოდა ხალხი, ვისაც ესმოდა ჩვენი,  
ანდა რაღაცნაირად მაღლიერნი იყვნენ იმისა, რომ  
ვარსებობდით ჩვენ, არსებობდა ჩვენი ძმობა და  
ეს ჩვენი მოგზაურობაც დილის ქვეყანაში. მუა-  
გულ ციურისში, ტრამვაებსა და ბანკის შენობებს  
შორის, ნოეს კიდობანს წავაწყდით, — რამდენიმე  
ბებერი ძაღლი დარაჯობდა და ყველას ერთი სა-  
ხელი ერქვა. ამ კიდობანს ფხიზელი დროის წყალ-  
მეჩეერზე გულადად მიაცურებდა ჰანს კ., ნოეს  
შთამომავალი, ხელოვანთა მეგობარი; ვინტერ-  
ტურში ვიყავით, შტოეკლინის ჯადოსნური კაბი-

წეტის ქვემთ სართულზე, ჩინურ ტაძარში, სადაც  
მაიას ბრინჯაოს ქანდაკებათა შორის საკმეველი  
იწვლდა, გუგუნებდა ტაძრის ზარი და შავი ხელ-  
მწიფე ფლეიტის რაკრაკს ნაზად უხმატკბილებდა  
მის გუგუნს. ზონენბერგის ძირში ზუონ მალის  
წავაწყდით, ზიამის მეფის კოლონიას, სადაც ბუ-  
დას ქვისა თუ ლითონის ქანდაკებათა შორის მა-  
დლიერი სტუმრები ჩვენს სასმელსა ვსვამდით და  
ყალიონს ვაბოლებდით მსხვერპლის მიტანის ნიშ-  
ნად.

ერთ-ერთი უმშვენიერესი განცდა გახლდათ  
ძმობის ზეიმი ბრემგარტენში, სადაც გრძნეული  
წრე შეიკრა ჩვენ გარშემო და სადაც სასახლის  
პატრონებმა მაქსმა და ტილიმ გვისტუმრეს. მა-  
ლალთაღებიან დარბაზში ოტმარი როიალზე უკ-  
რავდა და მოცარტის უკვდავი ჰანგებით გვატკ-  
ბობდა. პარკში თუთიყუშებსა თუ სხვა მოლაპარა-  
კე ფრინველებს დაედოთ ბინა, შადრევანთან ფე-  
რია არმიდას ვუსმენდით, თავს გვიქნევდა და სალ-  
მის ნიშნად შავ დალალებს არხევდა. ვარსკვლავ-  
თმისანი ლონგუსი ნეტარადმოსაგონარ ჰაინრიხ  
ფონ ოფტერდინგენის გვერდით იდგა. ეზოში ყი-  
ოდნენ ფარშავანგები, ლუი ჩექმებიან კატას ესა-  
უბრებოდა ესპანურად, ჰანს რეზომი კი, იმით  
შეშინებული, რომ ეს ცხოვრება ნიღაბთა თამაში  
იყო მხოლოდ, იფიცებოდა, კარლოს დიდის საფ-  
ლავზე წავალო სალოცავად. ეს გახლდათ ჩვენი  
მსხემობის საზეო ხანა. ჯადოსნურმა ტალღამ, ჩვენ  
რომ თან მოგვყვა, ყოველივე წალეკა და თან წა-  
იღო. სასახლის მკვიდრნი მუხლმოდრეკილნი გა-

ნადიდებლნენ მშვენიერებას, სასახლის პატრონმა ლექსი წარმოთქვა ჩვენი საღამოს საქმეთა სადიდებელი, სასახლის გალავანს ნადირნი შემოვლებოდნენ ირგვლივ და სმენად ქცეულიყვნენ, მდინარეში დინჯად დასრიალებდნენ ათასორად მოლივლივე თევზები, რომელთაც ჩვენ დვინითა და ნამცხვრებით ვუმასპინძლდებოდით.

მაგრამ დიდებულ განცდათა აღქმა მაინც მხოლოდ მას შეუძლია, ვინც თვითონ ჭიარებია ამ განცდათ და თავის თავზე გამოუცდია ისინი, რამეთუ ჩემს თხრობაში ყოველივე ერთობ ღარიბულად და, ვინ იცის, სულელურადაც უღერს. ხოლო ყველა ისინი, ვინც ჩვენთან ერთად იზეიმა ის დღეები ბრემგარტენში, აქ მოთხრობილ ყოველ წვრილმანს დამიდასტურებენ და ათასი სხვა კიდევ უფრო მშვენიერი მოგონებით განავრცობენ. იტყვიან იმასაც, ამომავალი მთვარის შუქზე როგორ ლიგლივებდა ნაირფერად ხის კენწეროზე შემსხდარ ფარშავანგთა კუდები, რა ამოდ ბრწყინვადნენ ვერცხლისფრად მოჩრდილულ კლდოვან ნაპირზე მდინარიდან ამოსული წყლის ფერიები, როგორ ეულად იდგა შადრევანთან წაბლის ხის ძირას ღამის საღარაჯოზე გამოსული გამხდარგაძვალტყბვებული დონ კიბოტი. სასახლის კოშკის ზემოთ კი ამ დროს უკანასკნელი შუშხუნები ნელა ეშვებოდა მთვარიან ღამეში; არასდროს დამავიწყდება ჩემი ამხანაგი პაბლო, თავზე რომ ვარდების გვირგვინი ედგა და ქალწულთა სმენის დასატკბობად სპარსულ სტვირზე უკრავდა. ჰოი, ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ასე მალე გაწყდებოდა

გრძნეული წრე და რომ ყველა ჩვენთაგანს – და  
მეც, მეც! – ისევ ჩვეულებრივი, ყოველდღიური  
სინამდვილის უტყვი უდაბნოში დაგვებნეოდა გზა-  
კვალი, რომ ჩვენც იგივე ამბავი დაგვემართებოდა,  
რაც მოსელეებს და მოვაჭრეთ მოსდით, როცა კვი-  
რადღეობით ქალაქებარეთ ქეიფის შემდეგ გამო-  
ფხიზლდებიან და ყოველდღიურ საქმეთა ტვირთი  
კვლავ დააწვებათ და წელში მოკაკვავთ.

მაგრამ იმ დღეებში მისთანა რამ არც ერთ  
ჩვენგანს ფიქრადაც არ მოგვსვლია. ბრემგარტე-  
ნის კოშკში ჩემს საძინებელ ოთახში იასამნის  
სურნელი შემოდიოდა, ხეებს შორის მდინარის დუ-  
დუნი ისმოდა. ფანჯრიდან გადავძვერი უკუნ ღა-  
მეში, ბედნიერებისა და სევდისგან მთვრალი, ჩუ-  
მად ჩავუარე ფხიზლად მყოფ რაინდს, დაძინებულ  
მოქეიფეებს და წყლის პირას ჩავედი. ვესტუმრე  
მოჩუხჩუხე ნაკადებს, თეთრად მოელვარე ზღვის  
ფერიებს და მათაც თავისთან წამიყვანეს მთვარე-  
სავით გრილ ბროლის სამეფოში, სადაც მათი სა-  
ცხოვრისია და სადაც, გარინდულნი და ოცნებაში  
წასულნი, თავიანთი საგანძურის გვირგვინ-ჯი-  
ლებითა და ოქროს ძეწკვებით თამაშობენ. ასე  
მეგონა, თვეები დავყავი-მეთქი ამ მოელვარე წი-  
ალში, და გაგრილებულმა რომ ამოვყვინთე და ნა-  
პირისკენ გამოვცურე, კვლავ პაბლოს სტვირის  
რაკრაკი შემომესმა ბალის მხრიდან, კვლავ დაქათ-  
ქათებდა იქაურობას მთვარე. ლეო დავინახე, ორ  
თეთრ პუდელს ეთამაშებოდა; ჭკვიანური, პატარა  
ბიჭის პირისახე სიხარულისგან გაბრწყინებოდა.  
ლონგუსსაც მივაგენი, ჭალაში იჯდა, მუხლებ-

ზე პერგამენტის წიგნი დაელო და შიგ რაღაც ბერძნულ და ებრაულ სიტყვებს წერდა, ასოებიდან კი ურჩხულები მოფრინავდნენ და კუდზე შემდგარი ჭრელი გველები სარსალებდნენ. ვერც დამინახა, ისე გაეტაცა ამ ჭრელ, გველურ დამწერლობას. დიდხანს ჩავცქეროდი მის მხარზემოდან ამ წიგნს, ვხედავდი, როგორ კლაკვნა-კლაკვნით მოძვრებოდნენ ურჩხულები და გველები სტრიქონებიდან და მერმე უხმოდ უჩინარდებოდნენ ბნელ ბუჩქნარში. მას არა გაეგებოდა რა ჩემი, შორი იყო მისთვის ჩემი სამყარო, მთელი არსებით დაეპყრო თავის საქმეს. ცოტა მოშორებით, მთვარით განათებულ ხეებს შორის ანსელმი სეირნობდა, ხელში ზამბახი ეჭირა, ყვავილის სოსან ფურცლებსა და გვირგვინს ჩაშტერებოდა ოცნებაში წასული და მომღიმარი.

ბრემგარტენის ზეიმის დღეებში გამაოცა და გული მატკინა იმ ამბავმა, მანამდეც რომ შემიმჩნევია ჩვენი მოგზაურობის უამს, მაგრამ არკი ჩავფიქრებივარ. ჩვენ შორის იყო ბევრი ხელოვანი, ბევრი მხატვარი, მუსიკოსი, პოეტი; აქ იყო მგზნებარე კლინგზორი, დაუდეგარი ჰუგო ვოლფი, სიტყვაძვირი ლაუშერი და ბრწყინვალე ბრენტანთ. მაგრამ რაზომ მიმზიდველი და ცოცხალი ადამიანები არ უნდა ყოფილიყვნენ ეს ხელოვანი, მათი გმირები მაინც უფრო მშვენიერნი, მხიარულნი და, გარკვეული აზრით, უფრო ცხოვრებისეულნი იყვნენ, ვიდრე მათივე შემოქმედნი. პაბლო პირველყოფილ უმანკოებასა და სიცოცხლის ხალისს გამოასხივებდა, იჯდა და არაკრა-

კებდა თავის ფლეიტას. მისი შემქმნელი პოეტი კი ჩრდილივით დაბორიალებდა მდინარის პირას და განმარტობას ეძებდა, მთვარის შუქით შინაგან და გარეგან განათებული. შეზარხოშებული ჰოფ-მანი სტუმრებს შორის ხან იქ გაკრთებოდა და ხან აქ, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, ჯუჯა კობოლდს. მოაგონებდა ადამიანს. ჰოდა, როგორც ყველანი, ისიც მხოლოდ ნახევრად იყო ნამდვილი, მხოლოდ ნახევრად არსებობდა, აკლდა მთლიანობა, აკლდა სინამდვილე, მაშინ როდესაც არქივარიუსი ლინდჰორსტი თავს იმით იქცევდა, რომ ურჩხულად გადაქცეული, ცეცხლს ჩაისუნთქავდა და ძალას ამოისუნთქავდა მანქანასავით. მსახურ ლეოს ვკითხე, რატომაა, ხელოვანი ხალხი რომ დროდადრო ისე გამოიყურება, თითქოს ნახევარადამიანები იყვნენ, მაშინ როცა მათი ქმნილებები ესოდენ უტყუარად ცოცხალნი არიან-მეთქილეობი ისე შემომხედა, თითქოს გააოცა ჩემმა შეკითხვამ, მერე ძირს ჩამოსვა პუდელი, მანამდე რომ ხელში ეკავა, და მითხრა: „დედების ამბავიც ხომ ასეა, შვილს რომ შობენ და ეს შვილები რძესთან ერთად მთელ სილამაზესა და ძალას გამოსწოვენ, მერე აღარც არავინ კითხულობს დედების ამბავს“.

„მერედა ეს ხომ სამწუხაროა?“, ვთქვი ისე, რიგიანად არც ჩავჭიქრებივარ ჩემს ნათქვამს.

„ვფიქრობ, იმაზე სამწუხარო არაა, ვიდრე სხვა ყოველივე“, მითხრა ლეომ, „სამწუხაროა, მაგრამ ამასთან ერთად – მშვენიერიც. ასე ითხოვს კანონი“.

„კანონი?“ ვკითხე ცნობისმოყვარედ. „მაინც  
რა კანონი, ლეო?“

„რა და, მსახურების კანონი. ვისაც დღეგრძე-  
ლი სიცოცხლე უნდა, მან უნდა იმსახუროს, ხოლო  
ვინც ბატონობისკენ ისწრაფვის, იგი იმოკლებს  
წუთისოფლის დღეს“.

„მაშ, რატომ ისწრაფვის ამდენი ადამიანი ბა-  
ტონობისკენ?“

„იმიტომ, რომ არ იციან, ვინც ბატონობის-  
თვის დაბადებულა, — საიმისოდ კი ძალზე ცოტა  
დაბადებულა, — მუდამ მხიარული და ჯანით სავ-  
სეა. ვისაც მხოლოდ პატივმოყვარეობითა და ჩა-  
ლიჩით მიუღწევია ბატონკაცობისათვის, ბოლოს  
არაფერი შერჩენია ხოლმე“.

„რა არაფერი ლეო?“

„მაგალითად, სანატორიუმი“.

მისი ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გავიგე და  
მაინც დამამახსოვრდა იგი. გულში კი გამკრა  
გრძნობამ, ამ ლეომ ბევრი რამ იცის, შესაძლოა  
იმაზე მეტიც, ვიდრე ჩვენ, ვითომც მისმა ბატო-  
ნებმა, ვიცით-მეთქი.

## II

თუ რა ძალამ აიძულა ჩვენი ერთგული ლეო  
ასე უეცრივ მივეტოვებინეთ მორბიო ინფერიორეს  
საშიშ ხეობაში, ამ დაუგიწყარი მოგზაურობის მო-  
ნაწილეთაგან ყველამ ალბათ თავისებურად განსა-  
ჯა და ახსნა. მე კი მხოლოდ ნელ-ნელა ჩავხვდი,  
და ისიც ბევრად მოგვიანებით, ამ შემთხვევის

ჭეშმარიტსა და იდუმალ მიზეზთ. გამოირკვა, რომ  
თურმე ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, სინამ-  
დვილეში კი ძირეულად გადამწყვეტი ამბავიც –  
ლეოს გაუჩინარება, არამც და არამც არ მიეწე-  
რებოდა შემთხვევის ძალას. არა, ეს გახლდათ ერ-  
თი რგოლი ფათერაკთა იმ ჯაჭვისა, დაუძინებე-  
ლი მტერი ჩვენი წამოწყების ჩასაშლელად თავს  
რომ გვატეხდა. იმ გრილ შემოდგომის დილას, რო-  
ლესაც ჩვენი მსახური ლეოს გაუჩინარება შევი-  
ტყვეთ და მის ადგილსამყოფსაც ვერსად მივაკვ-  
ლიეთ, ცხადია, მე ერთს არ შემპარვია გულში ეჭ-  
ვი, განგება რაღაცა უბედურებას გვიმზადებს-მე-  
თქი. თუმცა კმარა.

აი, რა ვითარება იყო იმ წუთას: მას აქეთ, რაც  
მამაცურად შემოვიარეთ ნახევარი ევროპა და, ნა-  
წილობრივ, შუა საუკუნეებშიც ვიმოგზაურეთ, ჩვენ  
დავბანაკდით კლდეებში ღრმად შეჭრილ ერთ ხრი-  
ოკ, უკაცრიელ მთის ხეობაში იტალიის საზღვრის  
მახლობლად, და იდუმალად გაუჩინარებულ ლეოს  
ძებნას შევუდექით. და რაც უფრო მეტ ხანს ვა-  
ძებდით, რაც უფრო გვეშრიტებოდა იმედი მისი  
პოვნისა, მით უფრო გვეძალებოდა მტანჯველი  
ფიქრი, რაც მარტოოდენ ამ საყვარელი ადამიანის  
დაკარგვითა თუ დაღუპვით როდი იყო გამოწვეუ-  
ლი. ეს იყო ბრძოლის დასაწყისი, მოსალოდნელი  
ქარიშხლის პირველი ნიშანი. მთელი დღე, ვიდრე  
ჩამოლამებამდე, ლეოს ძებნას მოვანდომეთ, გადა-  
გჩხერიკეთ მთელი ხეობა; დაღლილ-დაქანცულებს  
თანდათან უფრო გვიძლიერდებოდა უსასოობისა  
და ამაოდ დაშრომის გრძნობა. ამასთან საოცარი,

საშინელიც კი იყო ამ დროს იმის შეგრძნება, ყოველ საათსა და წუთს რარიგ ემატებოდა დაკარგულ მსახურს ფასი და რარიგ გვიმძიმდებოდა დანაკლისი. სალოცავად წამოსულ ყველა ჩვენგანს და, უაჭველია ყველა მსახურსაც, განათუ გულს გვწყვეტდა მხოლოდ პირმშვენიერი, ამო და დაუზარელი ჭაბუკი, არა, რაც უფრო ვრწმუნდებოდით, სამუდამოდ დაგვარგეთ-თქო იგი, მით უფრო შეუცვლელი ჩანდა იგი ჩვენთვის; თურმე ლეოს გარეშე, მისი მშვენიერი პირისახის, მისი კარგი ხასიათის, მისი სიმღერის გარეშე ჩვენი დიადი წამოწყება რაღაც ყოვლად იდუმალი ძალის წყალობით, თითქოსდა უფასურდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შეგრძნება მქონდა. მოგზაურობის ამ უკანასკნელი თვის მანძილზე, რა სიძნელეებიც არ შეგვხვედრია, რა მცირედი გულაცრუებაც არ განმიცდია, წამითაც არ შემდრეკია გული, არ დაგუჯაბნივარ უძალობას, არ შემპარგია ეჭვი. ვერა გამარჯვებებით განებივრებული მხედართმთავარი, ვერა მერცხალი ეგვიპტისკენ დაძრულ ფრინველთა გუნდში ვერ ირწმუნებდა ისე თავის მიზანს, თავის მოწოდებას, თავისი მოქმედებისა და მისწრაფების სისწორეს, როგორც მე ამ მოგზაურობის უამს. მაგრამ ახლა, ამ საბედისწერო ადგილას, ამ ლაუგარდოვან ოქროსფერ დღეს, როცა წამისწამ მესმოდა ჩვენი გუშაგების შეძახილ-გადაძახილები, როცა მეტი და მეტი გულის ჩქროლვით ველოდი მაცნეთა დაბრუნებას და ახალ-ახალ ცნობათა შეტყობას, რომ ისევ გამცრუებოდა იმედები და დავრჩენილიყავ უმწეოდ

მზირალ ადამიანთა პირისპირ, — ახლა პირველად  
მომაწვა გულზე სევდის მსგავსი გრძნობა და ეჭვ-  
მა შემიპყრო. და რაც უფრო მიძლიერდებოდა ეს  
შეგრძნებანი, მით უფრო მეტი სიმძაფრით აღვიქ-  
ვამდი, რომ განა ლეოს პოვნის რწმენა დავკარგე  
მხოლოდ, არამედ ყველაფერი არასანდოდ და საეჭ-  
ვოდ მიმაჩნდა ახლა, ყველაფერს — ჩვენს მეგობ-  
რობას, ჩვენს რწმენას, ჩვენს ფიცს, ჩვენს სალო-  
ცავად წასვლას დილის ქვეყანაში, მთელ ჩვენს  
სიცოცხლეს — ფასი და აზრი დაჰკარგოდა.

მაგრამ კიდეც რომ ვცდებოდე, ამ გრძნობებს  
კიდეც რომ ყველა ჩვენგანს მივაწერდე, დიახ,  
ასეც რომ იყოს, რაღაც რომ მეშლებოდეს საკუ-  
თარი გრძნობებისა და შინაგანი განცდების დახა-  
სიათებისას, ბევრს რასმე, რაც სინამდვილეში გა-  
ცილებით გვიან გადამხდა, შეცდომით იმ დღეს  
რომ ვაკუთვნებდე, — ლეოს ბარგის ამბავი ხომ  
მაინც გასაოცარ ფაქტად რჩება! ეს ხომ მართლაც  
ყოველგვარ პირად შეგრძნებებს გადაცილებული  
უცნაური, ფანტასტიკური და შიშისმომგვრელი  
ამბავი იყო: ჯერ კიდევ იმ დღეს, მორბიოს ხეო-  
ბაში, ვიდრე ბეჯითად დავეძებდით ჩვენს დაკარ-  
გულ მსახურს, ხან ერთმა და ხან მეორემ შევამჩ-  
ნიეთ, რომ ჩვენს ბარგს ყოვლად აუცილებელი და  
უაღრესად ყურადსალები საგნები აკლდა და ეს  
დაკარგული საგნები ვერა და ვერ აღმოგვეჩინა.  
მერე და მერე სათითაოდ გავისსენეთ ყველამ,  
რომ ის ნივთები თურმე ლეოს ბარგში ყო-  
ფილა და თუმცა ლეოს, როგორც ყველა ჩვენ-  
თაგანს, მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ტომარა

პეონდა ზურგზე მოკიდებული, მაინც ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს ყველა მართლაც აუცილებელი და საჭირო საგანი, რაც კი თან წამოგვეღო მოგზაურობაში, სწორედ ამ ერთ, ამჟამად დაკარგულ ტომარაში ყოფილიყო! თუმცა ყველას მოგვდგამს ცოდვა, დაკარგული საგანი უფრო ძვირფასად და საჭიროდ მივიჩნიოთ, ვიდრე ის, რაც ხელთა გვაქვს, თუმცა ზოგიერთი იმ საგანთაგანი, რომელთა დაკარგვამაც იმხანად მორბიოს ხეობაში ეგზომ შეგვაშინა, შემდგომ ან ისევ მოიხახა, ან გამოირკვა, რომ არცთუ ისე აუცილებელი ყოფილა ჩვენთვის — სამწუხაროდ, მაინც მართალია ის ამბავი, რომ იმ ხანებში სრულიად სამართლიანად ვწუხდით მთელი რიგი უაღრესად საგულისხმო საგნების დაკარგვაზე.

უჩვეულო და შემაზრზენი გარდა ამისა კიდევ ის იყო, რომ დაკარგული საგნები, სულ ერთია — აღმოვაჩენდით მათ შემდგომ თუ არა, თავისი მნიშვნელობის მიხედვით საფეხურებად ლაგდებოდა, ხოლო მერე და მერე ჩვენსავე ბარგში სწორედ იმ დაკარგულად მიჩნეულ საგანს ვპოულობდით, რომლის დაკარგვაზეც ესოდენ უმართებულოდ ვწუხდით და რომლის შეფასებაშიც ასე ძალიან ვცდებოდით. თუმცა სჯობია, წინდაწინვე მოგახსენოთ გარკვეულად და მთელი სიცხადით, რაც ყველაზე არსებითად და აუხსნელად მიმაჩნია: ჩვენი შემდგომი მოგზაურობის ხანს, ჩვენდა სამარცხვინოდ, აღმოჩნდა, რომ ყველა დაკარგული ხელსაწყო, ძვირფასი ნივთი, რუკა ოუ საბუთი თურმე არც ისე

გეჭირდებოდა. ეს კი არადა, მგონია კიდეც, თი-  
თქოს ყველა ჩვენთაგანმა მაშინ მთელი ჩვენი ფიქ-  
რი და წარმოდგენა მხოლოდ იქითკენ მივმართეთ,  
რომ ჩვენივე თავისთვის შთაგვეგონებინა — დანა-  
კლისი აუნაზღაურებელია და მძიმეზე მძიმე, თით-  
ქოს ჩვენ ძალა არ დავიშურეთ, რომ ჩვენი ფიქ-  
რით ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო საგანი  
დაკარგულად მიგვეჩნია და გამოგვეტირა: ზოგს  
სამგზავრო პასპორტი, ზოგს რუკა, ზოგს კიდევ  
ხალიფასადმი მიწერილი საკრედიტო წერილი,  
ზოგს ისა და ზოგს ესა. ხოლო ბოლოს და ბოლოს,  
როცა თანდათანობით გაირკვა, რომ დაკარგულად  
მიჩნეული საგნებიდან ნაწილი სულაც არ დაკა-  
რგულა, ნაწილი კი არც ისე საჭირო ყოფილა,  
დარჩა მხოლოდ ერთადერთი ძვირფასი, კაცმა რომ  
თქვას, მართლაც დიდად ღირებული და დასტურ  
აუცილებელი საბუთი, რომელიც მართლაც უკვა-  
ლოდ გამქრალიყო. ვერადა ვერ ვიხსენებდით,  
გვქონდა თუ არა სინამდვილეში წამოლებული ეს  
საბუთი, იმას კი ყველა ერთნაირად ვამბობდით,  
ეს საბუთი დიდად საჭირო და ღირებულია და მას  
ვერაფერი შეცვლისო. ზოგიერთნი, და მათ შორის  
მეც, ვირწმუნებოდით, ეს საბუთი მოგზაურობაში  
მართლაც გვქონდა-თქო წამოლებული. ერთი ამ-  
ტკიცებდა, ჩვენ, მართალია, რაღაც ამის მსგავსი  
კი მოგვქონდა ლეოს ტომარაში, მაგრამ იგი ამ  
საბუთის დედანი კი არა, მხოლოდ მისი ხელნა-  
წერი პირი იყოო. სხვები იფიცებოდნენ, რომ არა-  
სდროს აზრადაც არ ჰქონია ვინმეს, ან საბუთი, ან  
მისი პირი წამოეღო მოგზაურობაში, რაშეთუ ეს

თვით ჩვენი მოგზაურობის აზრისა და არსის აპუ-  
ჩად აგდება და გამასხრება იქნებოდაო. ყოველივე  
ამან გამოიწვია ცხარე დავა და კამათი და სულ  
მალე გამოირკვა, რომ დედნის ადგილსამყოფე-  
ლის თაობაზე (დამოუკიდებლად იმისა, გვქონდა  
თუ არა იგი თან, ან შემდეგ დავკარგეთ თუ არა)  
ყველას თავისი მოსაზრება გააჩნდა. ერთნი ამტ-  
კოცებლნენ, ეს საბუთი კიფჰოიზერის მთავრობას  
აქვს მიბარებული შესანახადო. მეორენი ამბობ-  
დნენ, არა, იგი იმ ლარნაკში დევს, ჩვენი გარ-  
დაცვლილი მამამთავრის, ფერფლი რომ ინახებაო.  
სისულელეა, გაიძახოდნენ სხვები, ძმობის სიგელი  
მამამთავარმა მხოლოდ მისთვის ცნობილი ძველ-  
თაძველი იეროგლიფებით შეადგინა და მისი ბრძა-  
ნებით მის ცხედართან ერთად დაწვესო, ისე რომ  
ლაპარაკს ამ უძველესი სიგელის შესახებ აზრიც  
არა აქვს, ვინაიდან მამამთავრის სიკვდილის შემ-  
დეგ მას მაინც ვერა კაცი ვერ წაიკითხავდაო; თუმ-  
ცა საჭირო კი გახლავთ იმის დადგენა, თუ სად  
ინახება უძველესი სიგელის ოთხი (სხვანი ამბობ-  
დნენ: ექვსი) თარგმანი, მამამთავრის სიცოცხლე-  
ში მისივე მეთვალყურეობით რომ გაკეთდაო. არ-  
სებობსო, ამბობდნენ ესენი, ერთი ჩინური, ერთი  
ბერძნული, ერთი ებრაული და ერთიც ლათინუ-  
რი პირი, ოთხ უძველეს დედაქალაქში რომ ითარ-  
გმნაო. კიდევ მრავალი მტკიცება და მოსაზრება  
ამოტივტივდა ამ დავა-კამათისას. ზოგნი ჯიუტად  
იცავდნენ თავიანთ აზრს, ზოგნი მოპაექრის ხან  
ერთ, ხან მეორე საბუთს ირწმუნებდნენ მალიად,  
რათა შემდეგ ასევე ერთბაშად შეეცვალათ ახლად-

გაზიარებული თვალსასრისი. მოკლედ, იმ დროიდან მოყოლებული, ჩვენს კრებულში აღარ იყო სიმტკიცე და ერთობა, თუმცა ზენარი იდეა კვლავ გვაკავშირებდა ერთმანეთს.

ჰოი, რა კარგად მახსოვს ის პირველი დავაცილობა! იგი რაღაც სრულიად ახალი და გაუგონარი რამ იყო ჩვენს მანამდე ურდვევ ძმობაში. დავა-კამათი თავდაპირველად მაინც დარბაისლურად წარიმართებოდა, დასაწყისში მას არც პირადი საყველურები, სიტყვით თუ ხელით შეურაცხყოფა არ მოჰყოლია, იმ დროს ჩვენ ჯერაც ქვეყნის თვალში განუყოფელი და ერთიანი ძმობა ვიყავით. მე ჯერაც ყურში ჩამესმის ის ხმები, მე ჯერაც ვხედავ იმ მოედანს, სადაც დავბანაკდით და სადაც გაიმართა პირველად დავა-კამათი. თვალწინ მიღ-გას უჩვეულოდ დადინჯებულ მოპაექრეთა სახეები, მათ შორის კი აქა-იქ ფარფატით ეშვებიან მიწაზე შემოდგომის ოქროს ფოთლები. აგერ, ერთი ფოთოლი ვიღაცას დაეცა მუხლზე, აგერ, მეორემ ვიღაცის ქუდზე მოიკალათა. ჰოი, რა შეწუხებული და შეშინებული ვუგდებდი ყურს ამ აზრთა ჭიდილს. შუაგულ კამათში მოხვედრილი, სევდამორეული, გულში მაინც ჩემს რწმენას ვაღექი, რომ დედანი, ის ნამდვილი სიგელი ჩვენი ძმობისა, სწორედაც ლეოს ტომარაში ინახებოდა და ახლა მასთან ერთად გამქრალიყო. ჰოდა, რაზომ სამწუხარო არ უნდა ყოფილიყო ეს რწმენა, მაინც რწმენა იყო, ურყევი რწმენა და იგი სიმტკიცეს სძენდა ადამიანს, თუმცა და მაშინ უფრო იმაზე ვფიქრობდი, რა ხალისით გავცვლიდი-მეთქი ამ ჩემს რწმენას

სხვა, უფრო საიმედო რწმენაზე. მხოლოდ ბევრად მოგვიანებით, როცა დავკარგე ეს მჭმუნვარე რწმენა და სხვა შეხედულებათა მიმართ უფრო ამყოლი გავხდი, მივხვდი, რა მდიდარი ვიყავი თურმე, როცა ეს რწმენა მქონდა.

მაგრამ ვატყობ, ეს ამბავი ასერიგად ვერ მოითხოვბა. თუმცა როგორ უნდა გადმოსცეს კაცმა ამბავი სულთა განუმეორებელი თანაზიარობისა, ამბავი ესოდენ სასწაულებრივად ამაღლებული და ზეშთაგონებული ცხოვრებისა? როგორც ერთ-ერთი უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი წევრი ჩვენი ამხანაგობისა, მე სულითა და გულით მწარია ჩვენი დიადი საქმის სამახსოვროდ რაღაც მაინც გადავარჩინო; ასე მგონია, თითქოს კარლოს დიდის ერთ-ერთი პალადინის მხცოვანი მსახური ვიყო, ვისაც მეხსიერებაში შემოუნახავს საგმირო საქმეთა და სასწაულთა ბრწყინვალე რიგი, რომელთა ხატი და ხსოვნაც მასთან ერთად მიეცემა დავიწყებას, უკეთუ ვერ შეძლებს იგი ნაწილი მაინც სიტყვით, თხობითა თუ სიმღერით შთამომავლობას გადაულოცოს. მაგრამ რა მხატვრული ხერხი გახდიდა ჩვენი ყარიბობის ამბის თხობას შესაძლებელად? ეს მე არ ვიცი და ვერც მოგახსენებთ. თვით ამ პირველმა სტრიქონებმა, საგულისგულოდ განზრახულმა ამ პირველმა ცდამაც უსაზღვრობისა და გაურკვევლობის სამყაროში მომაქცია, როცა მხოლოდ იმის ჩაწერა მოვინდომე, რაიც დილის ქვეყანაში ჩვენი მსხემობის უამს ჩამორჩა მეხსიერებაში, რადგან მეგონა, ამაზე ადვილი რა იქნება-მეთქი. ჰოდა, აი, ჯერ კიდევ

თსრობა არ დაშიწყია, რომ სულ პატარა ამბავზე, ლეოს გაქრობის ამბავზე შევფერხდი, რაზეც თავ-დაპირველად არც მიფიქრია; და ახლა ნაქსოვის ნაცვლად ხელში შემრჩა განასკულ-გაკვანძული ძაფისგან დახვეული მთელი გორგალი, რომლის გახსნა-დარღვევას ასობით ხელი, ვინ იცის, რამ-დენ წელს მოანდომებს და ისიც მხოლოდ მაშინ, უკეთუ ძაფი დამპალი არ იქნება და გამოქაჩისას თითებს არ შეაწყდება.

ასე მგონია, ყველა უამთაღმწერელს ემართება ამგვარი რამ, როცა იგი რომელიმე ეპოქის ამბავ-მოვლენათა აღწერას იწყებს და, ამავე დროს, უნ-და ჭეშმარიტების ერთგული დარჩეს. სად იყრის ეს ამბები თავს, რა აერთიანებს მათ, საითაა მი-მართული და რა აკავშირებთ ერთმანეთთან? იმისა-თვის, რომ შეიქმნას რაღაც კავშირი, რაღაც მი-ზეზ-შედეგობრივი მიმართება, რაღაცა აზრი, იმი-სათვის, რომ ამქვეყნად საერთოდ რაიმის თხრობა გახდეს შესაძლებელი, უამთაღმწერელმა უნდა გა-მოიგონოს მაკავშირებლები ყველაფერი, რაც კი სინამდვილეში უსახელოდ მომხდარა, ამ გა-მოგონილ მაკავშირებელთ მიაწეროს.

მაგრამ თუკი ესოდენ ძნელია დალაგებით თხრობა რამდენიმე მართლაც მომხდარი და და-მოწმებული ამბისა, მით უფრო უნდა გამიჭირდეს მე, ვინაიდან როგორც კი გადავწყვიტე ზუსტად დავაკვირდე მომხდარს, ყოველივე უმაღ საეჭვო ხდება, ყოველივე თვალსა და ხელს შუა მიქრება, ისევე, როგორც გაქრა, დაიშალა ჩვენი ძმობა და

ერთობა, ამქვეყნად რომ უგელაზე უფრო ძლიერი იყო: არ არსებულა თურმე არც კავშირი, არც ერთიანობა, არც ის შუაწერტილი, რომლის ირგვალივაც ტრიალებს ჩარხი.

ჩვენი მსხემობა დილის ქვეყანაში, ის მეგობრული კრებული, საფუძვლად რომ დაედო მას, ჩვენი ძმობა ყველაზე უფრო დიდი და საგულისხმო, დიახ, დიახ, ყველაზე უფრო დიდი და საგულისხმო რამ იყო ჩემს ცხოვრებაში, რასთან შედარებითაც თავად მე, ჩემი პიროვნება, წმინდა წყლის არარაობა გახლდით. და ახლა, როცა მე ამ დიდზე-დიდად მნიშვნელოვან ამბის მცირე ნაწილის ჩაწერა და შემონახვა მოვინდომე, ყველაფერი გაფანტულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სურათების გროვად იქცა, ოდესლაც რომ რაღაცას აურეკლავს და ეს რაღაც არის ჩემი საკუთარი „მე“, ხოლო ეს „მე“, ეს სარკე, მუდამუამ, როგორც კი დავაპირებ მისგან ამბის გადმოტანას, არარად იქცევა ხოლმე, იქცევა ხოლმე მხოლოდ და მხოლოდ სარკის ზედაპირად. ჰოდა, მეც განზევდებ კალამს, თუმცალა იმ იმედითა და განზრახვით, რომ ან ხვალ ან როდესმე სხვა დროს ისევ მოვსინჯო იგი, ახლიდან დავიწყო წერა, მოვყვეთავსგადახდილი. მაგრამ ამ განზრახვისა და იმედის მიღმა, ამ ჩემი დაუოკებელი სწრაფვის მიღმა მომაკვდინებელი ეჭვი იმალება, ეჭვი, მორბიოს ველზე ლეოს ძიების დღეებში რომ დაიბადა. ეს ეჭვი მარტოოდენ ამ კითხვას როდი აღმრავს: მოიყოლება კია ეს შენი ამბავი? იგი სხვა კითხვასაც ბადებს ჩემში: იყო კია შესაძლებელი ამ ამბის

განცდა-შეგრძნება? გავისსენოთ თუნდაც მსოფლიო ომების მონაწილეთა მაგალითი, რომელთაც თითქოს მართლაც ბევრი რამ განუცდიათ და მეცნიერულად დადასტურებული ამბების მოწმენიც ყოფილან, მაგრამ შიგადაშიგ ამგვარი ეჭვი მათაც სწორიათ.

### III

დავწერე ეს ყოველივე, მაგრამ ფიქრით მაინც კიდევ და კიდევ გარს ვუტრიალებ ამ ჩემს ჩანაფიქრს, ეგების საიდანმე მივუდგე, ეგების რაიმე გავახერხო-მეთქი. მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერს გავხდი, ისევ ქაოსი და არეულობაა ჩემს სულში, თუმცა საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, არამც და არამც არ მოვეშვა-მეთქი განზრახულს. და რაწამს ეს ფიცი დავდე, მზის სხივივით გამმსჭვალა ბედნიერმა მოგონებამ. დაახლოებით ასეთივე და ამგვარი გრძნობა დაეუფლა მაშინაც ჩემს გულს, ვიდრე ლაშქრობას დავიწყებდით: მაშინაც სომერთი შეხედვით შეუძლებელს მოვეჭიდეთ, მაშინაც სომ თითქოსდა წყვდიადს მივარღვევდით უგზოდ და უკვალოდ, სულ მცირედი იმედიც არა გვქონდა, რომ რაღაცას მივაღწევდით. და მაინც ენთო ჩვენს გულებში რწმენა იმისა, რომ რასაც ვიქმთ, მრწამსისა და გარდუგალობის ძალით ვიქმთ, და ეს რწმენა ყოველგვარ სინამდვილესა და შესაძლებლობაზე ძლიერი იყო. ურუანტელმა ჩამიარა და გული ამითრთოლა იმ განცდათა მო-

გონებამ და ამ ნეტარ თრთოლვის წუთებში ყოველივე განათდა, ყოველივე შესაძლებლად მეჩვენა.

მოკლედ, რაც იყოს, იყოს: მე გადავწყვიტები გქნა და გავიტანო. რომც მომიხდეს ამ ჩემი მოუთხრობელი ამბის ათჯერ და ასჯერ თავიდან დაწყება, რომც ჩემმა ზრახვამ სულ ერთი და იგივე უფსკრულის პირას მიმიყვანოს, მეასედაც ისევ ხელახლა დავიწყებ. თუ ერთ მთლიანობაში ვერ მოვუყარე თავი ცალკეულ სატს, იმას მაინც ვცდი, ყოველი ნამსხვრევი ამ ხატისა შეძლების-დაგვარად ზუსტად აღვნუსხო. და მე ყოველთვის მემახსოვრება — იმდენად, რამდენადაც ეს სადღე-ისოდ შესაძლებელია — ჩვენი დიადი დროის უპირველესი წესი და რიგი: არასოდეს დავემონო ანგარიშს, არასოდეს შევაცბუნებინო თავი გონებით ნაკარნახევ მოსაზრებებს, არასოდეს დავივიწყო, რომ რწმენა უფრო ძლიერია, ვინემ ეგრეთწოდებული სინამდვილე.

თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ ერთი პირობა კიდეც ვცადე, ჩემს მიზანს პრაქტიკული და გონიერი მხარით მივახლოებოდი. ერთ სიყრმის მეგობარს ვესტუმრე, ვინც ამ ქალაქშივე კხოვრობს, გაზეთის რედაქტორი გახლავთ და სახელად ლუკასი ჰქვია. იგი მსოფლიო ომის მონაწილე იყო და შემდგომ წიგნიც დაწერა ამაზე. ამ წიგნს ბევრი კითხულობს. ლუკასმა მეგობრულად მიმიღო. შეგატყვი, მართლაც გაახარა სკოლის ამხანაგის ნახვამ. ჩვენ ორჯერ ვისაუბრეთ, ორჯერვე საკმაოდ დიდხანს.

შევეცადე ამეხსნა, რა საქმეზე ვიყავი მისული.

მიუკიბ-მოუკიბავად ველაპარაკე და ორ დავუმალე, იმ დიდებული წამოწყების ერთ-ერთი მონაწილე ვარ-მეტქი, რასაც „დილის ქვეყნის მოხილვა“ ანუ ძმობის ლაშქრობა ჰქვია, როგორც ხშირად უწოდებდნენ სოლმე საზოგადოებაში ამ დიად საქმეს იმხანად და რაზეც ალბათ თვითონაც ექნებოდა ყური მოკრული. ოჰ, როგორ არა, ჩაიცინა დამცინავად, თუმცა ამ დაცინვას მეგობრული სითბო არ აკლდა, რასაკვირველია, ასხოვს ეს ამბავი, მის მეგობართა წრეში ამ უცნაურ შემთხვევას მეტწილად ერთობის უპატივცემლოდ, „ბავშვთა ჯვაროსნულ ლაშქრობას“ უწოდებდნენ. ისინი ამ წამოწყებას არცთუ ღიდად აფასებდნენ, უფრო თეოსოფიურ მოძრაობად და ხალხთა დამმობილების ერთ-ერთ ცდად მიიჩნევდნენ, თუმცა, ისიც უნდა ითქვასო, მითხრა, ამ წამოწყების ცალკეულმა წარმატებებმა აქაც გაოცება გამოიწვია; გულის ჩქროლვით წავიკითხეთო ცნობა, რა ვაჟკაცურად გადაგიჭრიათ ზემო შვაბია, რა საზეიმო შეხვედრა გქონიათ ბრემგარტენში და როგორ გადაგიციათო ტესინის მონტაგს-დორფი. ისე რომ კიდეც გვიფიქრია, რესპუბლიკურ პოლიტიკას ხომ არ მოვამსახუროთო ეს მოძრაობა; მაგრამ მერე იგი, როგორც ჩანს, დავიწყებას მიეცა, მიიწრიტა, გითარცა წყალი ქვიშაში. თურმე რამდენიმე ყოფილ წინამძღოლს მიუტოვებიხართ, სირცხვილით თქვენი გახსენებაც აღარ ნდომებიათო. თქვენი ამბები სულ უფრო იშვიათად და იშვიათად აღწევდათ ჩვენამდე, ისიც ერთმანეთის საწინააღმდეგო, ასე რომ ყოველივე ad acta შეირაცხა და დავიწყებას მიეცა ისევე,

როგორც ზოგიერთი სხვა ომისშემდგომი პოლი-ტიკური, რელიგიური თუ ესთეტიკური უცხო რამ ახირებული მიმდინარეობანი; მაშინ ხომ იმდენი წინასწარმეტყველი გამოჩნდა, იმდენი საიდუმლო საზოგადოება შეიქმნა, მაშინ ხომ კვლავ იფეთქა კაცთა ხსნის იმედმა და გაისმა ხმებიც, ამ ხსნას რომ სთავაზობდნენ მათ, მერე კი ყველაფერი უკვალოდ გაქრა, დავიწყებას მიეცაო.

ჩემთვის ნათელი იყო მისი თვალსაზრისი. ეს იყო კეთილმოსურნე უნდობლობის თვალსაზრისი. ძმობისა და დილის ქვეყანაში მსხემობის თაობაზე ლუკასივით იფიქრებდა ყოველი კაცი, ვისაც კი ყური მოეკრა ძმობის მოგზაურობის ამბებისათვის, მაგრამ თავად მონაწილე არ ყოფილა ამ განცდებისა. მე სულაც არ ვაპირებდი ლუკასი ჩემს თვალსაზრისსა და რწმენაზე მომექცია, მაგრამ ორიოდე ისეთი ცნობა ვაუწყე, რომელთაც მცირედ მაინც უნდა შეეცვალა მისი შეხედულებანი:— ჩვენი ძმობა სულაც არ იყო ომისშემდგომი მოვლენა, არამედ იგი კაცობრიობის მთელ ისტორიას მოსდევს და ერთ უწყვეტ ხაზსა ქმნის, თუმცა ხანდახან კი უჩინარდება, რომ მსოფლიო ომის ზოგიერთი ფაზაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ძმობის ისტორიის საფეხურები, რომ ზოროასტრი, ლათ ძი, პლატონი, ქსენოფონტე, პითაგორე, ალბერტუს მაგნუსი, დონ კიხოტი, ტრისტრამ შენდი, ნოვალისი, ბოდლერი ჩვენი ძმობის დამაარსებლები და ძმები გახლავან. ამ სიტყვებზე მან სწორედ ისერიგად ჩაიღიმა, როგორც მე მოველოდი. „კეთილი და პატიოსანი“, ვთქვი მე, „აქ იმის-

თვის სულაც არ მოვსულვარ, ჭკუა გასწავლოთ, პირიქით, თქვენგან მინდა ვისწავლო რამე. ჩემი მხურვალე ნატვრაა, დავწერო არა ძმობის ისტორია (ამას კარგად შეიარაღებული მეცნიერთა მთელი ლაშქარიც კი ვერ შეიძლებს), არამედ უბრალოდ მოვყვე ჩვენი მოგზაურობის ამბავი. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე, ვერა და ვერ შევუდექი საქმეს. არა მგონია, ლიტერატურული ნიჭი და უნარი მაკლდეს. — ამ მხრივ არც გახლავართ პატივმოყვარე. არა, საქმე ისაა, რომ აღარ არსებობს სინამდვილე, მე და ჩემმა ამხანაგებმა რომ შევიგრძენით; და თუმცა ყველაზე უფრო ძვირფასი და ცოცხალი, რაც გამაჩნია, ეს ძმობის მოგონებანია, მაინც ისე შორეულად მეჩვენება ისინი, იმდენად სულ სხვა ნივთიერებისაგან შემდგარი, ასე მგონია, სხვა ვარსკვლავებზე და სხვა ათასწლეულში მომხდარიყო, ანდა ავადმყოფური სიზმრები ყოფილიყო!“

„ეს გრძნობა ჩემთვის ნაცნობია“, წამოიძახა ლუკასმა ცოცხლად. ჩვენმა საუბარმა იგი ახლა უფრო დააინტერესა. „ჰოი, რა ნაცნობია იგი ჩემთვის! ხომ იცით, მეც ზუსტად ასეთივე რამ დამემართა ომის ამბებთან დაკავშირებით. ასე მეგონა, ომს კარგად ვიცნობდი-მეთქი — მე ხომ ჩემს ზურგზე გადავიტანე მთელი მისი სიმძიმე. იმდენი სურათი მიტრიალებდა თვალწინ, ლამის იყო, თავი გამსკლომოდა. ათასი კილომეტრის სიგრძის კინოფილი თითქო საკუთარ ჩვინში მეგულებოდა, მაგრამ მივუჯდებოდი თუ არა საწერ მაგიდას ჩემს საკუთარ ჭერქვეშ, დავჯდებოდი თუ არა სკამზე, მო-

ვიმარჯვებდი თუ არა კალამს, მაშინვე საოცრად შორი და შორი სდებოდა მიწასთან გასწორებული სოფლები და გადაპარსული ტყეები, ცეცხლში გა- სვეული აზანზარებული მიწა, ერთმანეთში აღრე- ული სიბინძურე და სიდიადე, სიმხდალე და გმი- რობა, გამოფატრული მუცლები და წაცლილი თა- ვები, სიკვდილის შიში და გაჭირვების იუმორი — ეს ყველაფერი, ჩემგან ეგზომ დაშორებული, მხო- ლოდ სიზმარი იყო, ერთმანეთთან დაუკავშირე- ბელი და ყოვლად მოუხელებელი. მოგეხსენებათ, მე მაინც დავწერე ჩემი წიგნი ომზე. ახლა მას ბევრი კითხულობს და ბევრსაც ლაპარაკობენ მას- ზე. მაგრამ აი, რას გეტყვით: ვერავინ დამარწმუ- ნებს, რომ ჩემსაზე ათჯერ უკეთესსა და დამაჯე- რებლად დაწერილ თუნდაც ათ ასეთ წიგნს შეუძ- ლია შეუქმნას კეთილგანწყობილ მკითხველს ოდ- ნავი წარმოდგენა ომზე, უკეთუ ამ მკითხველს ოვითონ არ გამოუვლია იგი. ხოლო ასეთი ხალ- ხის რიცხვი არცთუ ისე დიდია. თუმცა არც ომის „მონაწილეთაგან“ განუცდია ყველას იგი. და გინდაც ბევრს მართლაც განეცადოს, ამ ხალ- ხმა შემდგომში სულ მალე დაივიწყა ომი. ვინ იცის, ადამიანს განცდათა მოწყურვილების შემ- დეგ არაფერი ისე არ სწადია, როგორც დავი- წყება“.

იგი გაჩუმდა და ფიქრებში წავიდა. მისმა სი- ტყვებმა ჩემივე განცდილი და ნააზრევი დამიდას- ტურა.

„აბა, მაშინ, როგორდა შესძელით წიგნის და- წერა?“ — შევაპარე ცოტა ხნის მერე.

ფიქრებიდან გამორკვეული, წამით შეყოვნდა. „მხოლოდ იმიტომ შევძელი,“ მითხრა მან, „რომ სხვა გზა არ მქონდა. მე ან წიგნი უნდა დამატერა, ან უსასობას მივცემოდი. ეს იყო ერთადერთი სსნა, ეს მიხსნიდა არარაობისა, ქაოსისა და თვითმკვლელობისაგან. ამან დამატერინა წიგნი, ამან მიხსნა და გადამარჩინა. მთავარია, რომ დავწერე, სულ ერთია, ავად თუ კარგად. და კიდევ: წერის დროს ერთი წუთითაც არ მიფიქრია სხვა მკითხველზე, გარდა ჩემი თავისა; დიდი-დიდი თითოოროლა მახლობელი თანამებრძოლი მყავდა გუნებაში და მაშინაც განათუ ცოცხლად დარჩენილებზე ვფიქრობდი, არამედ იმათზე, ვინც დაიღუპა. წერის დროს ციებცხელებიანივით თუ გიშივით ვიყავ, რომელსაც გარს არტყია სამი-ოთხი დასახირებული სხეული — ასე შეიქმნა ჩემი წიგნი“.

და მოულოდნელად ესეც დააყოლა — ამით დასრულდა ჩვენი პირველი საუბარი: „მაპატიეთ, ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. ვერც ერთ სიტყვას. არა, არ შემიძლია, არ მსურს. ნახვამდის“.

ამ სიტყვებით გარეთ გამომისტუმრა.

მეორე შეხვედრისას ისევე მშვიდი და თავდაჭერილი იყო, მსუბუქი, დამცინავი ლიმი ისეგ დასთამაშებდა ბაგეზე, თუმცა ჩემს გასაჭირსაც თითქოს უფრო მეტი გულისყურით მოეკიდა. ისე მეჩვენა, კარგად გაიგო-მეთქი, რაც მინდოდა. ორიოდე რჩევაც მომცა, მეტნაკლებად რომ გამომადგა კიდევც. ამ მეორე და უკანასკნელი გასაუბრების დასასრულს კი, თითქოს სხვათა შორის, მითხრა:

„გამიგონეთ, რად უბრუნდებით ისევ და ისევ მსახურ ლეოს ამბავს? ეს მე არ მომწონს. როგორც ჩანს, აქ რაღაც იმალება; მოდით, მოეშვით, მოიშორეთ ლეო თავიდან, ვაითუ აკვიატებულ იდეალ გადაგექცეთ“.

მინდოდა მეთქვა, აკვიატებული იდეის გარეშე, აბა, რომელი წიგნი დაწერილა-მეთქი, მაგრამ იგი უკვე აღარ მისმენდა. ამის მაგივრად თვითონ მკითხა ანაზღად ისეთი რამ, რამაც შემაკრთო: „არა, მართლა ლეო ერქვა იმას?“

შუბლზე ოფლმა დამასხა.

„დიახ“, ვუთხარი, „მარილა ლეო ერქვა“.

„სასელი იყო მისი თუ გვარი?“

მე დავიბენი.

„არა, სახელად ერქვა... ერქვა... აღარ მახსოვს, ღამავიწყდა. ლეო გვარი იყო მისი. ჩვენ სხვაგვარად არასდროს არც დაგვიძახნია მისთვის“.

ვიდრე მე ამას ვლაპარაკობდი, ლუკასმა საწერი მაგიდიდან სქელი წიგნი აიღო და ფურცელას მოჰყვა. საოცრად სწრაფად მიაგნო, რასაც ეძებდა და გადაშლილი გვერდის ერთ ადგილს თითი დაადო. ეს გახლდათ სამისამართო წიგნი და იქ, სადაც მას თითი ედო, ლეოს გვარი ეწერა.

„აბა, შეხედეთ,“ ჩაიცინა მან, „ერთი ლეო უკვე აგერ გვყავს. ლეო ანდრეას, ზაილერგრაბენის 69-ა. ეს იშვიათი გვარია; იქნებ ამ კაცმა იცის იმ თქვენი ლეოს ამბავი. მიაკითხეთ. ეგების გითხრათ ის, რაც თქვენ გჭირდებათ. მე მეტს ვერაფერს გეტყვით. ახლა კი დრო აღარ დამრჩა, მაპატიეთ, ფრიად გამახარეთ“.

გაოცებისა და აღელვებისაგან წავპარბაცდი, როცა კარი გამოვიხურე და გამოვედი. ეს კაცი მართალი იყო. მე მასთან გასარკვევი აღარაფერი მქონდა.

იმავე დღეს წავედი ზაილერგრაბენზე, მოვძებნე ის სახლი და ვიკითხე, თუ ცხოვრობს-მეთქი აქ ბატონი ანდრეას ლეო. თურმე მეოთხე სართულზე ჰქონია ერთი ოთახი. მითხრეს, საღამოობითა და კვირაობით თუ ნახავს შინ კაცი, დღისით კი სამუშაოზე დადისო. ისიც ვიკითხე, რა ხელობის ბრძანდება-მეთქი. ხან რას აკეთებს და ხან რასო, თქვეს, ფრჩხილების დაჭრა და მასაუი იცისო, მალამოებსაც ამზადებს და ბალახეულით მკურნალობაშიც ერკვევაო. როცა საქმე შემოეღევა და ცხოვრება ჭირს, ძალლების წვრთნასა და პრეჭასაც არ თაკილობსო. გადავწყვიტე, ისა ჯობს, შევეშვა ამ კაცს, არაფერი ვუთხრა-მეთქი ჩემი განზრახვის თაობაზე, და გამოვტრუნდი. ისე კი ძალზე მინდოდა მისი ნახვა. ამიტომაც ხშირ-ხშირად ვსეირნობდი იმ ქუჩაზე და თვალი სულ იმ სახლისაკენ მეჭირა, დღესაც ვესტუმრები იქაურობას, ვინაიდან აქამდე ვერასდროს მოვახერხე თვალი მაინც მომეკრა-ანდრეას ლეოსთვის.

ვაი, რომ მთელი ეს ამბავი სასოწარკვეთისკენ მიმაქანებს და, ამავე დროს, ბელნიერსაც მხდის, უფრო სწორედ, აღმაგზნებს, მძაბავს, საკუთარ თავსა და ცხოვრებას ჩემთვის კვლავაც მნიშვნელოვანს ხდის, რაიც ესოდენ მაკლდა აქამდე.

ვინ იცის, ალბათ მართალნიც არიან ის პრაქტიკოსი ფსიქოლოგები, ადამიანის ყოველ მოქმე-

დებასა და საქციელს თავკერძობას რომ მიაწერენ, თუმცა მე მაინც ვერა და ვერ გამიგია: ის ადამიანი, ვინც მთელი დღე და მოსწრება ერთ ხაქმეს ემსახურება, არად მიიჩნევს დროსტარებას, კარგ ცხოვრებას და მსხვერპლად ეწირება რაღაცა მიზანს, ვითომ რად უნდა აკეთებდეს იგივეს, რასაც ის კაცი, ვინც მონებითა თუ საბრძოლო იარაღით ვაჭრობს და ამ შემოსავალს დიდებულად ასმარს თავის თავს. მაგრამ ეჭვი არ არის, მე რომ ერთ-ერთ ასეთ ფსიქოლოგს შევედავო და შევეპარექრო, წაგებული და მტყუანი მევე დავრჩები და მხილებულიც მევე ვიქნები, ვინაიდან ფსიქოლოგები ის ხალხია, ყოველთვის მართალნი რომ გამოდიან, ყოველთვის მოგებულნი რომ რჩებიან. თუმცა, მე რომ მკითხო, დაე, იყვნენ მართალნი. ჰოდა, რაღაი გამოდის, რომ ყველაფერი, რაც მე მომწონდა და ლამაზი მეგონა, ყველაფერი, რისთვისაც მსხვერპლი გამიღია, მხოლოდ ჩემი თავკერძული მისწრაფება ყოფილა; ჩემი გეგმაც, დამეწერა დილის ქვეყანაში მსხემობის ისტორიის მაგვარი რამ, დღითი დღე უფრო აშკარა თავკერძოებად მიმაჩნდა. თუ თავდაპირველად მეგონა, კეთილშობილი საქმის სამსახურმა მეტისმეტად სამძიმო საქმე მაკისრებინა-მეთქი, ახლა სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემი მოგზაურობის აღწერით მეც მარტოოდენ იმისკენ ვისწრაფვი, რისკენაც ისწრაფოდა ლუკასი თავისი წიგნით: კერძოდ, მეხსნა და გადამერჩინა ჩემი სიცოცხლე იმის წყალობით, რომ ისევ აზრი მიმედა მისთვის.

მაგრამ რომ ვერ ვხედავ გზას! ერთი ნაბიჯიც  
რომ ვერ გადამიდგამს წინ!

„მოდით, მოეშვით, მოიშორეთ ლეო თავიდან!“  
მითხოა ლუკასმა. ასევე შემეძლო მე თავის, ანდა  
სტომაქის მოშორება და იმათვან თავის დახსნა!

ღმერთო ძლიერო, შემეწიე და დამეხმარე მცი-  
რედ მაინც!

#### IV

ახლა ყოველივე კვლავ შეიცვალა. და თუმცა  
ჯერ ვერ ვიტყვი, რამდენად წინ წაიწია ჩემი საქ-  
მე, ეს კია, ისეთი რამ განვიცადე, ისეთი რამ გა-  
დამხდა თავს, თავის დღეში რომ არ ველოდი...  
მაგრამ განა მართლა არ ველოდი, განა არ მიგრ-  
ძნობდა წინასწარ გული, განა არ მეშინოდა ამი-  
სი? დიახაც, რომ ასე იყო. და მაინც საკმაოდ საო-  
ცარი და დაუჯერებელი რამ შემემთხვა.

ვინ იცის რამდენჯერ, იქნებ ოცჯერ და უფ-  
რო მეტჯერაც კი ვყოფილვარ სასეირნოდ ზაი-  
ლერგრაბენზე და ბევრჯერ ჩამივლია იმ სახლის-  
თვისაც მუდამ ერთი გადაწყვეტილებით: მოდი,  
ერთხელ კიდევ ვცდი და თუ არ გამიმართლა, აღა-  
რასდროს მოვალ-მეთქი. მაგრამ მაინც ისევ და  
ისევ ვუბრუნდებოდი იქაურობას. და აი, ვუშინწინ  
საღამოს აკი გამიმართლა ბედმა. გამართლებაც  
ამას ჰქვია. იმ სახლის მომწვანო-მორუსო ბათქაშ-  
ზე უკვე ყოველ ბზარსა და ღრიჭოს ვცნობდი, ჰო-  
და, უცებ მაღლა სართულის ერთ-ერთი ფანჯრი-  
დან ცეკვისა თუ სიმღერის, უკეთ — ქალაქური

სიმღერის ჰანგი მომესმა. ეიდაცა სტვენდა აშ  
ჰანგს. ჯერ არა ვიცოდი რა და მაინც მივაყურე.  
აშ ჰანგმა რაღაცა გამახსენა, დავიწყების ბურანი-  
დან რაღაც მოგონებამ გამოაღწია. ის ყოვლად  
ჩვეულებრივი ჰანგი ვიღაცის ბაგეთაგან ისე სა-  
ოცრად ტკბილად, მსუბუქად წარმოდინდებოდა,  
ისე უჩვეულოდ ამოდ, ბუნებრივად, წმინდად,  
უშუალოდ უღერდა, ვითარცა ფრინველის გალობა.  
ვიდექი და მოჯადოებული ვუსმენდი რაღაც უც-  
ნაური გრძნობით შებოჭილი, თუმცალა გუნებაში  
არაფერი გამივლია და თუ რამე გავიფიქრე, ალბათ  
მხოლოდ ის, რომ ვისაც ასეთნაირად შეუძლია  
სტვენა, ძალიან ბედნიერი და ძალიან საყვარელი  
კაცი უნდა იყოს-მეთქი.

უკვე ბინდდებოდა, მაგრამ ჯერ არც ერთი ფან-  
ჯარა არ იყო განათებული. შეწყდა სტვენა, აღარ  
ისმოდა იმ სადა მელოდიის უბრალო ვარიაციები.  
სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა ალბათ სინათლეს აან-  
თებენ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მთელი სახლი  
კვლავაც სიბნელით იყო მოცული: უცებ გავიგო-  
ნე, მაღლა როგორ მიჯახუნდა კარი, მალე კიბეზე  
ფეხის ხმა გაისმა, სადარბაზოს კარი უხმაუროდ  
გაიღო და ვიღაც გარეთ გამოვიდა. სიარულიც  
ისეთივე ჰქონდა, როგორიც სტვენა: მჩატედ, ცეპ-  
ვა-ცეპვით მოდიოდა, ოღონდ მტკიცედ, ყოჩაღად  
და ჭაბუკურად. არც ისე მაღალი კაცი იყო, მაგ-  
რამ ერთობ მოხდენილი და კოხტა. თავზე არაფერი  
ეხურა. მაშინ კი მიკარნახა გუმანმა: ეს ლეოა, სა-  
მისამართო წიგნის ლეო კი არა, ჩვენი ლეო, ჩვე-  
ნი საყვარელი თანამგზავრი და მსახური, ვისმა

დაკარგვამაც მაშინ, ათი თუ უფრო მეტი წლის  
წინათ ესოდენ დაგვამწუხრა და თავგზა აგვიბნია.  
იმ პირველი სიხარულისა და გაოცების წამს კი-  
ნალამ დავუძახე. ახლაღა გამახსენდა, მხოლოდ ახ-  
ლა, რომ ჯერ კიდევ დილის ქვეყანაში ჩვენი  
მსხემობის უამს ხშირად მომისმენია მისი სტვენა.  
ეს, დიახაც, მაშინდელი პანგები იყო და მაინც სა-  
ოცრად განსხვავებულად უღერდა ახლა. გული ისე  
მეტკინა, თითქოს ზედ დანა დამისვესო. პოი, მას  
შემდეგ რარიგ შეცვლილა ყველაფერი – ცა, პაერი,  
წელიწადის დრონი, სიზმრები, ძილი, დღე და  
ღამე, რა საშინლად, რა ძირეულად შეცვლილა,  
თუკი ნაცნობი სტვენა, ნაცნობი ნაბიჯების ხმა –  
აწ გარდასული დროის მხოლოდ მოგონება – ეგ-  
ზომ მისერავს გულს, ეგზომ დიდ ტკბობასა და  
თან ეგზომ დიდ ტკივილს მანიჭებს!

იგი ლალად, მხიარულად მოაბიჯებდა თავაღე-  
რილი, უქუდოდ, გაღეღილი ცისფერი პერანგი-  
დან შიშველი კისერი მოუჩანდა. ისე სწრაფად ჩა-  
იქროლა მოსალამოებულ ქუჩაზე, თვალი ძლივს  
მივატანე ლეოს ჩამოქნილ ტანს, მის ლამაზ პი-  
რისახეს. ჩაიქროლა ისე ჩუმად, არც გამიგია მისი  
მსუბუქი სანდლებისა თუ სპორტული ფეხსაც-  
ლის ხმა. უკან გავყევი. განა შემეძლო არ გავ-  
ყოლოდი? ასე ჩაიარა შესახვევი. და თუმცა მსუბუ-  
ქად, ძალდაუტანებლად და ახალგაზრდულად მია-  
გიჯებდა, მისი ნაბიჯი ამავე დროს საღამოსაც  
ეწყობოდა, ამ ბინდის მუსიკასაც, ქალაქის გული-  
დან მოდენილ ყრუ ხმებსაც, ეს წუთია ანთებულ  
ფარანთა მბჟუტავ შუქსაც.

წმინდა პავლეს კარიბჭესთან პირველსავე ხეს-  
თან გადაუხვია და მრგვალად შეკრეჭილ მაღალ  
ბუჩქებში გაუჩინარდა. ნაბიჯს ავუჩქარე, არ და-  
მეკარგოს-მეთქი. აგერ ისევ გამოჩნდა, დინჯად  
მიჰყვებოდა იასამნის ბუჩქებსა და აკაციებს. გზა  
ორი მხრიდან უვლიდა პატარა ჭალას. გზის პი-  
რებზე რამდენიმე სკამი იდგა. ხეების ქვეშ უკვე  
საკმაოდ ბნელოდა. ლეომ პირველ სკამს ჩაუარა —  
იქ შეყვარებული წყვილი იჯდა; მომდევნო სკამი  
ცარიელი იყო; ჰოდა, იქ ჩამოჯდა, სკამის ზურგს  
მიეყრდნო, თავი უკან გადააგდო და ერთხანს ფოთ-  
ლებსა და ლრუბლებს შეაცქერდა, შემდეგ სერ-  
თუკის ჯიბიდან პატარა მრგვალი კოლოფი ამოა-  
ძირინა, თეთრი ლითონის კოლოფი, გვერდით  
მოიდო და თავი ახადა. მერე იქიდან რაღაც ამო-  
იღო, პირში ჩაიდო და ნელა, სიამოვნებით შეექცა.  
მე ერთხანს ბუჩქების წინ მიმოვდიოდი. მერე მის  
სკამს მივუახლოვდი და მეორე კიდეზე ჩამოვჯე-  
ქი. თავი ასწია, ლია ნაცრისფერი თვალებით შე-  
მომხედა და ისევ განაგრძო ჭამა. თურმე ჩირი იყო,  
ორიოდე ქლიავი და ნახევარი გარგარი. ორი თი-  
თით ამოჰქონდა ჩირი, ოდნავ მოსრესდა და ნელა,  
სიამოვნებით ღეჭავდა. საკმაო ხანი გავიდა, ვიდრე  
უკანასკნელს ამოიღებდა და მიირთმევდა. მერე ისევ  
დაახურა თავი კოლოფს, შეინახა, უკან გადაწვა და  
ფეხები გაჭიმა; მაშინ დავინახე, მის ტილოს ფეხ-  
საცმელს დაგრეხილი ბაწრის ძირი რომ ჰქონდა.

„ამაღამ იწვიმებს“, წარმოთქვა ისე, ვერ გა-  
ვარკვიე, მე მითხრა თუ თავისთვის ჩაილაპარაკა.

„შესაძლოა“, წავიბუტბუტე გაუბედავად. თუკი  
ქამდე ვერც სახით მიცნო, ვერც სიარულით, ხომ

შეიძლება, და დარწმუნებული ვიყავი კიდეც, ხმა, ზე შევეცანი.

მაგრამ ლეომ ვერც ხმაზე მიცნო, და თუმცა თავდაპირველად მე თვითონაც ასე მეწადა, მაინტ საოცრად დამწყდა გული, რომ ვერ მიცნო. ამ ამ წელიწადში იგი არ შეცვლილიყო და არც სიბერ დასტყობოდა, მე კი სულ სხვაგვარად, ვაი, რო სულ სხვაგვარად გამოვიყურებოდი.

„რა კარგი სტვენა გცოდნიათ“, ვთქვი, „წერა იქ, ზაილერგრაბენზე მოგისმინეთ და ძალიან მო მეწონა. უნდა გითხრათ, რომ ადრე მეც მუსიკოს გახლდით“.

„მუსიკოსი“? მითხრა გულითადად, „ეს მშვინიერი ხელობაა. მერედა, მიატოვეთ?“

„დიახ, დროებით. ვიოლინოც კი გავყიდე“. „

„ჰომ? ძალზე სამწუხაროა. იქნებ გიჭირთ? მიმის თქმა მინდა: მშიერი ხომ არ ბრძანდებით შინ კიდევ მაქვს საჭმელი და ჯიბეშიაც ორიოდ მარკა მომეძებნება“. „

„რასა ბრძანებთ“, მივატანე საჩქაროდ, „ამიტომ სულაც არ მითქვამს. საკმაოდ კარგად ვცხოვ რობ, იმაზე მეტიც კი მაქვს, ვიდრე მჭირდება მაგრამ მაინც მადლობას მოგახსენებთ, ძალიან მე სიამოვნა, რომ დამპატიუეთ. ხშირად როდი შეგ ხვდება კაცს კეთილი ხალხი“. „

„ასე გგონიათ? თუმცა, იქნებ მართალიც იყო ადამიანები სხვადასხვანაირნი არიან, ხშირად საკმაოდ უცნაურნიც. აი, თქვენც უცნაური ბრძანდებით“. „

„მე? მაინც რატომ?“

„იმიტომ, რომ ფული ხაკმათ ვქონიათ, ვით  
ლინო კი გავყიდეო, იძახით! განა ასე მოგაბეზრათ  
თავი მუსიკამ?“

„მაგას ნუ იტყვით! მაგრამ ხანდახან ხომ ხდება  
ისეც, რომ ადამიანს აღარ გახარებს, რაც მანამდე  
ასე გიყვარდა. ხომ ხდება, რომ მუსიკოსი თავის  
ვიოლინოს ან გაყიდის ანდა კედელს მიანარცხებს,  
რომ მხატვარი ერთ მშვენიერ დღეს ყველა თავის  
სურათს დაწვავს. განა არ გაგიგიათ ასეთი რამ?“

„როგორ არა, ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა,  
ოღონდაც ეს სასოწარკვეთას მოჰყვება ხოლმე. მე  
ორ ადამიანს ვიცნობდი, თავი რომ მოიკლეს. სუ-  
ლელები განა ცოტა არიან, ისინი უნდა შეიცოდოს  
კაცმა. ზოგს ვერც დაეხმარები. ახლა რას აკე-  
თებთ, ვიოლინო რომ აღარა გაქვთ?“

„აჰ, ხან რას და ხან რას. თუმცა, მართალი  
გითხრათ, არც ისე ბევრს, ახალგაზრდა აღარა ვარ,  
ხშირადაც ავადვმყოფობ. თუმცა სულ იმ ვიოლი-  
ნოს რად მიხსენებთ, განა ასე დიდ რასმე ნიშნავს?“

„ვიოლინო? ეს წუთია მეფე დავითზე გავი-  
ფიქრე“. .

„რა ბრძანეთ? მეფე დავითზე? რა შუაშია აქ  
მეფე დავითი?“

„ისიც ხომ მუსიკოსი იყო. ჯერაც სულ ყრმა  
სავლე მეფეს ქნარით ატკბობდა, სიავესა და  
ღვარძლს ავიწყებდა. მერე კი თვითონაც მეფე  
შეიქნა, დიდი მეფე, საზრუნავით დამბიმებული,  
თავისნება და თავისგუნება. იგი იყო გვირგვინო-  
სანი, მეომარი, მეფე მხედარი, ვინც არაერთი სი-  
საძაგლე ჩაიდინა და სახელიც დიდად გაითქვა. მაგ-

ამ როცა მის ცხოვრებაზე ვფიქრობ, ყველაზე  
მეტად მაინც ყრმა დავითი მხიბლავს, ხელში რომ  
ქნარი უჭირავს და საცოდავ სავლესთვის უკრავს.  
და გული მწყდება, რად გახდა-მეთქი შემდგომში  
მეფე. განა უფრო ბედნიერი და მოსაწონი არ იყო  
იმ დროს, როცა იდგა და ქნარზე უკრავდა?“

„რა თქმა უნდა“, შევძახე ცხარედ, „რა თქმა  
უნდა, ის მაშინ უფრო ახალგაზრდაც იყო, უფრო  
მოსაწონიც და ბედნიერიც. მაგრამ აღამიანი მა-  
რად არ რჩება ახალგაზრდა. თქვენი დავითიც  
უამთა ვითარებაში დაბერდებოდა, სილამაზეს და-  
კარგავდა და საზრუნავიც ბევრი გაუჩნდებოდა, კი-  
დეც რომ მუსიკოსად დარჩენილიყო. მაგრამ იგი  
გახდა დიდი დავითი, მოიმოქმედა თვისი საქმე-  
ნი და ფსალმუნებიც დაგვიტოვა. ცხოვრება განა  
მხოლოდ თამაშია!“

ლეო წამოდგა და დამემშვიდობა.

„უკვე ღამდება“, ასე მითხრა, „და საცაა გაწ-  
ვიმდება. მე ბევრი არა ვიცი რა დავითის საქმე-  
ებისა. ისიც არ ვიცი, დიდი იყო თუ პატარა ეს სა-  
ქმები. მართალი გითხრათ, არც მისი ფსალმუნე-  
ბისა გამეგება რა. მე მათზე ცუდს ვერაფერს ვი-  
ტყვი. მაგრამ ცხოვრება რომ მხოლოდ თამაში არაა,  
ამას ვერა დავითი ვერ დამიმტკიცებს. როცა კაცს,  
ლამაზი და ბედნიერი ცხოვრება აქვს, ის მართ-  
ლაც თამაშია და სხვა არაფერი! რა თქმა უნდა, შე-  
იძლება ცხოვრება ათას სხვა რამედაც აქციო —  
ვთქვათ, მოვალეობად, ბრძოლად თუ საპყრობი-  
ლედ, მაგრამ უფრო მშვენიერს ამით ვერ გახდი.  
ნახვამდის, მოხარული გახლავართ“.

იგი წავიდა. მჩატედ, მშვიდად მიაბიჯებდა ეს საოცარი, საყვარელი ადამიანი. და ის იყო, თვალს უნდა მოფარებოდა, რომ საბოლოოდ მიმტკუნა თავშეგავებამ, სასოწარკვეთილი დავედევნე და მუდარით შევძახე: „ლეო, ლეო! თქვენ ხომ ლეო ხართ. ნუთუ ვეღარ მცნობთ? ჩვენ ხომ ძმობის წევრები ვიყავით და დღემდეც ასე უნდა დავრჩენილიყავით. ჩვენ ხომ ორთავე დილის ქვეყანაში ვართ წამოსული სალოცავად. განა მართლა დამივიწყეთ, ლეო? განა მართლა აღარაფერი იცით გვირგვინის მცველთა, კლინგზორისა და გოლდმუნდის, ბრემგარტენის ჰეიმის, მორბიო ინფერიორეს ხეობის თაობაზე? ლეო, შემიბრალეთ!“

მეშინოდა, გაიქცევა-მეთქი, მაგრამ არ გაქცეულა და არც ჩემკენ მობრუნებულა; დინჯად მიაბიჯებდა, თითქოს ჩემი მუდარა ვერც გაიგოო. როცა დავეწიე და გვერდით ამოვუდექი, დიდად, მგონი, არც სწყენია.

„თქვენ მეტისმეტად სწუხართ და ფიცხობთ“, მითხრა დაყვავებით, „ეს კი არ ვარგა. დაგიმახინჯდებათ პირისახე და შეიძლება ავადაც გახდეთ. ისევ ჯობს, ნელა ვიაროთ, ეს ძალიან აწყნარებს კაცს. წვიმის ორიოდე წვეთიც საუცხოოა, განა არა? ასე გვინია, ნელსაცსებელი გეპკურა მაღლით“. „ლეო“, შევემუდარე, „შემიბრალეთ! ერთი სიტყვით მაინც მითხარით: მცნობთ თუ არა?“

„დიახ, დიახ,“ განაგრძო კვლავ დაყვავებით, თითქოს ავადმყოფს ან მთვრალს ელაპარაკებაო, „ყველაფერი მალე გაივლის. ეს მხოლოდ წამიერი აღელვება იყო. თქვენ მეკითხებით, გიცნობთ თუ

არა? განა ვინმე კაცთაგანი იცნობს ან სხვას ანდაც  
თავის თავს? მე ადამიანთა ვერაფერი მცოდნე გახ-  
ლავართ და არც მინდა ვიყო. აი, ძალლებს, ფრინ-  
ველებს და კატებს კი კარგად ვიცნობ. თქვენ კი,  
ბატონო ჩემო, მართლა არ ვიცნობთ“.

„მაგრამ თქვენ ხომ ძმობის წევრი იყავით?  
ხომ ჩვენთან ერთად ადექით გზას?!“

„მე მუდამაც გზას ვადგავარ, ბატონო ჩემო,  
მუდამაც ძმობის წევრი ვარ. ზოგნი მიღიან, ზოგნი  
მოღიან, ზოგს თითქოს იცნობ, თითქოს არ იცნობ.  
ძალლებთან ამდენი ამბავი როდია საჭირო. აბა,  
ერთ წამს შეჩერდით და დააკვირდით!“

მან მოძლვარივით ასწია თითი. ჩვენ ვიღექით  
ჩაბნელებული ბალის ბილიკზე, თანდათან რომ  
იფარებოდა წმინდად განაცერი წვიმის წვეთებით.  
ლეომ ტუჩები დაამრგვალა და ხმადაბლა, მაგრამ  
გაბმით დაუსტვინა. მერე ერთხანს შეიცადა და  
ისევ დაუსტვინა. შევკრთი კიდევაც, როცა უეც-  
რად რკინის მესრის მეორე მხარეს ბუჩქებიდან  
უზარმაზარი ნაგაზი გამოხტა და წკმუტუნ-წკმუ-  
ტუნით მესერს მოაწყდა, ალბათ იმიტომ, რომ  
ლეოს თითები გაეყო მესერში და მოფერებოდა.  
მწვანედ კვესავდა მისი ვეებერთელა თვალები.  
მაგრამ როგორც კი თვალს მკრავდა, ყელის  
სილრმიდან, შორეული გრგვინვასავით თანდათან  
მოძალებული ჩუმი ღრენა ამოდიოდა.

„ეს ნაგაზი ნეკერი გახლავთ,“ გამაცნო ლეომ.  
„ჩვენ კარული მეგობრები ვართ. ნეკერ, ეს კაცი ყო-  
ფალი მევიოლინეა, ნურც ნურაფერს დაუშავებ და  
ნურც შეუყეფ“. 62

ასე ვიდექით ერთხანს. ლეოს რკინის მესერში გაეყო ხელი და ნაგაზს სველ ბალნიან ზურგს ნახად უფხანდა. მართალი გითხრათ, ლამაზი სურათი იყო და მომეწონა, ლეო ამ ძაღლს რომ მეკობრობდა და ძაღლიც ასე მიეხარა ამ შუალამისას. ოღონდაც გული მატკინა და თან აუტანელიც მეჩენა ის ამბავი, რომ ამ ნაგაზსა, თუ იქნებ, უბნის ქრელა ძაღლს ლეო გულითად მეგობრად ეგულებოდა, მაშინ როცა ჩვენ უცხოობის მთელი სამართლო გვაშორებდა. მეგობრობა და ნდობა, რაზეც ასე ვემუდარებოდი და რისთვისაც თავს ასე კიმცირებდი, თითქოს მარტოოდენ ნეკერს კი არა, უოველ ცხოველს, წვიმის ყოველ წვეთს, მიწის უოველ გოჯს ეპუთვნოდა, სადაც კი ლეო ფეხს ჩაადგამდა. თითქოსდა მათთვის მიეძღვნა თავისი ულის რაღაც ნაწილი, თითქოს მღელვარების ულტივოდა მუდამ სხვა ცოცხალი არსებებისა თუ ირგვლივ არსებულ გარემოსკენ, თითქოს იცნობდა უველას და ყოველს და მასაც ყვილა იცნობდა, უველას უყვარდა — მხოლოდ ჩემკენ, ვისაც ასე იყვარდა და მესაჭიროებოდა მისი თავი, არ ილპვოდა იგი, მხოლოდ მე გამინაპირა და უცხოდ, კივად მიმზერდა, არ გამისსნა თავისი გულის ყარი, ამომშალა მესსიერებიდან.

აუჩქარებლად განვაგრძეთ გზა. მესრის მეორე ხრიდან ლეოს ნაგაზი მიაცილებდა და ჩუმი წკმულუნით სიყვარულსა და სიხარულს გამოხატავდა, ან არც ჩემს უსიამო არსებობას ივიწყებდა, ვიადან ლეოს ხათრით რამდენჯერმე მოიშთო ყანატოში მტრობისა და მუქარის გამომხატველი რუ ღრენა.

„მაპატიეთ“, წამოვიწყე ისევ, „რომ აგეკიდეთ  
და ამდენი დრო დაგაკარგვინეთ. შინ დაბრუნება,  
და დაძინება გნებავდათ ალბათ“.

„ოჰ, ეგ ამბავი ნუ შეგაწუხებთ“, ჩაიცინა მან  
„მე ყაბულსა ვარ, გინდაც მთელი ლამე ვიხეტია.  
ლო, საამისოდ არც დრო მაკლია და არც გუნება-  
თუკი თქვენთვის არ იქნება მეტისმეტი“.

რა თქმა უნდა, მეგობრულად ჩაილაპარაკა, არ,  
გუნებაში გაუფიქრია სხვა რამ. მაგრამ რაწამსა-  
კი ეს სიტყვები წარმოთქვა, უცებ ყველა სახ-  
სარმა მიგრძნო, რა საშინლად დავღლლილვარ თურ-  
მე, როგორ მიჭირს ყოველი ნაბიჯის გადადგმა ა  
უაზრო და დამამცირებელი სეირნობისას.

„მართალი ბრძანდებით“, ვთქვი ფარხმალდაყ-  
რილმა, „ახლალა ვიგრძენ, რა ძალიან დავიღალა  
გარდა ამისა, უაზროვან არის ამ ღამესა და წვიმაშ-  
ხეტიალი და სხვისთვის თავის მობეზრება“.

„როგორც გენებოთ“, მითხრა მან ზრდილად.

„ეჸ, ბატონო ლეო, მაშინ, ძმობის მსხემობი  
ხანს დილის ქვეყანაში ასე როდი მელაპარაკებო-  
დით. ნუთუ მართლა დაივიწყეთ ყველაფერი?  
თუმცა რა აზრი აქვს ლაპარაკს, აღარ გაგაჩი-  
რებთ. ღამე მშვიდობისა“.

იგი ურთბეაშად მიიმაღა ღამის სიბნელეში. მ  
კი დავრჩი მარტოდ-მარტო, გაბრიყვებული, გაწ-  
ბილებული. დიახ, ეს თამაში მე წავაგე. მან ვე  
მიცნო, არ მოინდომა ვეცნე, მასხარადაც კ  
აძიგდო.

უკან გამოვპრუნდი. რკინის მესრის მეორ-  
მხრიდან კი გააფთრებით მიყეფდა ნეკერი. შუა-

გულ ზაფხულის ამ თბილ, წვიმიან ღამეს დაღლილობამ, სევდამ და მარტოობამ ერთიანად გამოიშა, გამყინა.

ადრეც მქონია ასეთი წუთები. ამგვარი სასოწარკვეთის უამს, ყოველთვის მეგონა, თითქოს მე, გზააბნეულმა ყარიბმა, სამყაროს განაკიდეს მინაღწიე და ისლა დამრჩენია, დავნებდე უკანასკნელ კაეშანს: გადავხტე სამყაროს განაკიდედან და სიცარიელეს, სიკვდილს მივცე თავი. მას შემდეგ კვლავაც ხშირად მწვევია სასოწარკვეთა, მაგრამ თავის მოკვლის მძაფრი სურვილი ამასობაში გარდაიქმნა და მერე თითქმის სრულიად გაქრა. სიკვდილი აღარ იყო ჩემთვის არარაობა, აღარ იყო სიცარიელე, არც უარყოფა. ბევრმა სხვა რამემაც იცვალა ფერი, გადასხვაფერდა. სასოწარკვეთის წუთებს ახლა ისეგე აღვიქვამ, ვით ფიზიკურ ტკივილს: ადამიანი ითმენს ტკივილს, ხან ჯიუტად, ხანაც წუწუნებს, ეს ტკივილი ზოგჯერ დიდია, ზოგჯერ — პატარა, ჰოდა, ადამიანიც ხან ცოფდება, ხანაც დამცინავი ცნობისმოყვარეობა აიტანს ხოლმე: ნეტა სადამდე გაგრძელდება, ნეტა სადამდე შეიძლება იმატოსო ამ ტკივილმა.

მთელი ჯავრი ჩემს გულგატეხილ ცხოვრებაზე, რაიც დილის ქვეყანაში იმ უიღბლო მსხემობიდან ჩემი ეული დაბრუნების შემდეგ სულ უფრო და უფრო გაუფასურდა და ლაჩრული გახდა, მთელი ურწმუნოება საკუთარი თავის, ნიჭისა და უნარისადმი, სინანულითა და შურით აღსავსე მთელი სევდა ჩემი ცხოვრების ოდესლაც კეთილი, დიდებული წლების მიმართ უფრო და უფრო მატუ-

ლობდა ვით ტკივილი, ილტვოდა მაღლა, ვით ხე, ვით მთა, ისე, რომ ვეღარ იტევდა მას ჩემი არსება; და ყველაფერი ისევ და ისევ ჩემს ახლანდელ ასოციანას, ჩემ მიერ დაწყებულ საქმეს — ძმობისა და დილის ქვეყანაში მსხემობის ამბავს ებჯინებოდა. ახლა ისე მიმაჩნდა, რომ სასურველი და საგულისხმო თვით შედეგი კი არ იყო, საგულისხმო ახლა იმედი გახლდათ—ჩემი შრომის, იმ დიდებული დროის მოგონების წყალობით თავად განვწმენდილიყავი და ხსნას ვწეოდი, ისევ დავკავშირებოდი ძმობასა და ვზიარებოდი აღრე განცდილს.

შინ რომ მივედი, სინათლე ავანთე, ქუდიც არ მომიხდია, სველი ტანსაცმელითვე ისე მივუჯექი საწერ მაგიდას და ლეოს მივწერე წერილი. ათი, თორმეტი, ოცი გვერდი გადავაჭრელე ჩივილის, მონანიებისა და თხოვნა-ვედრების სიტყვებით. აღვუწერე და დავაფიცე ჩემი გასაჭირი, დავაფიცე ყოველივე, რაც ერთად გვქონდა განცდილი, დავაფიცე ჩვენი საერთო მეგობრები, შევჩივლე იმ გაუთავებელ, იმ დაწყევლილ სიძნელეებზე, ჩემი კეთილშობილი წამოწყება რომ შეიწირეს. იმწამსვე გამიქრა ყოველგვარი დაღლილობა, ვიჯექი აღგზნებული და ფურცელს ფურცელზე ვავსებდი. მიუხედავად ათასნაირი სიძნელეებისა, ვწერდი მე, მირჩევნია ყველაზე უარეს ბედს ვეწიო, ვიდრე ძმობის თუნდაც ერთი საიდუმლოება გავცე. მიუხედავად ყველაფრისა, არ მოვეშვები, მაინც დავამთავრებ ჩემს ნაშრომს, დილის ქვეყანაში მსხემობის მოსაგონრად, ძმობის სადიდებლად. ვწერდი ციებ-

ცხელებიანივით ნაჩქარევად, უაზროდ, გაუცნობიერებლად, რწმენის გარეშე; როგორც წყალი გადმოჩეფლა გამსკდარი კათხიდან, ისე გადმოხეთქა ჩემი გულიდან ჩივილმა, ბრალდებამ, თვითბრალდებამ, არც რაიმე იმედი მქონდა, რომ პასუხს მივიღებდი, მხოლოდ განტვირთვის უინი მამოძრავებდა. იმავე ლამით მივიტანე და ჩავაგდე ეს უთავბოლო, კარგა სქელი წერილი უახლოეს საფოსტო ყუთში. თენდებოდა, როცა სინათლე ჩავქრე, სხვენზე გავედი, სასტუმრო ოთახის გვერდით, სადაც პატარა საძინებელი მქონდა, და დავწერი. მაშინვე ჩამეძინა და დიდხანს მეძინა ლრმად.

v

მეორე დღეს, დასვენებულმა რომ გავიღვიძე, თავი მაინც მტკიოდა, ღამე წარამარა მეღვიძებოდა. ჩემს გაოცებას, სიხარულსა და შეცბუნებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სასტუმრო ოთახში ლეო დამხვდა, სკამის ძგიდეზე ჩამომჯდარი. ეტყობოდა, კარგა ხანია მეღლოდა უკვე.

„ლეო“, შევძახე, „ჩემთან მოხვედით?“

„თქვენს წასაყვანად გეახელით“, მითხრა, „ძმობამ გამომგზავნა. აკი წერილიც მომწერეთ ამის თაობაზე, მე იგი უხუცესთ გადავეცი. უზენაესი საყდარი გელით. არ წავიდეთ?“

გაოგნებული ვეცი ფეხსაცმელს და ამოვიცვი. წუხანდელიდან აულაგებელი საწერი მაგიდა თიუქოს დარცხვენით იყურებოდა. ამწუთას თითქმის ლარც მახსოვდა, რა დავწერე ამ რამდენიმე სა-

ათის წინ შეშინებულმა და გამწარებულმა. თურმე  
ტყუილად როდი გავრჯილვარ. რაღაცა მოხდა,  
ლეო მოვიდა.

უცებ მხოლოდ ახლალა ჩავწედი მისი ნათქვა-  
მის აზრს. მაშასადამე, ძმობა, რომლის შესახებაც  
მე დიდი ხანია აღარაფერი ვიცოდი ისევ ყოფილა  
ამქვეყნად, და მე აღარ მთვლის თავის წევრად!  
მაშასადამე, ისევ არსებობს ჩვენი ძმობა, უზენაესი  
საყდარი, არსებობენ უხუცესნი და სწორედ იმათ  
ღამიბარეს ახლა! ამ ცნობამ თითქოს ცხელი და  
ცივი წყალი გადამასხა. მთელი თვეები და კვირე-  
ები ვცხოვრობდი ამ ქალაქში, ვწერდი ჩემს მო-  
გონებებს ძმობასა და ჩვენს მსხემობაზე, არ ვი-  
ცოდი, ვინმე კიდევ თუ იყო დარჩენილი ამ კავ-  
შირიდან, ასე მეგონა, სულაც მე ვიყავი მისი უკა-  
ნასკნელი გადმონაშთი. მართალი გითხრათ, იყო  
წუთები, როცა იმასაც კი ვერ გეტყოდით დარ-  
წმუნებით, როდისმე მართლა არსებობდი თუ არა  
ძმობა და ვიყავ თუ არა მისი წევრი. ახლა კი ჩემს  
წინ იდგა ლეო, ძმობის წარმოგზავნილი, ჩემს წა-  
საყვანად მოსული. მე გამიხსენეს, დამიძახეს, ჩემი  
მოსმენა სურდათ: ვინ იცის, იქნებ მითხრან კი-  
ღეც, ანგარიში ჩაგვაბარეო. მე მზად ვიყავი საა-  
მისოდ. მზად ვიყავი დამემტკიცებინა, ძმობის-  
თვის რომ არ მიღალატნია, მზად ვიყავი მორჩილე-  
ბისთვის, დამსჯიდნენ თუ მაპატიებლნენ უხუცეს-  
ნი, წინდაწინვე ყველაფერზე ვიყავ თანახმა, ვიყავ  
თანახმა — მეცნო მათი სიმართლე და ყველაფერში  
მორჩილება გამომეჩინა.

გზას გავუდექით. ლეო წინ მიმიძღვოდა და ისევ-

როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, თვალს ფა-  
ლევნებდი, ვაკვირდებოდი მის სიარულს და აღ-  
ტაცებული ვიყავი: მაინც რა კარგი, რა უზადო  
მსახურია-მეთქი. სწრაფი ნაბიჯით მიმიძლოდა იგი  
ვიწრო ქუჩებში, გზას მიჩვენებდა ვით წინამძღ-  
ვარი და ვით მსახური თვისი დავალებისა, მთელი  
არსებით მოწადინე და მოსწრაფე გარკვეული მი-  
ზან-ზრახვისა. თუმცადა მოთმინებაში, მგონი, გა-  
მოცდა მომიწყო მაინც. ძმობა მიხმობდა, უზენაესი  
საყდარი მელოდებოდა, ყველაფერი სასწორზე  
მქონდა შეგდებული, წყდებოდა მთელი ჩემი მო-  
მავალი ცხოვრების ბედი, მთელ ჩემს ცხოვრებას  
ან ახლა უნდა მისცემოდა აზრი, ან სრულიად უაზ-  
რო გამხდარიყო. მოლოდინი მაკანკალებდა, ყელში  
მებჯინებოდა და მახრჩობდა სიხარული, შიში,  
კრთომა. და ამიტომაც ჩემს მოუთმენელ სულს აუ-  
ტანლად გრძლად ეჩვენებოდა ის გზა, ლეო რომ  
ჩემ წინ მიიკვლევდა, რადგან ორ საათზე მეტ  
ხანს მივსდევდი ჩემს წინამძლოლს კუდში, მივ-  
ჩანჩალებდი, ჩემი აზრით, მხოლოდ იმიტომ, რომ  
ლეოს გუმანმა შორიდან მოვლა უკარნახა. ორჯერ  
დადხანს მაცდევინა ეკლესიის წინ, სადაც ილო-  
ცა, კარგა ხანს იდგა ძველ რატუშასთან, ფიქრებში  
ჩაძირული და ჭვრეტად ქცეული, მერე მომიყვა,  
თუ როგორ დააარსა იგი მეთხუთმეტე საუკუნეში  
ძმობის ერთმა განთქმულმა წევრმა. მაგრამ რაო-  
დენ გულმოლგინედ, თავგამოლებით არ უნდა ეგ-  
ლო თავისი მიზნისაკენ, მე მაინც თავბრუ დამახ-  
ვია ამ მიხვეულ-მოხვეულმა სიარულმა — ერთ  
წრეში ტრიალმა თუ შორი ქუჩებით მოვლამ. სი-

ნამდვილები ხომ კაცი თხუთმეტიოდე წუთში გა-  
ივლიდა იმ გზას, ჩვენ რომ ნაშუადლევამდე მო-  
ვუნდით.

ბოლოს ქალაქის გარეუბნის ერთ მიყრუებულ  
ქუჩაზე გამიყვანა ლეომ და ერთ დიდ, მყუდრო,  
წაგრძელებულ შენობაში შემიძლვა, რაღაც დაწე-  
სებულებასა და მუზეუმს რომ წააგავდა. თავდა-  
პირველად კაცისშვილის ჭაჭანებაც არ იყო, ცა-  
რიელ დერეფნებსა და კიბეებს ზრიალ-ზრიალი  
გაჰქონდათ ჩვენი ნაბიჯებისგან. ლეო თითქოს  
რაღაცას ეძებდა, ისე დამატარებდა კიბიდან კი-  
ბეზე და ვესტიბიულიდან ვესტიბიულში. ერთხელ  
მორიდებით შეაღო მაღალი კარი. კარს იქით ნა-  
ხატებით მოფენილი სამხატვრო ატელიე დავინახე,  
მოლბერტის წინ მკლავებდაკაპიწებული მხატვა-  
რი კლინგზორი იდგა — ჰოი, რამდენი წელია აღარ  
მენახა მისი საყვარელი სახე! მაგრამ მისალმება  
ვერ გავუბედე, ახლა საამისო დრო არ იყო — მე  
მელოდებოდნენ, მე დაბარებული ვიყავი. კლინ-  
გზორს ჩვენთვის თითქმის არც შემოუხედავს. ლე-  
ოს თავი დაუქნია, მე კი არა. არ ვიცი, ვერ მიცნო,  
თუ ვერ დამინახა. მერე მეგობრულად, მაგრამ  
უსიტყვოდ გვანიშნა, წადითო, მუშაობაში ხელის  
შეშლას რომ ვერ იტანს კაცი, ისე.

როგორც იქნა, ავალწევთ ამ გაუთავებელი შე-  
ნობის ბოლო სართულს და სხვენზე ავედით, სადაც  
ქაღალდისა და მუყაოს სუნი იდგა. კედლებიდან  
ასეული მეტრის სიგრძეზე ჩამწკრივებული კარა-  
დები, უჯრები, საქაღალდეები მოგვჩერებოდნენ.  
აქ უზარმაზარ არქივსა და ვეებერთელა კანცელა-  
რიას დაედო ბინა. არავის მოუქცევია ჩვენთვის

ყურადღება. ყველა თავისი საქმით იყო გართული. ისე მეჩვენა, თითქოს მთელ ქვეყანას, ცასა და დედამიწას აქედან გამგებლობენ ან თუ არ გამგებლობენ, ნუსხავენ და დარაჯობენ-მეთქი. დიდხანს ვიდექით და ვიცდიდით. ირგვლივ უხმოდ დაქროზნენ ბიბლიოთეკისა და არქივის მუშაკები კატალოგის ბარათებითა და ნომრებით ხელში. მოძრავი კიბეებით მიძვრებოდნენ კარადებზე, უხმაუროდ დასრიალებდნენ ლიფტები და პატარა ბორბლებზე შემდგარი ურიკები. ბოლოს ლეომ სიმღერა წამოიწყო. აღელვებული ვუსმენდი ჰანგებს, ერთ დროს ესოდენ ნაცნობთ. ეს იყო ჩვენი ძმობის ერთ-ერთი სიმღერა.

ამ სიმღერამ მალე ყველაფერი აამოძრავა. მოხელეები მიიმალნენ; დარბაზი წაგრძელდა და მისი უკანა კედელი შორეულ ბინდში ჩაიძირა. უზარმაზარი არქივის ბოლოში მომუშავე კაცუნები ერთობ დაპატარავდნენ, თითქოს ნამდვილნი აღარ იყვნენ. დარბაზის წინა მხარე გაფართოვდა, გაიშალა და დაცარიელდა; შუაგულ დარბაზში კი რიგრიგად ჩამწკრივებულიყო უამრავი სავარძელი,, ხოლო დარბაზის სიღრმეში ჩარიგებული სხვადასხვა კარებიდან დინჯად შემოდიოდნენ მრავალნი უხუცესნი, უახლოვდებოდნენ სავარძლებს და აუჩქარებლად სხდებოდნენ თავთავიანთ ადგილებზე. ნელ-ნელა, ერთიმეორის მიყოლებით გაიჭედა სავარძელთა რიგები, ეს რიგები თანდათან მაღლდებოდა, ბოლოში კი მაღალი ტახტი იდგა, ცარიელი. მთელი ეს სივრცე, ვიდრე ტახტამდე, საზეიმო სინედრიონს გაევსო. ლეომ შემომხედა – მზერით

მანიშნა, მოთმინება, დუმილი და მოწიწება იქონიეო და ისე მოულოდნელად გაქრა, გაუჩინარდა მრავალთა შორის, რომ ვერსად ვკარ თვალი. ამ უზენაეს საყდარში შეკრებილ უხუცესთ შორის ბევრი ნაცნობი დავინახე, ზოგი დაფიქრებული და ზოგიც მოღიმარი; დავინახე ალბერტუს მაგნუსი, მებორნე ვაზუდევა, მხატვარი კლინგზორი თუ სხვანი და სხვანი.

ბოლოს სიჩუმე ჩამოვარდა და მამა მაუწყებელი გამოვიდა წინ. მარტოდმარტო, უმწეო და პატარა ვიდექ უზენაესი საყდრის წინაშე, ვიდექ ყველაფრისათვის მზადმყოფი, ვიდექ აღვსილი დიდი შიშით და, ამასთან, უკვე თანახმა ყველაფრისა, რაიც აქ უნდა მომხდარიყო და გადამწყდარიყო.

მკაფიოდ და მშვიდად გაისმა დარბაზში მამა მაუწყებლის ხმა. „გაპარული ძმის თვითბრალდება“, ჩამწვდა ყურს მისი სიტყვები და მუსლები ამიკანკალდა — ეს შეიძლება სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა, მაგრამ მაინც ასე უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი უნდა გაირკვეს და მოწესრიგდეს. მამა მაუწყებელი განაგრძობდა:

„ჰ.ჰ. თქვენი სახელია? თქვენ მონაწილეობდით ზემო შეაბიის ლაშქრობაში, ბრემგარტენის ზეიმში? თქვენ აქციეთ ზურგი დროშას და მორბიო ინფერიორეს მახლობლად თქვენ გაიქეცით? დილის ქვეყანაში მსხემობის ისტორიის დაწერასაც თქვენ აპირებდით, ძმობის საიდუმლოებაზე მდუმარების აღთქმას რომ არ დაებრკოლებინეთ?“

დასტურით ვპასუხობდი ყველა შეკითხვას, ჩემთვის გაუგებარსა და შემაზრზენსაც.

უხუცესებმა ერთხანს ჩურჩულითა და ხელების  
მედიდური მოძრაობით იმსჯელეს და ითათბირეს.  
მერე კვლავ მამა-მაუწყებელი გამოვიდა და აუ-  
წყა ასე:

„თვითმბრალდებელს უფლება ეძლევა საჯა-  
როდ განაცხადოს მისთვის ცნობილი ძმობის ყვე-  
ლა კანონი და საიდუმლო. გარდა ამისა თვით-  
მბრალდებელს ეკუთვნება ძმობის მთელი არქივი,  
რომ სამუშაო შეასრულოს“.

მამა მაუწყებელმა თავისი ადგილი დაიკავა;  
უხუცესნი დაიშალნენ და ნელ-ნელა გაუჩინარდ-  
ნენ, ვინ დარბაზის სიღრმეში და ვინ გვერდით კა-  
რებში. უზარმაზარ პალატში სრული სიჩუმე ჩა-  
მოვარდა. შიშითა და კრძალვით მიმოვიხედე  
აქეთ-იქით; ჩემ წინ საკანცელარიო მაგიდაზე ქა-  
ლალდები დავინახე. თითქოს მეცნო ისინი და ვი-  
ნემ ხელს მოვკიდებდი, უპვე ვიცოდი, რომ ეს ჩე-  
მი ნაშრომი იყო, ჩემი ნალოლიავები პირმშო, ჩე-  
მი დაწყებული ხელნაწერი. „ამბავი დილის ქვეყა-  
ნაში მსხემობისა, აღწერილი ჰ.ჰ.-ს მიერ“ — ეწერა  
ცისფერ ყდაზე. დავწედი ხელნაწერს და ჩავი-  
კითხე მიჯრით ნაწერი. მრავალჯერ წაშლილ გა-  
დაშლილი, გასწორებული, გაფაციცებით ჩავიკი-  
თხე მუშაობის უინით ატანილმა, ჩავიკითხე გრძნო-  
ბამორევით, რომ ძლივს მეღირსა უზენაესი დას-  
ტურითა და მხარდაჭერით, დიახ, დიახ, მხარდა-  
ჭერითაც, დავამთავრო ჩემი საქმე. და რა ვიფიქ-  
რე, რომ ამიერიდან ვერავითარი აღთქმა ვეღარ  
დამადუმებს, რომ შემიძლია არქივი — ეს უძირო  
საგანძურო გამოვიყენო, უფრო დიდი და საპატიო  
მეჩვენა ჩემი ამოცანა, ვიდრე მანამდე.

მაგრამ რაც ჩავიკითხე ჩემი ხელნაწერი, მით უფრო ნაკლებ მომეწონა იგი. ის კი არადა, სასო-წარკვეთის წუთებშიც არასოდეს მომჩვენებია ჩე-მი ნაწერი ესოდენ მცდარი და უმაქნისი, როგორც აცლა. ყველაფერი უთავბოლოდ და უკუღმართად იყო დაწერილი, ყველაზე ნათელი კავშირები — შერყვნილი და დამახინჯებული, ცხადი და აშკარა მიჩქმალული, მეორეხარისხოვანი და უმნიშვნე-ლო — წამოჩერილი! ყველაფერი თავიდან იყო და-საწერი, კითხვისას იძულებული გავხდი, წინადა-დება წინადადებაზე წამეშალა. წაშლილი წინადა-დება იქვე, ფურცელზევე, პატარავდებოდა, ნათე-ლი, წამახული ასოები იფანტებოდა, მხიარული მოყვანილობის ხაზებს, წერტილებს, წრეებს, პა-ტარა ყვავილებსა და ვარსკვლავებს ქმნიდა და ხელნაწერის გვერდებიც თვალწარმტაცი, თუმცა უაზრო ჩუქურთმ-ნაქარგით იფარებოდა. მალე ჩე-მი თხზულებიდან აღარაფერი შემრჩა, სამაგიე-როდ, ბევრი სუფთა ფურცელი აღმომაჩნდა. მთე-ლი ძალა და ნებისყოფა მოვიკრიბე და ავუხსენი ჩემს თავს: რა გასაკვირია, თუ აქამდე შენთვის ნათელი და მიუკერძოებელი აღწერა ვერ შესძე-ლი, ვინაიდან ყოველივე გასაიდუმლოებული იყო ჩა მის გათქმას ძმობის ფიცი გიკრძალავდა. მარ-თალია, შენ შეეცადე გამოსავალი მოგეძებნა, უა-რი გეთქვა ისტორიის მიუკერძოებელ გადმოცე-მაზე, ყურადღება არ მიგეძცია უზენაესი კავში-რების, მიზნებისა და განზრახვისათვის და მარ-ტოლდენ პირადად განცდილი გეკმარა, მაგრამ ხომ ნახე, ყოველივე ამან სად მიგიყვანა. ახლა კი, ახ-

ლა, აღარ გშოჭავს დუმილის აღთქმა, აღარ გზღუ-  
დავს აღარაფერი, შენ საჯაროდ დაგროვეს ნება და  
დაუშრეტელი არქივის კარიც განახვნეს შენთვის.

აშკარა იყო: ჩემი ადრინდელი ნაშრომი ჩუ-  
ქურთბ-ნაქარგადაც რომ ქცეულიყო, ყველაფერი  
პაინც ხელახლა უნდა დაშეწყო, ხელახლა უნდა  
დამუსაბუთებინა და მეშენებასა. პოდა, გადავწევი-  
ტე ქმობის, მისი დაფუძნებისა და ძირითადი კა-  
ნონ-წესდების მოკლე ისტორიით დამეწყო იგი.  
მრავალი კილომეტრის სიგრძე, უსასრულო, უზარ-  
მაზარი ბარათების კატალოგები კი, სადღაც შორს,  
ლამის სიბნელეში რომ ინთებოდა, ყველა კითხ-  
ვაზე გამცემდა პასუხს.

თავდაპირველად გადავწევიტე არქივისთვის სა-  
ცდელად რამდენიმე კითხვა მიმეცა. ბოლოს და  
ბოლოს ხომ უნდა მესწავლა ამ ვეებერთელა აპა-  
რატით მუშაობა. ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა  
ძმობის სიგელის მოძებნა განვიზრახე.

„ძმობის სიგელი“, მიპასუხა ბარათების კატა-  
ლოგმა, „ისილე უჯრა ქრიზოსთომოსი, ციკლი V,  
სტროფი 39,8“. — მართლაც, სულ ადვილად ვი-  
პოვე უჯრა, ციკლი, სტროფი — არქივი დიდებუ-  
ლად იყო დალაგებული. და აი, ხელი მეპყრა ძმო-  
ბის სიგელი! ამ წერილს რომ ვერ წავიკითხავდი,  
ეს იმთავითვე უნდა მცოდნოდა. მართლაც ვერ  
წავიკითხე. მგონი ბერძნული ასოებით იყო ნაწე-  
რი, ბერძნული კი თითქოს ვიცოდი. მაგრამ, ჯერ  
ერთი, ეს უაღრესად ძველი, უცხო დამწერლობა  
იყო და მრავალი ნიშნის წაკითხვა, მიუხედავად  
მოჩვენებითი გარკვეულობისა, ვერ შევიძელი. მეო-

რეც, ეს სიგელი რომელიღაც კილოკავზე, თუ განდობილთა საიდუმლო ენაზე უნდა ყოფილიყო ნაწერი და მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს, ისიც იშვიათად, რაღაც შორეული გამოძახილითა თუ მიმსგავსებით ვხვდებოდი თითქოს. მაგრამ ფარხმალი არ დამიყრია. თუმცა სიგელი ვერ წავიკითხე, მისმა ნიშნებმა მაინც ამომიტივტივა იმდროინდელ მოგონებათა სურათები: სახელდობრ, ისე ნათლად დავინახე ჩემი მეგობარი ლონგუსი, რომ ლამის ხელიც შევახე. იგი ჩაბნელებულ ბაღში ბერძნულ და ეპრაულ ნიშნებს წერდა, ხოლო ფრინველებად, ურჩხულებად, გველებად გადაჭრული ეს ნიშნები ლამის სიბნელეში უჩინარდებოდა.

კატალოგის ფურცვლისას შიშის ურუანტელმა დამიარა, როცა დავინახე, რა ზღვა მასალა მელოდა. არაერთ ნაცნობ სიტყვას წავაწყდი, არაერთ კარგად ცნობილ სახელს. შევკრთი, როცა ჩემი საკუთარი სახელიც წავიკითხე, მაგრამ ვერ გავბედე არქივს ამის თაობაზე შევკრთხებოდი — განა ადვილი მოსასმენია ყოვლისმცოდნე სამსჯავროს განაჩენი? სამაგიეროდ მოვძებნე, მაგალითად, მხატვარ პაულ კლეეს სახელი, ვისაც მოგზაურობის ჩროიდან ვიცნობდი და ვინაც კლინგზორს მეგობრობდა. მოვძებნე მისი ნომერი არქივში. იქ ჩამხვდა ოქროს პატარა მომინანქრებული ფირფიტა, როგორც ჩანს, ძველზე ძველი. ზედ, სამყურა ბალახი\* იყო ამოტვიფრული, რომლის სამი

---

\* კლეე (Klee) გერმანულად სამყურას ნიშნავს.

ფურცლიდან ერთი ცისფერიალქნიანი ნავი გახლდათ, მეორე — ფერადქიცვება თევზი, მესამე კი — დეპეშის ბლანკს ჰებავდა და ზეღ ეწერა:

So blau wie Schnee,  
So Paul wie Klee.\*

ნაღველნარევი სიხარული მომგვარა აგრეთვე კლინგზორის, ლონგუსის, მაქსისა და ტილის ამბების წაკითხვამ. ვერ გავუძელი ცოლნებასაც — ცოტა მეტი გამეგო ლეოზე. ლეოს კატალოგის ბარათზე ასე ეწერა:

Cave!

Archiepisc. XIX. Diacon. D. VII.  
cornu Ammon. 6

Cave! \*\*

ორგზისმა გაფრთხილებამ — „Cave“ — ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, ვეღარ შევბედე საიდუმლოებაში უფრო მეტად შეჭრა. მაგრამ ყოველი ახალი ცდა სულ უფრო და უფრო მარწმუნებდა, რა გაუგონარი ოდენობის მასალას, ცოდნას, მაგიურ გამონათქვამებს შეიცავდა არქივი. ასე მეგონა, მთელი სამყარო აქ არის-მეთქი ჩატეული.

ცოდნის ამ სამყაროში ნეტარი თუ შემაშფოთებელი გასეირნების შემდეგ, უფრო და უფრო ამიტანა ცნობისმოყვარეობამ. რამდენჯერმე დავუბრუნდი კატალოგის იმ ბარათს, „ლეო“ რომ ეწერა. ყოველ ჯერზე მაფრთხობდა ორგზისი

\* ისეთივე ცისფერი, როგორც თოვლი, ისეთივე პაული, როგორც კლეი (გერმ.).

\*\* უფრთხილდი! არქიეპისკ. XIX დიაკონ. დ. VII. რქა ამონ. 6 უფრთხილდი!

„Cave“. სამაგიეროდ ერთ სხვა ყუთში ქექვისას თვალში მომხვდა სიტყვა „ფატმე“, რომელსაც თან ასეთი მითითება ჰქონდა მიწერილი:

Princ. orient. 2  
noct, mill. 983  
hort. delic. 07 \*

მოვძებნე და ვიპოვე ის ადგილი არქივში. იქ ერთი ციცქნა მედალიონი იდო; მედალიონში მეფის ტურფა ასულის პაწაწკინტელა სურათი იყო. უმაღ გამახსენდა ათას ერთი ლამის ყველა ზღაპარი, ჩემი სიყრმის ყველა არაკი, ყველა სიზმარი თუ სურვილი იმ დიადი დროისა, როცა აღმოსავლეთში ფატმესთან გამგზავრების მიზნით შევდექ მორჩილად, მორჩილობის მერე კი ძმობაში მიმღეთ-მეთქი, ვითხოვე. ობობას ქსელივით ნაზი ისფერი აბრეშუმის ქამხა ეხვია მედალიონს. იგი დავყნოსე. მეფის ასულისა და დილის ქვეყნის სურნელი მეფრევია უმაღ, ენითუთქმელი, შორეული და სიზმარივით ნაზი სურნელი. და ვიდრე ამ შორეულ, ნაზ თავბრუდამხვევ სურნელს ჩავისუნთქავდი, ჩემთვის საოცრად აშკარა გახდა რაოდენ მომხიბლავი იყო ირგვლივ განფენილი ის ჯადოსნური გარემო, როცა აღმოსავლეთისკენ პილიგრიმის გზას დავადექი, რა ვერაგულმა და სინამდვილეში გაურკვეველმა დაბრკოლებებმა იმსხვერპლა ჩვენი მსხემობა, როგორ განქარდა შემდგომ ნელინელ ხიბლი ურძნეულებისა და რა უნუ-

\* პრინც. აღმოსავლეთისა 2 ლამ. ათას. 983 ბაღ.  
განცხომ. 07 (ლათ.).

გეშობა, სიცარიელე, სიფხიზლე და მხოლოდ სა-  
სოწარკვეთა იქცა მას შემდეგ პაერად, პურად, სას-  
მელად ჩემდა! ვეღარ ვარჩევდი ვერც ქამხასა და  
ვერც სურათს, ისე დამიბინდა მზერა თვალთაგან  
მომსკდარმა ცრემლმა. ვაჰმე, რომ არაბი მეფის  
ასულის სურათს დაჰკარგვოდა თავისი ძალა, მისი  
შელოცვა ვეღარ მიხსნიდა ამა ქვეყნის ჯოჯოხე-  
თისაგან და რაინდად და ჯვაროსნად ვეღარ მაქ-  
ცევდა. დღეს სხვა, უფრო დიდი ჯადო იყო საამი-  
სოდ საჭირო. მაგრამ პოი, რა ტკბილი, რა უმან-  
კო, რა წმინდა იყო ის ოცნება, რასაც ჩემი სიყრ-  
მე მისდევდა, რამაც მაქცია ზღაპართ მკითხვე-  
ლად, მუსიკოსად, მორჩილად და მორბიომდე მი-  
მიყვანა!

ფიქრთა ბურანიდან ფაჩუნმა გამომარკვია, —  
აფხელითად მომჩერებოდა ყოველი მხრიდან არქი-  
ვის სათავსოთა უსასრულო სიღრმე. უცებ თავში  
ერთმა აზრმა გამკრა ელვასებრ და შემაკრთო:  
ნუთუ ამ ძმობის ისტორიის დაწერა მე მოვინ-  
დომე, მე სულელმა, ვინაც არქივის მილიონ ხელ-  
ნაწერთა, წიგნთა, სურათთა და ნიშანთა მეათასე-  
დის გაგებას კი არადა, გარჩევასაც ვერ შევიძ-  
ლებდი! აუწერლად განადგურებული, გაშეთებუ-  
ლი, გამასხარავებული, ისე რომ ჩემივე თავის აღ-  
არ მესმოდა, ვიდექი იმ საგანთა შორის, მცირედი  
ხნით სათამაშოდ რომ მომცეს ხელში, რათა შე-  
მეგრძნო, რა იყო ძმობა და რა ვიყავ მე.

დარბაზის მრავალი კარიდან კი უწყვეტლივ  
შემოდიოდნენ უხუცესნი; ზოგნი ვიცანი, თუმცა-  
ლა ცრემლებს დაებინდა ჩემი თვალები. ვიცანი

მოგვი იუპი, არქივარიუსი ლინდჰორსტი, პაბლოდ  
გადაცმული მოცარტი. სავარძლების რიგები მაღ-  
ლა-მაღლა მიიღებოდა და სიღრმეში ვიწროვდე-  
ბოდა; იქ კი, მაღალი ტახტის თავზე, ვით მწვერ-  
ვალზე, ზიმზიმებდა და მცხინვარებდა ოქროს გა-  
ვალაკი.

მამა მაუწყებელი წინ გამოვიდა და ასე ბრძანა:  
„მმობა მზად არის უხუცესთ პირით განაჩენი გა-  
მოუტანოს თვითბრალმდებელ ჰ.-ს, ვინაც თავი  
მოვალედ სცნო, რომ დაემალა მმობის საიდუმ-  
ლონი და ვინაც მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რაო-  
ჩენ საკვირველი და მკრეხელური იყო განზრახ-  
ვა მისი, დაეწერა მსხემობის ისტორია, რომლის  
სიღრმეს იგი ვერ ჩასწოდა, ანდა აღეწერა მმობა,  
რომლის არსებობისა თვითვე აღარა სჯეროდა და  
რომელსაც ამიტომ უღალატა“.

მერე მე მომიბრუნდა და, როგორც ჰეროლდს  
შეჰქონის, მკაფიოდ და ხმამაღლა წარმოთქვა: „თა-  
ნახმა ხარ, თვითბრალმდებელო ჰ., სცნო სამსჯავ-  
რო და დაემორჩილო მის განაჩენს?“

„დიახ“, იყო ჩემი პასუხი.

„თანახმა ხარ, თვითბრალმდებელო ჰ.,“ განა-  
გრძო მან, „უხუცესთა სამსჯავრომ უხუცესთუხუ-  
ცესის თავმჯდომარეობის გარეშე რომ იმსჯელოს  
შენზე, თუ მოითხოვ, თვით უხუცესთუხუცესია  
გამოგიტანოს განაჩენი?“

„მე ვეთანხმები“, ვთქვი მე, „უხუცესთა განა-  
ჩენს, თუნდ უხუცესთაუხუცესის თავმჯდომარე-  
ობით, თუნდ უმისოდ გამოტანილს“.

მამა მაუწყებელს ის-ის იყო პასუხი უნდა გა-

ეცა, რომ დარბაზის სიღრმიდან მშვიდი, უშფოთ-ველი ხმა გაისმა: „უხუცესთუხუცესი მზადაა, თა-ვად ამცნოს განაჩენი“.

ამ მშვიდი, ამ უშფოთველი ხმის გაგონებაზე საკვირველმა თრთოლამ დამიარა, თავით ფესებამ-დე ამაკანკალა. პალატის შორზე შორი კუთხიდან, არქივის უდაბურ სიღრმეთაგან, დინჯი ნაბიჯით წამოვიდა კაცი. სამოსელზე ოქროს ელვარება გა-დასდიოდა. შეკრებილთა მდუმარებაში იგი თანდა-თან მომიახლოვდა, და მე ვიცანი მისი სიარული, მისი მიმოხვრა, დაბოლოს ვიცანი მისი პირისა-ხეც; ეს ლეო იყო. საზეიმო, დიდებული მოსასხა-მით, ვით რომის პაპი, მიიკვლევდა გზას უხუცესთა რიგებს შორის უზენაესი საყდრისაკენ. ვით მშვე-ნიერი უცხო ყვავილი, ისე აჰეთნდა თვისი ბრწყინ-ვალე სამოსელი კიბეებზე. და უხუცესთა ყოველი რიგი მისი მოახლოებისას მისასალმებლად ფეხზე დგებოდა. ლეოს თვინიერი მსახურივით მორჩილად და კრძალვით მოჰქონდა დიდებული თავისი ლირ-სება, როგორც ღვთისმოსავ პაპს ანდა პატრიარქს მოაქვს ხოლმე ნიშანნი თავისი წოდებისა.

განაჩენის მოლოდინში მონუსხულივით ვიდექი, მზად ვიყავ თავმოდრეკით მიმედო სასჯელი ან შეწყალება. არანაკლები ძალით მომხვდა გულს და ამაღელვა იმ ამბავმაც, რომ ლეო, დიახ, ჩვენი ყოფილი მებარგე და მსახური ლეო, ჩადგომოდა სათავეში მთელ ძმობას და ჩემთვის მსჯავრი ახლა ლეოს უნდა დაედო; მაგრამ გაცილებით მეტად ასაღელვა, გამაოცა, სულის სიღრმემდე შემძრა და გამაბედნიერა ამ დღის დიდმა აღმოჩენამ — რომ

თურმე ძმობა, ურყევი და ძლიერი ძმობა კვლავაც  
არსებულა, რომ ლეომ და ძმობამ კი არ მიმატოვეს  
და გამიცრუეს იმედები, არამედ, მხოლოდ მე აღ-  
მოვჩნდი ესოდენ ბრიყვი და უსუსური, რომ სწო-  
რად ვერ ავხსენი ჩემი განცდები, ეჭვი შევიტანე  
ძმობაში, დილის ქვეყანაში მსხემობა ჩაშლილად  
მივიჩნიე, ჩემი თავი კი — ქვიშად დაწრეტილი და-  
სრულებული ისტორიის ცოცხლად გადარჩენილ  
მონაწილედ და მემატიანედ. მაშინ როცა მხოლოდ  
მოღალატე, მხოლოდ ორგული და ბრძოლის ვე-  
ლიდან გაქცეული მოღაშქრე ვიყავ. ამის შეცნობა  
თავზარს მცემდა და თან მახარებდა. მუჭად ქცეუ-  
ლი, თავმოდრეკილი ვიდექი იმ უზენაესი საყდრის  
ფერხთა წინაშე, მე რომ ოდესლაც ძმობის წევრად  
შემრაცხა, ოდესლაც მორჩილად მაკურთხა, ძმო-  
ბის ბეჭედი მიწყალობა და მსახურ ლეოსთან ერ-  
თად მოსალოცად წარმაგზავნა. და უცბად კიდევ  
ერთი ცოდვა, ერთი აუხსნელი დაუდევრობა, და  
სასირცხო ამბავი გამახსენდა: მე აღარ მქონდა  
ძმობის ბეჭედი, მე იგი დავკარგე და არათუ აღარ  
ვიცოდი, სად ან როდის დავკარგე, ისიც კი არ  
მახსოვდა, ოდესმე მქონდა თუ არა.

ამასობაში უხუცესთუხუცესმა, ოქროს სამო-  
სით მოსილმა ლეომ, ტკბილი და ამო ხმით იწყო  
ლაპარაკი. უშფოთველად და ნეტარად მოედინე-  
ბოდა მისი სიტყვები, ისევე უშფოთველად და  
ნეტარად, ვითარცა მზის ნათელი.

„თვითბრალმდებელს“, წამოიწყო მან, „შესაძ-  
ლებლობა მიეცა ზოგიერთი ცდომილებისგან და-  
ეხსნა თავი. მის წინააღმდეგ მრავალი რამ მეტყ-

ველებს. შეიძლება გასაგები და მისატევებელი იყოს, რომ მან ძმობას უღალატა, რომ საკუთარი სიბრიყვე და დანაშაული ძმობას მიაწერა, ეჭვი შეიტანა, ძმობა აღარ არსებობსო, საკვირველი პატივმოყვარეობა გამოიჩინა და ძმობის მემატიანელ გახდომა ისურვა. მაგრამ ეს ყოველივე არც ისე მძიმე დანაშაულია — მომიტევოს თვითბრალმდებელმა და ეს მხოლოდ და მხოლოდ მორჩილობის უგუნურებაა. მის აღსაკვეთად ჩვენი ღიმილიც კმარა.“

სული მოვითქვი და მაღალ კრებულსაც მსუბუქმა ღიმმა გადაურბინა. გულზე მომეშვა, რომ ჩემი უმძიმესი ცოდვები, თვით ჩემი ცდომილება — ძმობა აღარ არსებობს და მისი ერთადერთი ერთგული წევრი ვარ-მეთქი — უხუცესთუხუცესმა მხოლოდ უგუნურობად და ბავშვობად შერაცხა და ამავე დროს ისიც მაგრძნობინა მკაცრად, ვინ და რა ვიყავ, ან რა ადგილი უნდა მჭეროდა.

„მაგრამ“, განაგრძო ლეომ და მის ტკბილ უშფოთველ ხმას ახლა სევდა და სიმკაცრე შეეპარა, „მაგრამ ბრალდებულს კიდევ სხვა უფრო მძიმე ცოდვები აწევს; სავალალოც სწორედ ის არის, რომ თავად, ეტყობა, ამ ცოდვებისა არა იცის რა, და არც ამ ცოდვებისთვის დგას ახლა თვითმბრალმდებლად. იგი დიდად სწუხს და ინანიებს, რომ თავის ფიქრში სცოდავდა ძმობის წინაშე, მას ვერა და ვერ უპატიებია თავის თავისთვის, რომ ვერ შეიცნო — მსახური ლეო თუ უზენაესი მოსაყდრე იყო, მალე შეიგნებს იმასაც, რაზომ დიდია მისი ღალატი ძმობისადმი. მაგრამ მაშინ,

როცა იგი ეგზომ მკაცრად მოეკიდა ფიქრში ჩა-  
დენილ ცოდვებსა და უგუნურებას და იმაშიც  
დარწმუნდა ახლა, რომ მათ აღსაკვეთად თურმე-  
ლიმილიც კმარა იგი ჯიუტად ივიწყებს და არ ის-  
ხენებს თავის ჭეშმარიტ ცოდვებს, რომელთა  
რიცხვი უთვალავია და რომელთაგან თითოეუ-  
ლიც კი საკმარისია, მძიმე მსჯავრი დაიმსახუ-  
როს”.

შიშისგან გული ლამის ბუდიდან ამომივარდა,  
ლეო მე მომიბრუნდა: „ბრალდებულო ჰ., მოგვია-  
ნებით გაეცნობით თქვენს შეცდომებს და მომა-  
ვალში მათ ასაცდენად გზებსაც მიგითითებენ. ახ-  
ლა კი მხოლოდ და მხოლოდ იმის დასტურად, რა-  
ოდენ ცუდად ერკვევით თქვენსავე მდგომარეო-  
ბაში, მე გეკითხებით: გახსოვთ, ქალაქში რომ და-  
დიოდით მსახური ლეოს თანხლებით, ვინც მოცი-  
ქულად გამოაგზავნეს და დაავალეს, უზენაეს საყ-  
დარში მოეყვანეთ? — ცხადია გახსოვთ. ის თუ გახ-  
სოვთ, როგორ გავიარეთ რატუშასთან, წმინდა პავ-  
ლეს ეკლესიასთან, ქალაქის ტაძართან, როგორ  
შევიდა მსახური ლეო ტაძარში მუხლმოსადრეკად  
და სალოცავად, თქვენ არათუ არ შეხვედით და  
არ ილოცეთ, რაიც თქვენივე ძმობის ფიცის მე-  
ოთხე მუხლით გევალებოდათ, — გარეთ დარჩით  
და მოუთმენლად დაელოდეთ, თქვენი აზრით, ა  
მოსაწყენი და ესოდენ ზედმეტი ცერემონიის გა-  
თავებას, რაიც თქვენთვის მხოლოდ თქვენი თავ-  
კერძული მოუთმენლობის აღმაშფოთებელი გა-  
მოცდა იყო? ცხადია, ესეც გახსოვთ. ტაძრის კა-  
რიბჭესთან ამ თქვენი საქციელით ფეხქვეშ გათე

ლეთ ძმობის ძირეული მოთხოვნები და წესები, უკუაგდეთ ღვთის რწმენა, არად მიიჩნიეთ ერთი ძმა ჩვენი კრებულისა და როცა მცირედი ხნით ლოცვად და ჭვრეტად დგომა შემოგთავაზეს, უკა- მაყოფილოდ აარიდეთ თავი. ცოდვა მიუტევებელი იქნებოდა, ზოგ განსაკუთრებულ გარემოებას რომ არ შეემსუბუქებინა იგი“.

ასლა კი ყველაფერი ითქვა, ითქვა განათუ მარ- ტოოდენ მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო ამ- ბები, განათუ მსოლოდ სიბრიყვე და უგუნურება. იგი ცამდე მართალი იყო. მისი ნათქვამი შიგ გულში მომხვდა.

„ჩვენ არ ვაპირებთ,“ განაგრძო უხუცესთუსუ- ცესმა, „ჩამოვთვალოთ ბრალდებულის ყველა შე- ცოდება, მედავითნენი ჩვენ არა ვართ. ჩვენ მშვე- ნივრად ვიცით, საკმარისია მსოლოდ შეხსენება, რომ ბრალდებულს გაეღვიძოს სინდისი, რომ მოი- ნანიოს თავისი ცოდვები და საკუთარი თავის ბრალმდებლად იქცეს.

და მაინც, თვითბრალმდებელო პ., უნდა გირ- ჩიოთ, რომ ზოგი სხვა საქმენიც გამოიტანოთ თქვენი სინდისის სამსჯავროზე. განა მე უნდა შე- გახსენოთ ის საღამო, როცა მსახურ ლეოს ეწვიეთ და მოისურვეთ, რომ კრებულის ძმად ეცანით, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რამეთუ თქვენ თვი- თონ, როგორც კრებულის ძმამ, ძნელად საცნაუ- რი გახადეთ თქვენივე თავი? განა მე უნდა შეგახ- სენოთ ის ამბები, რა ამბებიც თქვენვე მოუყევით მსახურ ლეოს? როგორ გაყიდეთ ვიოლინო, და მთელი ამ წლების მანძილზე რა უსასოო, ბრიყვულ და თვითმკვლელურ ცხოვრებას ეწეოდით?

და კიდევ, კრებულის ძმაო ჰ., უფლება არა  
მაქვს დაგიმალოთ ერთი რამ. დიახ შესაძლოა იშ  
საღამოს მსახური ლეო გუნებაში უსამართლოდ  
მოგექცათ. ვთქვათ ასეც იყო. შესაძლოა მსახურმა  
ლეომ ზომაზე მეტი სიმკაცრე, ზომაზე მეტი გო-  
ნიერება გამოიჩინა, შესაძლოა იმდენი შეწყნარება  
და ჰუმორი არ აღმოაჩნდა, როგორც თქვენ მაშინ  
საჭიროებდით. მაგრამ არსებობს უფრო მაღალი  
სამსჯავრო და უფრო შეუმცდარი მსაჯულები,  
ვიდრე მსახური ლეო გახლავთ. რა განაჩენი გა-  
მოგიტანათ თქვენ ღვთის ქმნილებამ, ბრალდებუ-  
ლო? მოიგონეთ, აბა, ძალლი ნეკერი! მოიგონეთ,  
აბა, როგორ უარგყოთ, როგორ გაგკიცხათ მან?  
იგი მოუსყიდველი იყო, იგი არც ერთ მხარეს არ  
ეკუთვნოდა, იგი კრებულის ძმა არ იყო“.

მან შეისვენა. ჴო, ნაგაზი ნეკერი! ჴო, ცხადია,  
მან უარმყო და გამკიცხა. რაც მართალია, მართა-  
ლია, ჴო, განაჩენი გამოტანილი მქონდა, იგი ჯერ  
კიდევ ნაგაზმა გამომიტანა, იგი მე თვითონ გამო-  
ვუტანე ჩემს თავს.

„თვითბრალმდებელო ჴ.“, წამოიწყო ისევ ლე-  
ომ, და მისი ხმა, ოქროდ მოელვარე მოსასხამსა  
და გავალაკიდან რომ ისმოდა, ახლა ცივი იყო, მა-  
ღალი და გამსჭვალავი, ვით კომანდორისა, როდე-  
საც ის უკანასკნელ მოქმედებაში დონ უუანის  
კართან დადგება. „თვითბრალმდებელო ჴ., თქვენ  
მოისმინეთ ჩემი ნათქვამი, თქვენ დამეთანხმეთ.  
ჩვენი ვარაუდით, განაჩენი თქვენს თავს თქვენვე  
გამოუტანეთ.“

„დიახ“, წავილაპარაკე ჩუმი ხმით, „დიახ“.

„და ეს განაჩენი, ჩვენი ვარაუდით, მკაცრიაც  
უნდა იყოს“.

„დიახ“, ჩავიჩურჩულე.

მაშინ კი წამოდგა ლეო ტასტიდან და ხელები  
ნელა გაშალა.

„ახლა მე თქვენ მოგმართავთ, უხუცესნო. თქვენ  
ყველაფერი მოისმინეთ. თქვენ იცით, თუ რა გა-  
დასდა თავს კრებულის ძმას ჰ.-ს. ეს არის კაცის  
ბედი და ეს ბედი თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს;  
ზოგმა თქვენგანმა იგი საკუთარ თავზე გამოსცადა.  
ბრალდებულმა უკანასკნელ წუთამდე არ იცოდა  
ან უბრალოდ არ. სჯეროდა რომ, მისი განდგომა  
და გზიდან აცდენა გამოცდა იყო. იგი დიდხანს  
ჯიუტობდა. იგი მთელი ეს წლები ურიგდებოდა  
იმ ამბავს, რომ არაფერი იცოდა ძმობის შესახებ,  
მთელი ეს წლები მარტო იყო და ყოველივე, რაც  
კი მანამდე სწამდა, დამსხვრეულად მიაჩნდა; მაგ-  
რამ ბოლოს ძალა არ ეყო დაემალა, ძალა არ ეყო  
თავი აერიდებინა ყველაფრისათვის; იგი უზომოდ  
გაწამდა და გაიტანჯა, ხოლო თქვენ იცით, როცა  
ადამიანი უზომოდ იტანჯება, მაშინ საქმე წინ  
მიდის. ძმა ჰ. მისმა გამოცდამ სასოწარკვეთამდე  
მიიყვანა, ხოლო სასოწარკვეთა არის შედეგი ყო-  
ველი ბეჯითი ცდისა — გაიაზრო, განჭვრიტო და  
გაამართლო ადამიანის ცხოვრება. სასოწარკვეთა  
არის შედეგი ყოველი დაუინებული ცდისა — სათ-  
ნოების, სამართლიანობისა და ჭკუა-გონების და-  
სმარებით გაუმკლავდე ცხოვრებას და შეასრულო  
მისი მოთხოვნები. ამ სასოწარკვეთის გამოღმა  
ცხოვრობენ ბავშვები, გაღმა — გამოღვიძებულნი.

ბრალდებული პ. უკვე ბავშვი აღარ არის, მაგრამ არც საბოლოოდ გაღვიძებული ეთქმის. სასოწარკვეთის გზა ჯერ ბოლომდე არ გაუვლია, მაგრამ, როგორც იქნება, გაივლის და მაშინ მეორე მორჩილობას ეზიარება. ჩვენ ხელახლა მივესალმებით მის დაბრუნებას ძმობაში, რომლის არსისა და აზრის განჭვრეტას იგი ახლა აღარ ჩემულობს“.

მამა-მაუწყებელმა უკვე ბეჭედიც მოიტანა, ლოკაზე მეამბორა და ის ბეჭედი თითზე წამომაცვა. როგორც კი ბეჭედი დავინახე, როგორც კი ვიგრძენ თითზე ლითონის სიგრილე, ათასი რამ, ათასი დაუდევრობა და შეცოდება გამახსენდა. უწინარეს ყოვლისა გამახსენდა, რომ ბეჭედში ერთმანეთისგან თანაბარი დაშორებით ოთხი ქვაა ჩასმული და რომ ძმობის კანონი და ფიცი ითვალისწინებს, სულ ცოტა, დღეში ერთხელ ბეჭედი თითზე შეატრიალო და სათითაოდ ყოველ ქვაზე აღთქმის ოთხი ძირითადი მითითებიდან ერთ-ერთი გაიხსენო. მე არათუ დავკარგე ბეჭედი და ვერც შევამჩნიე მისი დაკარგვა, — მთელი ამ საზარელი წლების მანძილზე ერთხელაც არ გამხსენებია და არ გამიმეორებია თუნდაც ერთი ამ ოთხი ძირითადი მითითებიდან. უმალ შევეცადე გუნებაში ჩამომეთვალა ისინი. ბუნდოვნად შევიგრძნობდი მათ, ისინი ჯერ კიდევ ჩემში იყვნენ, ისინი ისევე მეკუთვნოდნენ, როგორც სახელი, ენის წვერზე რომ გიტრიალებს, მაგრამ იმ წუთას ვერა და ვერ მოგიგონია. ვაი, რომ სიჩუმე სუფევდა ჩემს არსებაში, მე ვერ შევძელი წესების ჩამოთვლა, მე დამავიწყვა მისი სიტყვები, მრავალი წელი არ გამიმეო-

რებია, მრავალი წელი აღარ მივდევდი და აღარ ვეთაყვანებოდი მათ — და მაინც ვტელავდი, თავი კრებულის ერთგულ ძმად შემერაცხა!

მამა-მაუწყებელმა ჩემი ასეთი დაბნეულობა და დიდი დარცხვენა რომ დაინახა, დასამშვიდებლად მკლავზე ხელი მომითათუნა. და აი, ყურს ჩაწვდა უხუცესთუსუცესის ხმა:

„ბრალდებულო და თვითბრალმდებელო ჰ., თქვენ გამართლებული ხართ. უნდა გამცნოთ ისიც, რომ ამგვარ სამსჯავროზე გამართლებულ ძმას ევალება უხუცესთა დასს შეუერთდეს და, როგორც კი მისი რწმენისა და მორჩილობის ერთ-ერთ გამოცდას ჩაგვაბარებს, მათ შორის ადგილი დაიკავოს. მაშ, მიპასუხე ძმაო ჸ., ჩემს შეკითხვებზე:

„მზად თუ ხარ, შენი რწმენის გამოსაცდელად გარეული ძალლი მოათვინიერო?“

მე ელდანაკრავიგით უკან მივაწყდი. „არა, არ შემიძლია“, და უარის ნიშნად ხელები გავასავ-სავე.

„მზად თუ ხარ, ან თუ გეყოფა ნებისყოფა ჩვენი ბრძანებით დაუყოვნებლივ დასწევა ძმობის არქივი, ისევე, როგორც მამა მაუწყებელი მის ერთ ნაწილს ახლა შენ თვალწინ დაწვავს?“

მამა-მაუწყებელი წინ გამოვიდა, საგულდაგულოდ დალაგებული უჯრებიდან ორივე ხელით ბარათების მოზრდილი დასტა ამოიღო — იქ ასობით ბარათი იქნებოდა — და ჩემდა თავზარდასაცემად მაყალზე დაწვა ყველაფერი.

„არა,“ ვიუარე მე, „არც ამის გაკეთება შემძლია“.

„Cave, frater,“ უსუცესთუსუცეს-  
ბა, „უნდა გაგაფრთხილო, გულფიცხო ძმაო! ეს  
ყველაზე იოლი დავალებები იყო, რის შესრულე-  
ბისათვისაც ადამიანს მხოლოდ რწმენა მოეთხოვე-  
ბა. ყოველი შემდეგი დავალება უფრო და უფრო  
ძნელი იქნება. მიპასუხე: მზად თუ ხარ, ან თუ  
გაქვს სურვილი, ჩვენს არქივს აზრი გამოჰკითხო  
საკუთარ თავზე?“

მე გამაურუოლა და სუნთქვა შემეკრა. ეს კია,  
მრვევდი: ყოველი შემდგომი კითხვა უფრო და  
უფრო ძნელი იქნებოდა, ყოველი უარი კიდევ უფ-  
რო მძიმე მდგომარეობაში ჩამაგლებდა. ვიდექი და  
მძიმედ ვსუნთქავდი; დიახ-მეთქი, ვთქვი ბოლოს.

მამა-მაუწყებელმა მაგიდებთან მიმიყვანა, სადაც  
ასობით ბარათების ყუთები ეწყო. მოვძებნე ასო  
ჰ., ვნახე ჩემი სახელიც; ჯერ ჩემს წინაპარს ეო-  
ბანს წავაწყდი, ვინაც ოთხასი წლის წინ ასევე  
ძმობის წევრი ყოფილა, მას ჩემი ბარათი მოსდევ-  
და და ასეთი მითითება ერთვოდა:

Chattorum r. gest. XC.

civ. Calv. infid. 49\*

ბარათი ხელში მითრთოდა. ამასობაში ერთი  
შეორის მიყოლებით წამოდგნენ უხუცესნი სავარძ-  
ლებიდან, სათითაოდ ხელი ჩამომართვეს, თვა-  
ლებში ჩამხედეს და თითო-თითოდ გარეთ გავი-  
დნენ. უზენაესი საყდარი დაცარიელდა; ყველაზე  
ბოლოს მაღალი ტახტიდან უხუცესთუხუცესი ჩა-

\* სატისა საქმ. XC. მოქ. კალვ. არასანდ. 49 (ლათ.).

მოვიდა, მანაც სელი ჩამომართვა, გამიღიმა წმინდანი მორჩილებით, ვით ეპისკოპოსს ჰეამს და უკანასკნელმა დატოვა დარბაზი. მე მარტოდ დავრჩი, მარცხენა ხელში ბარათი მეკავა, დავრჩი არქივის ანაბარა.

ვერა და ვერ ვაძმულე ჩემი თავი, იმავე წამს შევკითხებოდი არქივს საკუთარ თავზე. შეყოყმანებული ვიდექი ცარიელ დარბაზში და გავცემოდი შორამდე გადაჭიმულ უჯრებს, კარადებს, წალოებსა და კაბინეტებს, სადაც ყოველივე ის ცოდნა იყო შეგროვილი, რაც კი ოდესმე შეიძლება დამჭირვებოდა. მაგრამ შიშმა — რას მეტყოდა ჩემი საკუთარი ბარათი, შიშმა ყოველივე ამის ცოდნისა, არ მომცა ნება ჩემს თავზე შევკითხებოდი და გადავწყვიტე მანამდე ის ცნობები შემეგროვებინა, ჩემთვისა და დილის ქვეყანაში მსხემობის ისტორიისათვის რომ იყო მნიშვნელოვანი. მართალია, მე უკვე დიდი ხანია ვიცოდი, ჩემს შრომას განაჩენი რომ ჰქონდა გამოტანილი, სამუდამოდ დასამარებულიყო და ვერც ვერასოდეს დავწერდი ბოლომდე, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მაინც მოსვენებას არ მაძლევდა.

ბარათების ერთ-ერთ უჯრაში უხეიროდ ჩადებული ბარათი დავინახე, ირიბად რომ ამოეშვირა ყური დანარჩენი ბარათებიდან. მივედი ამ უჯრას-თან, ამოვიდე ბარათი და აი, რა წავიკითხე:

Morbio Inferiore.

ალბათ სხვა არც ერთი სიტყვა არ იქნებოდა უფრო მოკლე და უფრო ზუსტი გამომსატველი

ჩემი ცნობისმოყვარეობის შინაგანი არსისა. გულისფანცქალით მოვძებნე არქივში ეს უჯრა. იგი ქაღალდებით იყო გამოტენილი; სულ ზემოთ ერთი ძველი იტალიური წიგნიდან გადმოდებული მორბიოს ხეობის აღწერილობის ასლი იყო და კიდევ — მეოთხედ თაბასზე დაწერილი მოკლე ცნობები იმ წვლილის თაობაზე, ძმობის ისტორიაში რომ მიუძღვდა მორბიოს. ყველა ცნობა მსხემობას ეხებოდა, კერძოდ, იმ მონაკვეთსა და ჯგუფს, მე რომ განვეკუთვნებოდი. ჩვენმა ჯგუფმა, ასე იყო იქ აღნიშნული, გზად მორბიოს მიაღწია, იქ გამოცდა მოუწყეს, მან კი გამოცდა გერ ჩააპარა. ეს გამოცდა ლეოს გაქრობა გახლდათ. და თუმცა ჩვენ ძმობის წესებს უნდა მივყოლოდით და მითითებანიც გვქონდა, მსხემობის დაწყებამდე გულდაგულ რომ შთაგვაგონეს იმ შემთხვევისთვისაც, თუკი ძმობის რომელიმე ჯგუფი უმეთაუროდ დარჩებოდა. მთელმა ჩვენმა ჯგუფმა იმ წუთიდან, რა წუთიდანაც ლეოს გაქრობა აღმოაჩინა, დაკარგათავიცა და რწმენაც, მიეცა ეჭვებს, შექმნა უაზროდავა-კამათი და, ძმობის სულისკვეთების პირუკუ, ბოლოს და ბოლოს დაიყო პარტიებად და დაიფანტა. მაგრამ მორბიოში მომხდარი მარცხის ამგვარ ასსნა-განმარტებაზე უფრო მეტად მე იმ ამბავმა გამაოცა, შემდგომ რომ წავიკითხე ჩვენში მომხდარი განხეთქილების თაობაზე. სახელდობრ, ჩვენს ძალათაგანს, სულ ცოტა სამს მაინც, უცდია თურმე ჩვენი მოგზაურობის ისტორია დაეწერა და მორბიოში მომხდარი ამბები მოეთხოვთ. ერთი ამ სამთაგანი მე გახლდით — აკი უჯრაშიც იდო ჩემი

ხელნაწერის სუფთა პირი. საოცარი გრძნობები ჩამეუფლა, როცა ორი დანარჩენი წიგირითხე: ორივე ავტორი იმ დღეთა ამბებს ძირითადად ისე-ვე აღწერდა, როგორც მე, მაგრამ მაინც რაოდენ სხვაგვარად უღერდა ისინი ჩემთვის! ერთში წავიკითხე:

„მსახური ლეოს გაუჩინარებამ მოულოდნელად, ულმობლად რომ გადაგვიშალა წინ უფსკრული იმ უთანხმოებისა და დაბნეულობისა, რამაც დაშალა ჩვენი მანამდე ვითომდა ესოდენ მტკიცა ერთობა, თუმცა ზოგიერთმა ჩვენგანმა იმთავითვა იცოდა, ან გუმანით იგრძნო, ლეოს რომ არც რაიმე ფათერაკი შეხვედრია და არც გაქცეულა, არა-მედ ძმობის მოთავეებმა გაიწვიეს ფარულად უკან. თუ რაოდენ უხეიროდ ჩავაბარეთ ეს გამოცდა, ცხადია, არც ერთ ჩვენგანს არ ძალუბს ამაზე დიდ-ზე დიდი სინანულისა და სირცხვილის გარეშე ფიქრი. როგორც კი მიგვატოვა ლეომ, უმალ ჯვარი დაესვა რწმენასა და ერთსულოვნებას ჩვენ შორის; თითქოს უჩინარი ჭრილობა მიაყენეს და წითელი სისხლისგან დაცალეს ჩვენი ჯგუფი. თავ-დაპირველად აზრთა სხვაობამ იჩინა თავი, შემდეგ აშკარა შულლიც გაჩნდა სრულიად წვრილმანი და სასაცილო საკითხების გამო. მე მახსენდება, მაგალითად, ჩვენი საყვარელი და ღვაწლმოსილი კაპელ-მაისტერი, მევიოლინე ჰ. ჰ., რომელმაც უცებ დაგვიწყო მტკიცება, თითქოს გაქცეულმა ლეომ სხვა ძვირფას. საგნებთან ერთად ჩვენი ძმობის უძველესი წმინდა სიგელი, ჩვენი მამამთავრის უძველესი ხელნაწერი გაიყოლაო! ამ საკითხზე მრავა-

ლი და მრავალი დღის განმავლობაში იყო დიდი და-  
ვა-კამათი. ჰ-ს მტკიცება, რა თქმა უნდა, ყოვლად  
შეუსაბამოა, მაგრამ სიმბოლურად თუ მივუდგებით,  
საოცრად აზრიანი გახლდათ. მართლაც ხომ ისე  
იყო, თითქოს ლეოს წასელის შემდეგ ჩვენს პატა-  
რა სალაშქრო ჯგუფს პირწმინდად მოაკლდა ძმო-  
ბის ლოცვა-კურთხევა, დაკარგა კავშირი მთლია-  
ნობასთან. ამის სამწუხარო მაგალითი თვითონ მუ-  
სიკოსი ჰ. ჰ. გახლდათ. მორბიო ინფერიორიმდე  
იგი კრებულის უერთგულესი და ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე მორწმუნე ძმა იყო, გარდა ამისა, გვიყვარ-  
და, როგორც მუსიკოსი. აქამდე ერთ-ერთი ყველაზე  
ცოცხალი წევრი ჩვენი ძმობისა, მიუხედავად ხა-  
სიათის ცალკეული ნაკლისა, იგი ახლა ფიქრებმა  
დაიჯაბნია, სულიერი სიძაბუნე მოერია, ეჭვიანი  
გახდა, გულისყური მოაკლო თავისი მოვალეობის  
შესრულებას, თანდათანობით უფრო აუტანელი,  
ფხუკიანი და ჭირვეული შეიქნა. როდესაც ერთ  
დღეს გზაში ჩამოგვრჩა და მერე აღარც გამოჩნდა,  
არავის მოგვსვლია თავში, მის გამო შევჩერებული-  
ყავით და მისი ძებნა დაგვეწყო. მისი გაქცევა დია-  
ხაც აშკარა იყო. სამწუხაროდ იგი ერთადერთი არ  
გახლდათ, რამეთუ საბოლოოდ ჩვენი პატარა მლო-  
ცველთა ჯგუფიდან აღარ დარჩა რა...“

მეორე ისტორიკოსთან ასეთ ადგილს წავაწყ-  
დი: „ვითარცა ძველი რომი კეისრის სიკვდილის  
შემდეგ, ანდა როგორც დემოკრატიული მსოფლი-  
ოს იდეა ვილსონის გაქცევის მერმე, ასევე დაინ-  
გრა და დაიშალა მორბიოს ბედკრული დღეების  
შემდეგ ჩვენი ძმობა. უკეთუ შეიძლება აქ დანა-

შაულსა და პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი, მაშინ  
ამ მარცხში ბრალი მიუძღვის ჩვენს ორ თითქოს-  
და უწყინარ ძმას: მუხიკოსს პ. ჰ.-ს და ლეოს,  
ერთ-ერთ მსახურს.

მანამდე ყველასათვის საყვარელი ძმობის ერთ-  
გული მომხრენი, თუმცადა მათ იმთავითვე აკლდათ  
გაგება ძმობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნე-  
ლობისა, ერთ დღეს უკვალოდ გაქრნენ, თან ზოგი  
რამ ძვირფასი ქონება და დიდად ფასეული საბუ-  
თი გაიყოლიეს, რაც საფუძველს გვაძლევს, და-  
ვასკვნათ, რომ ორივე საცოდავი ძმობის ძლიერმა  
მოწინააღმდეგებ მოისყიდა...“

თუ ამ უამთაღმწერლის მეხსიერება ესოდენ  
შერყვნილი და ამღვრეული იყო, მიუხედავად იმი-  
სა, რომ თავისი მოხსენება, როგორც ჩანს, კეთი-  
ლი ზრახვითა და დიდზე დიდი გულმართლობის  
გრძნობით დაუწერია, განა რა ფასი ჰქონდა მაშინ  
ჩემს საკუთარ, მისგან განსხვავებულად დაწერილ  
ჩანაწერებს? კიდევ ათი სხვა მოხსენებაც რომ აღ-  
მოჩენილიყო მორბიოს, ლეოსა და ჩემზე, ისინიც  
ალბათ ასევე ერთმანეთის საპირისპირო მოსაზ-  
რებებს გამოთქვამდნენ და ასევე ერთმანეთში შე-  
იტანდნენ ეჭვს. არა, ჩვენს ისტორიულ ძალისხმე-  
ვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, აღარ იყო სა-  
ჭირო არც მათი გაგრძელება, არც მათი წაკითხვა,  
კაცს გულმშვიდად შეეძლო მიეტოვებინა ისინი  
ამ არქივის უჯრაში, რომ მტვერს დაეფარა თან-  
დათან.

ტანში გამაურუოლა იმის გაფიქრებაზე, კიდევ  
რას გავიგებ-მეთქი ნეტავ. თურმე როგორ ინაც-

ვლებს ადგილს, როგორ იცვლება და მახინჯდება ყველა და ყოველივე ამ სარკეებში, რა დამცინა- გად და მიუწვდომლად იმაღება ხატი ჭეშმარიტე- ბისა ყველა ამ მოხსენებათა, საწინააღმდეგო მტკი- ცებათა და ლეგენდათა მიღმა! რომელი ერთი იყო ჭეშმარიტება, რომელი ერთი უნდა ერწმუნა კაცს? ან თვით ჩემგან რა დარჩება, უკეთუ ჩემს საკუთარ პიროვნებასა და ისტორიაზე შევიტყობ არქივის აზრს?

მე ყველაფრისთვის უნდა ვყოფილიყავი მზად. და ანაზდად ვეღარ გავუძელ გაურკვევლობასა და მოლოდინის შიშს, სწრაფად გავემართე განყოფი- ლებისაკენ *Chattorum res gestae*, მოვძებნე ჩემი ნომერი და მალე უკვე იმ სათავსოს წინ ვიდექი, რაზეც ჩემი სახელი ეწერა. ეს გახლდათ წალო და როცა თხელი ფარდა გადავწიე, ვნახე, შიგ ნაწერი არაფერი იყო. იდგა მხოლოდ დროისგან შებლა- ლული ხისა თუ სანთლის გახუნებული ერთი ძვე- ლი პატარა ქანდაკება, რომელიღაც ღვთაებასა თუ ბარბაროსთა კერპს რომ მოგაგონებდათ. ერთი შეხედვით, კარგად ვერც გავერკვიე, თუ რა იყო იგი, თუმცა კაცმა რომ თქვას, ერთი კი არა, იგი ორი ქანდაკი იყო — საერთო მხოლოდ ზურგი ჰქონ- დათ. ერთხანს გაოცებული და იმედგაცრუებული მივჩერებოდი. უცებ თვალში მომხვდა სანთელი, წალოს კედელზე შანდალში ჩარჭობილი. კვესიც იქვე იდო. სანთელი ავანთე: ჩემ წინ ახლა განა- თებული ორსახოვანი საკვირველი ქანდაკი იდგა.

ნელ-ნელა ჩავწვდი მის აზრს, ნელ-ნელა და თანდათანობით შევიცან, თუ რას გამოსახავდა იგი.

ეს ადამიანის გამოსახულება იყო, ეს მე ვიყავი, ეს ჩემი ხატი იყო, უსიამოდ უძლური და დალეული, ნახევრად არსებული და ნახევრად ლანდი, ნაკვთებ-გადარეცხილი, რაღაც მერყევი, სუსტი, მომაკ-პვდავივით მზირალი, ვითარცა სკულპტურული ქანილება, ზედ „წარმავლობა“ ანუ „ხრწნა“ თუ მისთანა რომ აწერია. ჩემთან შეზრდილი მეორე ქანდაკი კი, პირიქით, სავსე იყო სიცოცხლით, ფე-რებითა და ფორმებით ზიმზიმებდა. და სწორედ იმ წუთს, ოდეს უნდა ჩავმხვდარიყავი, ვის წააგავ-და იგი ანუ მსახურსა და უხუცესთუხუცესს ლეოს, სწორედ მაშინ აღმოვაჩინე კედელზე მეორე სან-თელი და ისიც ავანთე. ახლა ორსატება ქანდაკი, მე და ლეოს რომ გამოგვსახავდა თითქოს, არათუ უფრო ნათლად დავინახე, არათუ უფრო მიმსგავ-სებულად მომეჩვენა, არამედ ისიც შევამჩნიე, ქან-დაკებათა ტანი გამჭვირვალე რომ იყო და შიგ ჩა-ხედვაც შეიძლებოდა, როგორც ბოთლის ან ლარ-ნაკის შუშაში ჩაიხედავს კაცი. და დავინახე: ამ ქანდაკებათა შიგნით რაღაც მოძრაობდა, ნელა, საოცრად ნელა, როგორც გველი იკლაკნება ხოლ-მე ძილში. იქ რაღაცა ხდებოდა, რაღაცა დნებოდა, ლხვებოდა თუ მიედინებოდა ნელა, მდორედ და შეუწყვეტლივ, და თანაც ეს რაღაცა ჩემი ხატი-დან ლეოს ხატში გადადიოდა, იქით მიედინებოდა. და მე მივხვდი, რომ ჩემი ხატი მზად იყო მთლად დამდნარიყო და ლეოსაში გადასულიყო, რათა მას შერეოდა, მასში გაზავებულიყო, ეკვება და გაეძ-ლიერებინა იგი. ღროთა განმავლობაში, როგორც ჩანდა, მთელი ეს მატერია ერთი ხატიდან მეორე-

ში გადაესხმებოდა და მხოლოდ ერთი დარჩებოდა — ლეო, მისდა ჯერ არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.

ვიდრე ვიდექი, ვუცქეროდი და დანახულის გააზრება-გაგებას ვცდილობდი, ის პატარა საუბარი გამახსენდა, ბრემგარტენის ზეიმის დღეებში რომ მქონდა ლეოსთან: მხატვრულ ნაწარმოებთა გმირები ჩვეულებრივ უფრო ცოცხალნი და ნამდვილნი არიან-თქო, ვინემ მათი შემქმნელნიო.

ჩაიწვა, ჩაქრა სანთლები. ვიგრძენი, როგორ შემიპყრო უზომო დაღლილობამ და ძილი მომერია. ამიტომაც ავდექი და იქაურობას გავეცალე, უნდა მომეძებნა ადგილი, სადაც დაწოლა და დაძინება შემეძლებოდა.

## პერმან პისძე მოგზაურობა ხატებისა და ამბების მიღმა

საკვირველ და დაუჯერებელ ამბავს მოგვითხობს პერმან პესე ამ პატარა ნაწარმოებში. იგი აგვიწერს ერთი იდუმალი ძმობის განსაცვიფრებელ მსხემობას აღმოსავლეთში. განსაცვიფრებელს თუნდაც იმიტომ, რომ განდობილთა ეს ლაშქრობა სრულიად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ყოველგვარი მოგზაურობისაგან და განა მხოლოდ იმით, რომ უარს ამბობს თანამედროვე მგზავრობის ისეთ ჩვეულებრივ საშუალებებზე, როგორიცაა რკინიგზა, გემი და სხვა, არამედ იმითაც, რომ პესეს მოლაშქრეებს არ აქვთ ყველა მოცლილი მოგზაურის ერთი საერთო და აუცილებელი თვისება — ცნობისმოყვარეობა და შთაბეჭდილებათა დაგროვების სურვილი. მათი გზა სულ სხვა, უფრო ქველი, უფრო უანგარო მიზნებისკენაა მიმართული. უამრავ და დიდად საკვირველ ხალხს მოუყრია თავი ძმობაში — ფილოსოფოსნი, ხელოვანნი, მგოსანნი და მათი ნაწარმოებების გმირები ერთად დასდგომიან აღმოსავლეთის გზას. აქ არიან პლატონი და ლაო-ძი, ნოვალისი და პაულ კლეი,

პარციფალი, დონ კიხოტი და თავად ჭესეს ნაწარ-  
მოების გმირები: სევდიანი ანსელმი, ბრძენი ზიღ-  
ჰართა, შმაგი კლინგზორი და მრავალი სხვა.  
მძლავრ ნაკადად მიედინებიან განდობილნი აღმო-  
სავლეთისაკენ, არ ცნობენ არც დროისა და არც  
სივრცის საზღვრებს – ხან ფერიებსა და პატრიარ-  
ქებს ესტუმრებიან, ხანაც, თუ შემოაღამდათ, შუა  
საუკუნეებში გაათევენ ღამეს, მერე კი ისევ თავის  
გზას გაუდგებიან, მოიხილავენ ნეტარ მოსაგონარ  
ადგილებს, თაიგულებით შეამკობენ სამლოცველოთ  
და საკურთხეველთ, მოიგონებენ მიცვალებულთ,  
იმდერიან საგალობლებს და ზეიმობენ დღესას-  
წაულებს. გასაოცარი, ზღაპრული და, თანაც, უჩ-  
ვეულო სამყარო იშლება მკითხველის წინაშე. აქ  
ღრო და სივრცე ისე გადაადგილ-გადმოადგილდე-  
ბა ხოლმე, როგორც თეატრის დეკორაციები ჯა-  
ლოსნური ზღაპარი და რეალური სინამდვილე ერთ-  
მანეთშია არეული, სასწაული კი გმირთა ძირი-  
თად გამოცდილებადაა ქცეული. მაგრამ განსა-  
კუთრებით საკვირველი და, ამასთანავე, საჩოთი-  
ლო მაინც ისაა, რომ ეს მომხიბლავი ზღაპარი, პო-  
ეტის უშრეტი ფანტაზიის ეს თვალწარმტაცი ქმნი-  
ლება ისეთი დამაჯერებლობით არის მოთხრობი-  
ლი, თითქოს ავტორს მართლაც ემოგზაუროს ამ  
იშვიათ ადგილებში და ახლა ნამდვილად მომხ-  
დარი, თავისი თვალით ნახული, ყოვლად სარ-  
წმუნო ამბის მოყოლა განეზრახოს. მკითხველი პირ-  
ვილი გვერდიდანვე ნათლად აღიქვამს მთხრობელს  
რომელიც მას წარმოუდგება არა როგორც მეზღ-  
აპრე და ტკბილად მოუპარი მგოსანი, არამედ

როგორც ისტორიოგრაფიის ხერხებს კარგად და-  
უფლებული მემატიანე, მოვლენათა მიუკერძოე-  
ბელი აღნუსხვა და ობიექტურობა თავის ერთად-  
ერთ კრიტერიუმად რომ გაუხდია. უფრო მე-  
ტიც – ეს მემატიანე მხოლოდ პირადად ნანახისა  
და განცდილის ზუსტ გადმოცემას ისახავს მიზ-  
ნად. ამ თვალსაზრისით, მისი თხრობა უფრო ავ-  
ტობიოგრაფიას, გულისნადების გამულავნებასა და  
აღსარებას უახლოვდება. ეს წინააღმდეგობა გამო-  
ნავონსა და ისტორიულ ფაქტს შორის, ეს შეუსა-  
ბამობა ობობას ქსელივით ნაზ სიზმრისეულ პოე-  
ტურ მასალასა და გადმოცემის ავთენტიკურ მა-  
ნერას შორის ნაწარმოების პირველ სტრიქონებ-  
შივე იჩენს თავს და შემდეგ მთელ თხრობას თან  
გასდევს. მაგრამ ეს „შეუსაბამობა“, რა თქმა უნ-  
და, გარკვეულ მიზნებს ემსახურება და, ერთგვა-  
რად, აღარცაა შეუსაბამობა, რადგანაც დაკვირვე-  
ბული მკითხველი რეალური სინამდვილის არაერთ  
ფაქტს, არაერთ ავტობიოგრაფიულ წვრილმანს  
აღმოაჩენს ჰესეს ჯადოსნურ ზღაპარში. მით უმე-  
ტეს, რომ ჰერმან ჰესე იმ მწერალთა რიგს ეკუთ-  
ვნის, რომელთა ყველა ნაწარმოები, გოეთეს თქმი-  
სა არ იყოს, „ერთი დიდი კონფესიის ნაწყვეტებს“  
წარმოადგენს. აკი თვით მგოსანი წერდა 1953  
წელს: „მე მოძღვარი და წინამძღოლი არა ვარ, მე  
აღსარების მთქმელი, მლტოლველი და მაძიებელი  
კაცი გახლავართ, ვისაც სხვა არაფერი აქვს ადა-  
მიანებისათვის სათქმელი, გარდა შეძლებისდაგვა-  
რად გულწრფელი აღსარებისა – თუ რა გარდახ-  
და თავს და რა იყო მნიშვნელოვანი მის ცხოვ-

რებაში". სწორედ ერთ-ერთი ასეთი პოეტური აღსარებაა „მოხილვა დილის ქვეყნისა". მთხოვ- ბელი აღწერს თავის თავგადასავალს და მკითხვე- ლი ხვდება, რომ მთელი ეს უცნაური მოგზაურო- ბა რეალური სინამდვილიდან, თვით მწერლის ცხოვრებიდან იღებს დასაბამს, მაგრამ მერე, შე- მოქმედის ფანტაზიით, იერს იცვლის და ჯა- დოსნურ ზღაპრად გარდაისახება... უწინარეს ყოვლისა, თვალში გეცემათ, რომ მოგზაურობის მარშრუტი ძირითადად იმეორებს თვით ჰესეს ცხოვრების მიგრაციულ სქემას. თანაც საინტე- რესოა, რომ გეოგრაფიულ ადგილთა ჩამოთვლი- სას ყოველთვის დაცულია ბიოგრაფიულ-ქრონო- ლოგიური თანმიმდევრობა. თავდაპირველად ნახ- სენებია შვაბია, სადაც დაიბადა მწერალი, სადაც გაატარა მან ბავშვობის წლები. მერე ბოდენის ტბაა მოხსენებული. აქ, როგორც ცნობილია, პა- ტარა სოფელ გაიენპოფენში ჰესე 1905 წელს და- სახლდა და ხუთი წელი ცხოვრობდა. სულ ბოლოს კი მოიხსენიება შვეიცარია, ჰესეს მეორე სამშობ- ლო და თავშესაფარი. აქა-იქ ვხვდებით იმ ქალაქ- თა სახელებსაც, სადაც ხანგრძლივად უცხოვრია ჰესეს: ტიუბინგენი, ბაზელი, ფლორენცია. ნახსე- ნებია ჰესეს მეგობრისა და მფარველის გეორგ რაინჰარტის სახლი ვინტერტუნში, მაქს და ტი- ლი ვასმერთა ბრემგარტენის სასახლე ბერნის მახ- ლობლად, სადაც ნაწარმოების გამოსვლიდან იხუთმეტი წლის შემდეგ ხანდაზმული მწერალი თომას მანს ეპატიუებოდა თავის დაბადების დღე- ზე; რა თქმა უნდა, საგანგებოდაა ნახსენები ციუ-

რისი — ეს ქალაქი ხომ 1925-1931 წლებში ჰესეს  
საზამთრო სამყოფელი იყო. სწორედ აქ, შანცენ-  
გრაბენის ქუჩის № 31 სახლში, სადაც მეგობრებმა  
ალისე და ფრიც ლოიტპოლდებმა მწერალს ბინა  
უქირავეს, შეიქმნა ნაწილობრივ „მოხილვა დი-  
ლის ქვეყნისა“. საინტერესოა ისიც, რომ, როგორც  
შენიშნა ერთმა ამერიკელმა მკვლევარმა, ლიტერა-  
ტურული ნაწარმოების გმირებიც იმ თანმიმდევ-  
რობით ერთვებიან მოქმედებაში, რა თანმიმდევ-  
რობითაც მიეკუთვნებიან ისინი ჰესეს ბიოგრა-  
ფიას: პირველი სასწაულების მოწმე იგი უკვე  
მაშინ გახდა, — გვატყობინებს მთხრობელი, — რო-  
ცა ჯერაც „სულ ახალბედა“ (ანუ ბავშვი) იყო. ეს  
სასწაულები დაკავშირებულია ბუმბერაზ აგრა-  
მანტთან, ქონდრისკაცსა და წმინდა ქრისტეფო-  
რესთან, რომლებიც სათავგადასავლო თუ რელი-  
გიური ზღაპრების გმირები არიან და ჰესეს ყვე-  
ლაზე უფრო ადრინდელ ლიტერატურულ შთაბეჭ-  
დილებებს ასახავენ. ამას მოსდევს იოაპიმ არნიმის  
„გვირგვინის მცველნი“, რაც მწერალმა, ეჭვი არ  
არის, უფრო გვიან წაიკითხა და ა. შ. დაახლოებით  
იგივე პრინციპია დაცული თხრობაში თვით ჰესეს  
ნაწარმოების გმირთა შემოყვანისას. გარდა ამისა,  
მწერლის ცხოვრების კარგმა მცოდნემ, რა თქმა  
უნდა, კიდევ მრავალი ბიოგრაფიული დეტალი  
შეიძლება აღმოაჩინოს ნაწარმოებში. მაგრამ მე  
არ შევუდგები ბიოგრაფიული შესატყვისების ძიე-  
ბას, ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაქცევ  
მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ჰესე თავისი ზღაპ-  
რის მასალად თვით მისი ცხოვრების ფაქტებს,

ე. ი. ნამდვილსა და დადასტურებულ ამბებს იყენებს. რეალური მოვლენები, ურთიერთობანი, აზრები, ემოციები და შთაბეჭდილებები მწერალს ახალ სიბრტყეში გადააქვს, ახალ ყალიბში გამოჰყავს ისინი, ახალ თარგსა და ფორმას ანიჭებს მათ. ეს ახალი ფორმა ზღაპრის ფორმაა და თავის მოთხოვნებს უყენებს შემოთავაზებულ შინაარსსაც.

ზღაპარი, უწინარეს ყოვლისა, გამონაგონი და ფიქციაა. იგი არ იჩემებს ნამდვილობას, პირიქით — სულაც ვერ ეგუება სინამდვილეს და ფანტასტიკურ, სასწაულებრივსა და არაჩვეულებრივ ამბავს ეტანება. ხოლო ამ ფანტასტიკის, ამ არნახულ-დაუჯერებლისა და სასწაულის უშრეტი წყარო თავად ადამიანის სულია. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ზღაპარიც სწორედ იქ — ხალხის სულის არაცნობიერ წიაღში, ადამიანის ფსიქიკის ულრმეს ფენებში, მის სიზმრებსა და ზმანებებში იღებს სათავეს და იქიდან ცნობიერების ზედაპირზე გამოაქვს ეს ათასფრად მოლივლივე, ათასგვარ ხატად მოლიცლიცე პირველქმნილი ქაოსი, ეს გასაოცარი, გრძნეული და მარადსაკვირველი სამყარო, რომელიც ამავე დროს ქაოსის მოწესრიგების, ანტაგონისტური ძალების მორიგების, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჰარმონიის პირველ ცდას წარმოადგენს. ამიტომაც, ზღაპრის ფორმა ჰესესათვის რომანტიკული ასირება კი არ იყო, არამედ უღიმდამო ყოველდღიურობიდან თავდაღწევის, უკიდურესი მარტოობის გადალახვისა და ხელოვანის თავის თავთან და გარესამყაროსთან მორიგების საშუალება, რაკიდა ზღაპარში, რო-

გორც შენიშნავს ერთგან თომას მანი, „მოისხენება ხელოვანსა და ბიურგერს, განცალკევებასა და ერთიანობას, ინდივიდუუმსა და კოლექტივს შორის არსებული წინააღმდეგობა“.

3. ჰესე სახეს უცვლის საკუთარ წარსულს, რეალურ სინამდვილეს მომხიბლავ ზღაპრად აქცევს, ცხოვრებისეულ პროზას პოეზიად გარდაქმნის. ამ საოცარი გარდასახვის, მშრალი ემპირიული მასალის ამ ჯადოსნური სახეცვლილების მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან:

1931 წლის აგვისტოში ჰესე „კასა-ჰესეში“ გადასახლდა – მშვენიერ ორსართულიან სახლში, მისმა მეგობარმა და ქველმოქმედმა ჰანს კ. ბოდმერმა რომ აუშენა მწერალს თავისი ხარჯით. სახლის აშენების აზრი ბოდმერს დაებადა დაახლოებით ერთი წლით ადრე. ჰესე იხსენებს: „1930 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ციურიხში, „კიდობანში“ ვისხედით და ვმუსაიფობდით. საუბარი სახლებსა და, საერთოდ, მშენებლობაზე ჩამოვარდა. სხვათა შორის, ჩემი სურვილიც ვახსენეთ, ხანდახან რომ მომეძალებოდა ხოლმე. ჩემმა მეგობარმა ბ.-მ უცებ გაიცინა და წამოიძახა: თქვენ გექნებათ სახლი! ასე მეგონა, ხუმრობა იყო, საღამო უამს ღვინის სმაში საღაღობოდ თქმული. მაგრამ ხუმრობა საქმედ იქცა და აი, ის სახლი, ოდესლაც ოცნებაში რომ ველაციცებოდით, ახლა ჩვენ წინ დგას“. კერძო სახლის ფლობა ჰესესთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზემოთ აღწერილი დღიდან მოყოლებული, ახალ სახლში შესვლამდე 1931 წლის ზაფხულს, იგი მეგობრებთან საუბარში, ფიქრებსა თუ ოც-

ნებებში ამ თემას ალბათ ხშირად უტრიალებდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, ჰესეს აღმოსავლურ ზღაპარში ეს მისთვის ესოდენ საჭირბოროტო ამბავი სულ ერთი, მეტად ძუნწი შტრიხით არის მოცემული. აქ ნათქვამია, რომ გერმანულ საზოგადოებრიობას თავის დროზე თურმე გულის ჩქროლვით შეუტყვია ძმობის ლირსშესანიშნავი საქმენი: ზემო შვაბიის მამაცური დალაშქვრის, ბრემგარტენის ტრიუმფისა და ტესინის მონტაგს-დორფის გადაცემის ამბავი. მოხდა საოცარი რამ: კონკრეტულ მოვლენას ჩენჩოსავით შემოეცალა ყოფითი განსაზღვრულობა, იგი დაიწურა, ერთ ხატად შეიკრა და ჯადოსნურ ნიშნად იქცა. უკვე კონტექსტი, რომელშიც მოხსენებულია ამ მონტაგს-დორფის ამბავი, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჰესესთვის დამახასიათებელი მინიშნება ზემოაღნიშნულ ბიოგრაფიულ რეალიებზე, მკითხველში იწვევს გრიმების იმ ზღაპრის რემინისცენციას, სადაც შვიდი გულადი შვაბი ვაჟკაცურად მოივლის ქვეყანას, გზად კურდლელს შეებრძოლება და ბოლოს მდინარეში დაიღრჩობა. მაინც, ყველაზე საგულისხმო და საინტერესოა არა თავისთავად ეს ზღაპრული ატმოსფერო, არამედ ის, რომ ამ ატმოსფეროს, ამ ახალი კონტექსტის ზემოქმედებითა და რაღაც გრძნეული შეჯერების შედეგად, მარტივი ფაქტი კარგავს თავის ემპირიულ კონკრეტულობას და მრავალმნიშვნელოვან პოეტურ შიფრად გარდაიქმნება, რომლის მიღმა, მართალია, ერთი მხრივ შეგვიძლია რაღაც ბიოგრაფიული დეტალი ვიგულისხმოთ, ან უფრო ღრმა

და იდუმალი მნიშვნელობა ვეპიოთ, მაგრამ თავის-თავადაც, როგორც პოეტურ სახეს, მას საკმარისი დამატყვევებელი ძალა აქვს, რათა მიგვიშიდოს და დაგვძაბოს. ყოველი ბიოგრაფიული ფაქტი, ემ-პირიული რეალობიდან აღებული ყოველი მოვლენა ამ ჯადოსნური ფერიცვალების გზას გაივლის. ნინონ აუსლენდერთან მიჯნურობა სარაინდო რო-მანებში გავრცელებული აღმოსავლელი პრინცესის ძიებას ემსგავსება, თანამედროვე საცხოვრებელი სახლები ზღაპრულ სასახლეებად და ეგზოტიკურ ქვეყნებად გარდაიქმნებიან, და ისეთი თითქოსდა სრულიად არაპოეტური საკითხიც კი, როგორიცაა სულის პოლიტიზირების პრობლემა, უცეპერთი მომხიბლავი ეპიზოდის სახით იჩენს თავს ამ ჯადოსნური სამყაროს შუაგულში: ბოდენის ტბის მოჯადოებულ ციხე-კოშკში გვირგვინის მცველნი ჰოპენშტაუფენთა სამეფო გვირგვინს ინა-ხავენ; ისინი ყოველი მხრით გზავნიან შიკრიკებს, ძალას იკრებენ, რათა ჰაბსბურგები ჩამოაგდონ ტახტიდან. მათი შიკრიკი სალოცავად მიმავალ ძმობასაც ეახლება და მუქარითა თუ დაპირებით ცდილობს სულის მსახურთა გადაბირებას, მათი ლაშქრის ჩაყენებას შტაუფენთა სამსახურში. მაგ-რამ წინამძღოლნი ცივი უარით გაისტუმრებენ მათ და განაგრძობენ აღმოსავლეთით სვლას.

ზღაპარს თავისი კანონები აქვს. მისთვის უცხ-თა რეალური ცხოვრების პრაქტიციზმი და გო-ნივრულობა. ამიტომაც, იგი უპირატესობას ანი-ჭებს პოეტებს, მეოცნებებს, ფანტაზიის ტყვეობაში მყოფ ნაცარქექიებს და არნახული განძის

შაძიებელთ, რომელთაც შსოლოდ უჩვეულო თავ-  
გადასავლისა და სასწაულის წყურვილი ამოძრა-  
ვებთ. ეს არის შეუბოჭავი ინიციატივის, სილადისა  
და თავისუფლების სამყარო. მაგრამ გმირთა ინ-  
დივიდუალიზმი და ამაყი თავნებობა განელებუ-  
ლია იმით, რომ მათ საოცრად პერმეტულ სამყა-  
როში უსდებათ მოქმედება, რაც ზღაპრის მეორე  
მნიშვნელოვან თვისებად უნდა მივიჩნიოთ. ზღაპ-  
რის ყველა გმირი თავს ერთი დიდი კოლექტივის  
წევრად გრძნობს. მართალია, აქ არიან ავი სულე-  
ბიც და კეთილი ფერიებიც, გულბოროტი დევე-  
ბიც და ქველი ქონდრისკაცებიც, მაგრამ ყველა  
ისინი ერთ დიდ ოჯახს განეკუთვნებიან, ყველა-  
სათვის საერთო წესებისა და კანონების მიხედვით  
მოქმედებენ. ამიტომაც არ იცის ზღაპარმა პიროვ-  
ნების გამოცალკევება და ზოგადისადმი მისი და-  
პირისპირება. ყოველ პერსონაჟს აქ მხოლოდ იმ-  
დენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი საერთო ან-  
სამბლის ერთ-ერთი წევრია, ერთიანი სპექტაკ-  
ლის ერთ-ერთი შემსრულებელია. სწორედ ამითაა  
გაპირობებული, რომ კონკრეტული ცხოვრების  
ზღაპარში გადასვლასთან ერთად იხსნება ის წინა-  
აღმდეგობა პიროვნებასა და გარე სამყაროს შორ-  
ის, რომელიც ამ კერძო ინდივიდუალურ არსე-  
ბობას რეალურ სინამდვილეში ჰქონდა. ნაწარმო-  
ების წარმოსახვით სამყაროში ჰქესეს თავისი თა-  
ვი განდობილთა საიდუმლო კავშირის ერთ-ერთ  
წევრად გამოჰყავს. მხოლოდ ამ გზით ძალუმს მას  
სოციალურობის ხელახალი აღმოჩენა და იმ კავში-  
რების აღდგენა, ხელოვანის კოლექტივისაგან გა-

მოყოფასა და გამოცალკევებას რომ შეეწირა. ამ-  
რიგად, ზღაპარი შესაძლებლად ხდის ადამიანური  
არსებობის კოლექტიურსა და მითიურ ფორმებში  
უკუდაბრუნებას, სამყაროს პირველქმნილებაში  
განზავებასა და ცალკეული ცხოვრების უმაღლესი  
იდეისადმი დაქვემდებარებას.

ზღაპრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-  
თვისებაა მისი მრავალფეროვანი ხატოვანება, რაც  
იმითაა განპირობებული, რომ იგი უშუალოდ შეგ-  
რძნებებზე უნდა მოქმედებდეს. ამიტომ, თუ ჰე-  
სეს სურდა თავისი თავგადასავალი ზღაპრის ფორ-  
მით წარმოედგინა ჩვენთვის, მას უნდა მოენახა  
ისეთი მეტყველი და მომხიბლავი სახეები, ისეთი  
ქარგა უნდა შეერჩია, მკითხველის წარმოსახვაში  
ჯადოსნური სამყაროს ფიქციას რომ შექმნიდა. ამ  
სახეებისა და შესაფერი სიუჟეტური ფორმის ძიე-  
ბისას ჰესე, ისეგე როგორც თავის დროზე გი-  
ლანდი, ჰაუფი და ბევრი სხვა, „ათას ერთი ლამის“  
რომანტიკულ სამყაროს მიმართავს. იგი ოსტატუ-  
რად აქსოვს თხრობაში ამ სამყაროს ელემენტებს  
და მკითხველსაც დროთა განმავლობაში სრულიად  
კონკრეტული წარმოდგენა შეექმნიბა იმ საუცხოო  
ქადაგანაზე, საითაც ჰესეს მოლაშქრეებს უჭი-  
რავთ გეზი. სულ მალე ამ წარმოდგენას ავტორიც  
ადასტურებს. „ჩვენ რომ მივდიოდით, — წერს  
იგი, — ამ გზით უგლიათ ოდესლაც მსხემთა, მეფეთ  
და ჯვაროსნებს მაცხოვრის საფლავის დასახსნე-  
ლად, ანდაც არაბული მაგიის შესასწავლად, ამ  
გზით მოულოცნიათ წმინდა ადგილი ესპანელ  
რაინდებსაც, გერმანელ სწავლულებსაც, ირლან-

დიელ ბერებსაც და ფრანგ პოეტებსაც". და თუმცა  
ქვემოთ ავტორი შეეცდება მკითხველი დაარწმუ-  
ნოს, რომ აღმოსავლეთი მლოცველთათვის გეოგ-  
რაფიულ ცნებას არ წარმოადგენსო, მას უკვე  
აღარ ძალუბს მისი ცნობიერებიდან ამოშალოს აგ  
სტრიქონებით გამოწვეული ხატი ევროპიდან ბალ-  
დადისა და ქაშმირისაკენ დაძრული ნაკადისა.

თხრობის ქარგად ჰესე იყენებს აღმოსავლურ  
თუ დასავლურ ზღაპარში გავრცელებულ მოგზაუ-  
რობის მოტივსაც, თუმცა ის მოგზაურობა, ჰესე  
რომ აგვიტირს, სულაც არა ჰგავს არც სინდბადის  
უცნაურ ოავგადასავალს და არც მამაცი მკერავი-  
სა და ცაროდენას ქვეყნად ხეტიალს, რადგან ზღა-  
პარში მოგზაურობის მიზანი ისაა, რომ სახლიდან  
გამოიყვანოს გმირი და ულიმლამო ყოველდღიუ-  
რობას მრავალფეროვანი თავგადასავლითა და სას-  
წაულით აღსავსე სამყარო დაუპირისპიროს. სახ-  
ლი აქ ყოველთვის მოგზაურობის საწყის წერ-  
ტილს წარმოადგენს, მაშინ როდესაც ჰესეს ნა-  
წარმოებში იგი ყარიბობის საბოლოო მიზანია.  
ჰესეს მლოცველნი სამშობლოს სეგდით არი-  
ან შეპყრობილნი, უცხოობაში ყოფნით დაღლილ-  
ნი ისევ შინისკენ მიიღოთ, დაკარგული ჰარ-  
მონიის აოდგენაზე ოკნებობენ. ტყუილად როდი  
სწავლება მემატიანეს გოლში ღრმად ნოვალისის  
სიტყვები: „განა საითკენ მივდიგარო? მუდამ ში-  
ნისკენ“. და თუმცა ეს სახლი, ეს ბინა მლოცვე-  
ლებს აღმოსავლეთში ეჩმანებათ, იქ, სადაც კა-  
ცობრიობის სულიერი უხოვრება იღებს დასაბამს  
და მკითხველის ფანტაზიაც, ზღაპრის მძაფრი  
სურნელით წახალისებული, მველი არაბეთისა და

ინდოეთისკენ მიიღტვის, მაინც ის ჭეშმარიტი სამშობლო და სალოცავი, საითკენაც ჰესეს გან-დობილნი მიემართებიან, სულ სხვაგანაა.

„ჩვენ ვოცნებობთ სამყაროში მოგზაურობაზე; განა სამყარო ჩვენში არ არის?“ — ამბობს ნოვალისი. იქ, თავისი თავის შიგნით, საკუთარი ფსიქიკის უღრმეს ფენებში ეგულვით დილის ქვეყანა ჰესეს მოგზაურებსაც. ისინი რომანტიკოსები არიან და სწამთ, რომ სამყარო „მეს“ დაკონკრეტების, მისი განსაგნების შედეგია და საკმარისია შენი თავი შეიმეცნო, რომ მთელი სამყაროც ნათელი გახდეს შენოვის. მათ მშვენივრად იციან, რომ ასეთ შემეცნებას არაფერი აქვს საერთო გარეგნული კაუზალობისა და სამყაროს გრძნობადი ზედაპირის შესწავლასთან, მაგრამ მათ, ამავე დროს, ისიც სჯერათ, რომ ვინც საკუთარ თავს შეიმეცნებს, ის სამყაროს არსესა და იდუმალებას განჭვრეტს. ამიტომაც ადგანან ისინი გზას შინაგანისკენ და მათ-თან ერთად, ბრენტანოსა და ჰოფმანთან, ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენსა და არქივარიუს ლინდჰორნსთან ერთად, ამ გზას ადგას „რომანტიკოსთა ბრწყინვალე პლეადის უკანასკნელი რაინდი“, მწერალი ჰერმან ჰესე.

ჰესეს თითქმის ყველა ნაწარმოები აღსარებაა. ყველა მათგანი მისი სულის თავგადასავალს ასახავს სიტყვასა და ხატში. ასევეა „მოხილვა დილის ქვეყნისაც“. ამ პატარა მოთხრობის პირველი ნაწილი სულის სიყრმეს წარმოგვიდგენს და ცხოვრების ესთეტიკურ აღქმას ეძღვნება, ანუ სულის იმ მდგომარეობის გამოხატვას, როდესაც ივი წმინდა

გრძნობად ფორმებში აღიქვამს სამყაროს. ამიტო-  
მაა, რომ პირველი ორი თავის ხატოვანება, საერ-  
თო კოლორიტი და აგებულება ზღაპრის ფორმით  
განისაზღვრება. ზღაპარი ხომ სულის ამ საწყისი  
მდგომარეობის, მისი ბავშვობისა და ყრმობის,  
უპასუხისმგებლო გრძნობადი არსებობის აღექვა-  
ტური ფორმაა. ისევე, როგორც სულისთვის ამ  
საფეხურზე უცხოა დიფერენციაცია, მორალი და  
გონიერება და იგი, კიერკეგორის კატეგორიები  
რომ ვიხმაროთ, წმინდა ესთეტიკური კუთხით გა-  
ნიცდის მოვლენებს, ასევე ზღაპარიც, — ფორმა,  
რომელსაც ნოვალისმა „პოეზიის კანონი“ შეარ-  
ქია, — ძირითადად სამყაროს გრძნობადი აღქმით  
იფარგლება, გამორიცხავს გონიერებას და სასწა-  
ულისაკენ ისწრაფვის. ზღაპარი ეთიკური ნორმის  
მიმართ სრულიად ინდიფერენტულია, მას, რო-  
გორც აღნიშნავს გოეთე, „არა აქვს არავითარი  
ზნეობრივი დანიშნულება“, მისი ერთადერთი მი-  
ზანი საუცხოო და უჩვეულო ამბის გადმოცემაა.  
ამიტომ კანონზომიერია, რომ როდესაც ჰესემ სა-  
კუთარი სულიერი თავგადასავლის თხრობა მოი-  
წადინა და ის მაგიური სამყარო გამოიტანა ზედა-  
პირზე, რომელიც არ ექვემდებარებოდა ფორ-  
მალური ლოგიკის კანონებს და გონება-პრაქტი-  
კის პოზიციიდან რაღაც არარსებულს, მეტად სა-  
ეჭვო და ძნელად დასაჯერებელ რასმე წარმოად-  
გენდა, მან სწორედ ზღაპარს მიმართა.

მაგრამ, როგორც ითქვა, ჰესეს მოთხრობა მა-  
ინც წმინდა წყლის ზღაპარი არ არის. ზღაპრისათ-  
ვის მეტად საჩითირო და შეუთავსებელია აქ გა-

მოვლენილი თხრობის მეცნიერულად დასაბუთებული და ავთენტიკური მანერა. მაგრამ ეს სწორედ ფანტასტიკურ სიუჟეტთან შერწყმული მეცნიერული გადმოცემის ფორმაა, არაჩვეულებრივ ეფექტს რომ ქმნის, იმ უშრეტ ირონიას რომ წარმოშობს, ასე რომ ხიბლავდა ანდრე უილს ამ პატარა მოთხრობაში.

ზღაპრის დამახასიათებელი ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ რაც არ მომხდარა, არც შეიძლება მომხდარიყო და სასწაულის სფეროს განეკუთვნება, აյ ისეა მოთხრობილი, თითქოს მართალი და სარწმუნო ამბავი იყოს. თანაც, საინტერესო ისაა, რომ ფაქტიურად არც მთხრობელს და არც მსმენელს არ სჯერა ამ ამბის ნამდვილობა, მაგრამ ისე იქცევიან, ისე უჭირავთ თავი, თითქოს ეჭვიც არ ეპარებოდეთ, რომ მოთხრობილი ამბავი რეალურად მომხდარა და სინამდვილეა. ეს გაორება, ეს შეუსაბამობა საქმის ჭეშმარიტ ვითარებასა და გარეგნული გამოვლენის ფორმას შორის არის კომიზმისა და ირონიის ის წყარო, რასაც კარგა ხანია ყურადღება მძაქციეს მწერლებმა და რაც ერთობ პროდუქტიულად გამოიყენა პ. ჰესემაც. ჩვენს კერძო შემთხვევაში ზღაპრის ამ ირონიულ ტენდენციას ჰესე იმით აძლიერებს, რომ ზღაპრისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ინტონაციებსა და თხრობის მიმიკას იგი პირუთვნელი უამთააღმწერლის ამბიციას და გადმოცემის მეცნიერულ მანერას უმატებს. ხოლო თუ დავუჯერებთ თომას მანს, ირონიული ხელოვნების ამ უბადლოოსტატს, — „სრულიად არამეცნიერულისა და ზღაპ-

რულის მიმართ გამოყენებული მეცნიერება თავს ამჟღავნებს, ვითარცა წმინდა წყლის ირონია". ასე რომ, ჰესეს თხრობას იმთავითვე ირონია სდევს თან და ეს ზღაპრულ ფორმაში ჩადებული ირონია, საზღვარს რომ უდებს ზღაპრის ფორმას და ამზადებს სხვა, უფრო პროზაულ, ჯადოსნურ-სასწაულებრივ ელემენტებისაგან თავისუფალ ეპიკურ ფორმაზე გადასვლას. ასეთი უკუგარდაქმნა პოეზიისა პროზაში, ლეგენდის რეალურ სინამდვილეზ უპუქცევა ხდება ჰესეს მოთხოვნის მეორე ნაწილში, რომელიც სულის განვითარების მეორე საფეხურს შეესაბამება.

ამ საფეხურს შეიძლება ეთიკური ვუწოდოთ, რადგანაც იგი, ჰესეს თანახმად, განისაზღვრება იმ ზნეობრივი მოთხოვნებით, რომელთაც ადამიანს უყენებს კულტურა, მორალი, რელიგია და კაცობრიობის მიერ შემუშავებული ესა თუ ის იდეალი. ამავე დროს, ეს საფეხური უშუალოდაა დაკავშირებული გონებასა და ინტელექტის მომძლავრებასთანაც, რაც განაპირობებს პრაგმატისტული იდეალებისა და ანგარიშის კულტის დამკვიდრებას. სარგებლობა, ხეირი, გამორჩენა, ფხიზელი ჭირა და საქმიანი მიღვომა წარმართავენ ამიერიდან ადამიანის მოქმედებას. ცხადია, რომ ამ საფეხურზე ადგილი აღარ რჩება დონკისოტური იდეალიზმისა და ზემიწიერი აღმაფრენისთვის, ხოლო ყოველივე საუცხოო და ჯადოსნური მეტად საეჭვო გამონაგონად და მონაჩიმახადაა შერაცხული. ამდენად, ეთიკური საფეხური გულისხმობს, რომ ინდივიდუუმმა მიატოვა სიყრმის დროინდელი უმანკო

და წმინდა გრძნობადი არსებობა, მიატოვა ფანტაზიისა და ოცნების სამყარო და ცხოვრებას ამიერიდან რაციონალურად აღიქვამს. მაგრამ ახალ საფეხურზე გადასვლას, რამდენადაც იგი დიფერენციაციისა და გონიერებაში ცალმხრივი განვითარების შედეგია, ეწირება როგორც ინდივიდუუმის შინაგანი ჰარმონია, ასევე მისი გარე სამყაროსთან შეწყობილობაც. ამ დარღვეული ჰარმონიის კომპენსაციას კი იგი ამიერიდან იმით ცდილობს, რომ გონებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით აწესრიგებს სამყაროს.

ჟესეს მოთხობაში სულის განვითარების ეს ახალი საფეხური, ერთი შეხედვით, სიუჟეტის განვითარებითაა შემოტანილი: ერთ მშვენიერ დღეს ჰ. ჰ. თავის მეგობრებთან ერთად აღმოჩენს, რომ ძმობის ერთგული წევრი და ბარგის მზიდველი ლეო უკვალოდ გამქრალა. ეს ფაქტი გამოიწვევს დავას ძმობის წევრებს შორის, რის შედეგადაც მათი კავშირი დაიშლება და დავიწყებას მიეცემა. შესაბამისად, აქ წყდება გასაოცარი მოგზაურობის აღწერაც. მაგრამ ყველაფერი ეს ასეა და არცაა ასე, ვინაიდან დაკვირვებული მკითხველი მშვენივრად ხედავს, რომ ავტორის კავშირი ძმობასთან მაშინ კი არ ირღვევა, როცა იგი ლეოს გაქრობას შენიშნავს, არამედ იგი იმთავითვეა დარღვეული, უკვე იმ წამს, როცა იგი მოგზაურობის აღწერას, მაგიური შინაარსის ლოგიკურ კატეგორიებში მოქცევას დააპირებს. ძმობა და დილის ქვეყნის მოხილვა იდუმალების სფეროს განეკუთვნება, ხოლო ყოველი ცდა საიდუმლოს გამუღავნებისა, გამოუთქმელი და აღუწერელი შინაარსის სიტყვიერი

გამოხატვისა მაშინვე ამ იდუმალების ფარგლებს გარეთ მოაქცევენ კადნიერს. სწორედ ასეთი ამ-ბავი ემართება ჰ. ჰ.-ს. თანდათანობით ისიც ირ-კვევა, რომ ნაწარმოების შინაარსი იდუმალი მოგ-ზაურობის ისტორია კი არ ყოფილა, არამედ მიხრობელი „მეს“ მიმართება ძმობისა და მოგზა-ურობისადმი. ავტორის სათხრობი პერსპექტივაც, ესიკური აწმყო, სულის განვითარების მეორე სტადიითაა შემოსაზღვრული, სადაც რეტროსპექ-ტულად არის შემოტანილი ამბავი განდობილთა მომხიბლავი მოგზაურობისა. მაგრამ, ასეა თუ ისე, თანმიმდევრობის თვალსაზრისით, ზღაპრის მაგი-ური სამყარო მაინც წინ უსწრებს პროზაულ რე-ალობას, რაც მკითხველს სულიერი განვითარე-ბის დინამიკის აღქმის შესაძლებლობას აძლევს. ეთიკური სტადიის განცდათა წარმოდგენა ზღაპ-რის ფორმაში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ, ჰესეს უნდა მოენახა მათი ადექვატური გამოსახვის სა-შუალებანი. ამ გარემოებამ განაპირობა ის მკვეთ-რი გარდატეხა, რისი მოწმეც მკითხველი მესამე თავში ხდება. მოქმედების განუსაზღვრელი არე ურბანისტული ლანდშაფტითაა შეცვლილი. თავად ამბავიც, მანამდე ზღაპრულად წარმტაცი და მომ-ხიბლავი, ახლა ერთი ევროპული ქალაქის ყოვ-ლად კონკრეტულ და ჩვეულებრივ გარემოშია გად-მოტანილი. საფუძვლიანადაა შეცვლილი მოქმე-დების მოტივაცია. თუ მანამდე ყარიბებისათვის გეზის შესაცვლელად საკმარისი იყო ცის მნათობ-თა განლაგება, ანდა უცნაური ბერიკაცის გამო-ჩენა მათ გზაზე, სასწაულზე რომ არაფერი ვთქვათ,

ახლა მთხოვთბელი ცდილობს „პრაქტიკული და გონიერი მხრიდან მიუახლოვდეს მიზანს“. ამ გონიერების პრინციპს განასახიერებს ჰ. ჰ.-ს სიყრმის მეგობარი, გაზეთის რედაქტორი ლუკასი. სწორედ მას მიმართავს რჩევისთვის მთხოვთბელი. საქმე ისაა, რომ ლუკასი ოდესაც ჰ. ჰ.-ს ანალოგიურ მდგომარეობაში ყოფილა ჩავარდნილი. ქაოსისა და არაფრის წინაშე წარმდგარს, მასაც განუცდია თურმე სასოწარკვეთა, საიდანაც თავი იმით დაუღწევია, რომ ომის შესახებ წიგნის დაწერა მოუხერხებია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლუკასმა ისევ იწამა თავი, ომი, თავისი წარსული, რომ მან აღიდგინა გონებისა და საღი აზროვნების მანამდე შერყეული რწმენა და ამით ისევ აზრი შესძინა ცხოვრებას. იგი ისეგ დაუბრუნდა გაზეთს, პოლიტიკას, საზოგადოებას, დაუბრუნდა ყოველივე იმას, რასაც ჰ. ჰ. გაურბის. საგულისხმოა, რომ ლუკასი გონიერი ადამიანის უტყუარი ინსტინქტით მაშინვე ხვდება, რა უშლას ხელს მის მეგობარს, ცივი განსჯისა და ლოგიკის, ბანკებისა და ყაზარმების სამყაროს დაუბრუნდეს. „გამიგონეთ, — ეუბნება იგი ჰ. ჰ.-ს, — რად უბრუნდებით ისევ და ისევ მსახური ლეოს ამბავს? ეს მე არ მომწონს. როგორც ჩანს, აქ რაღაც იმალება; მოდით, მოეშვით, მოიშორეთ ლეო თავიდან, ვართუ აკვიატებულ იდეად გადაგექცეთ“. ეს ფრიად საგულისხმო სიტყვებია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეო დამოუკიდებელი პერსონაჟი კი არ არის, არამედ ჰ. ჰ.-ს ორეულია, მისი მაღალი „მეს“, ატმანის პერსონიფიკაცია, „უკ-

კლავთა“ დასთან რომ აკავშირებს მას. ცხადია, ამ ორეულს გონიერი ლუკასის მხოლოდ გაღიზიანება და უარყოფა შეიძლება გამოეწვია, ვინაიდან იგი მისთვის მხოლოდ და მხოლოდ არარსებული ქიმერა და აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფია. ლუკასს არ ძალუმს დაუშვას ლეოს არსებობა, ყოველ შემთხვევაში — იმ სახით, როგორც მას ჰ. ჰ. აღიკვამს. ამიტომაც კანონზომიერია, რამ შისი დამოკიდებულება ამ მაგიური პერსონაჟისადმი კომიზმის წყაროდ იქცევა. ამ თვალსაზრისით, სიტუაცია გროტესკს აღწევს, როდესაც ლუკასი, საქმისადმი მისთვის ჩვეული პრაქტიკული მიღებომით, ლეოს ადგილსამყოფელს ჩვეულებრივ სამისამართო წიგნში ეძებს და მართლაც მონახავს კიდეც ვიღაც ანდრეას ლეოს მისამართს, ხოლო ეს ანდრეას ლეო, როგორც შეიტყობს შემდგომ მკითხველი, სწორედ ის მსახური და უხუცესთუხუცესი ლეო აღმოჩნდება, ყოველგვარი უცხო და უჩვეულო ამბების მოძულე რედაქტორის ასეთ ეჭვს რომ იწვევდა.

სულიერი მეტამორფოზის მეორე ეტაპი სასოწარკვეთით მთავრდება. „ყველა ის, ვინც ამ საფეხურს სერიოზულად, როგორც ღიფერენცირებული ინდივიდუუმი გაივლის, — წერდა ჰესე მოთხოვობაზე მუშაობის პერიოდის ერთ-ერთ თეორიულ ნაშრომში, — იგი გარდუვალად სასოწარკვეთილებამდე მივა“. ჸ. ჸ. ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენს მსახურ ლეოს, გამოეცნაურება კიდეც, მაგრამ ყოფილი მებარგული ვერ იცნობს მას. ამ გარემოებას უსასოებამდე მიჰყავს ძმობის ისეზაც

გულგატეხილი მაძიებელი; საპოლოთოდ იმედგადა-  
წყვეტილი, დაღლილ-დაქანცული და სასომიხდილი  
ბრუნდება იგი შინ, წვიმით გალუმპული, ტანსაც-  
მლის გაუსდელად მიუჯდება მაგიდას და ჩივილით,  
მონანიებითა და თხოვნა-ვედრებით აღსავსე წე-  
რილს სწერს თავის ყოფილ მსახურს. შემდეგ ამ  
წერილს უახლოეს საფოსტო ყუთში ჩააგდებს,  
კვლავ შინ დაბრუნდება და დრმა ძილს მიე-  
ცემა.

მომდევნო დილა მოთხრობის მეორე შემობრუ-  
ნების პუნქტი და სულის ბიოგრაფიის უკანას-  
კნელი, მესამე სტადიის დასაწყისია. ამ სტადიის  
წარმოსახვას კი ნაწარმოებში შემოაქვს მესამე  
თხრობითი ფორმა, რომელსაც პირობითად „ქა-  
რაგმული ზღაპარი“ შეიძლება ვუწოდოთ. ერთი  
შეხედვით, იგი პოფმანის ზღაპრებს მოგვაგონებს  
და გვახსენებს, რომ შმაგი რომანტიკოსი და მისი  
ორსახოვანი გმირებიც დილის ქვეყანაში მსხემო-  
ბის მონაწილენი არიან. მაგრამ, მეორე მხრივ,  
ბოლო ნაწილის ეს ჯადოსნურ-ფანტასტიკური  
და ყოფითი-რეალური ელემენტებისაგან შემდგარი  
სამყარო გარდაუვალად იწვევს ფრანც. კაფკას  
გრძნეულ ხილვათა ასოციაციასაც. საერთო ამ სა-  
მივე შემთხვევაში ისაა, რომ მაგიური სამყარო აქ-  
რეალური სინამდვილის შუაგულშია მოქცეული,  
ერთგვარად მასშია გათქვეფილი. ეპიკური სივ-  
რცე, მართალია, ყოვლად ჩვეულებრივი, თითქოს  
უფერული და უღიმღამო სინამდვილის ელემენ-  
ტებისგანაა აგებული, მაგრამ ამ სივრცეში განლა-  
გებული საგნები და პერსონაჟები, ჩვეულებრიო-

ბისა და ყოველდღიურობას ამ გარეგნულ საფარს იქით სულ სხვა, ჯადოსნურსა და უჩვეულო კონსისტენციას ამჟღავნებენ, თუმცა კი, ერთი შეხედვით, ისეთივე ჩვეულებრივნი არიან, როგორც მთელი ეს სამყარო. ძალლების მკრეჭავი და ფეხების კოსმეტიკაში დახელოვნებული ლეო განდობილთა ორდენის უსუცესთუხუცესი აღმოჩნდება; ქალაქის გარეუბნის ერთ ყოვლად ჩვეულებრივ, მუზეუმისა თუ დაწესებულების მსგავს შენობაში, ძმობის არქივი და უზენაესი სამსჯავრო განლაგებულია. ჯადოსნური და საუცხოო აქცერა მთას იქით კი არაა საძებნი, არამედ აქვე, გვერდითაა, ყოვლად პროზაული ყოველდღიურობის შუაგულში. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს რეალურ სინამდვილესთან, მაგრამ, ამავე დროს, იძულებული ვართ ვცნოთ ჯადოსნური სამყაროს არსებობაც და ზღაპრის ორიენტირებითა და კატეგორიებით ვიხელმძღვანელოთ.

განვითარების მესამე საფეხურზე სული ისევ უბრუნდება სიყრმის ჰარმონიულ და უზრუნველარსებობას. მაგრამ ეს უზრუნველობა, ეს სიმშვიდე და მხიარულობა ადრინდელი წლების უმანკოებისა და გაუცნობიერებელი არსებობის შედეგი კი აღარაა, არამედ იმ აღმატებულობის ნაყოფია, სასოწარკვეთილი ადამიანი რწმენის მეოხებით რომ მოიპოვებს. მხოლოდ რწმენას, მხოლოდ პარადოქსის უსიტყვით მიღებას ძალუბს გამოიყვანოს ადამიანი უკიდურესი გაუცხოებისა და უსასოობის მდგომარეობიდან და აზიაროს იგი იმ ნეტარ არსებობას, როდესაც მორალი და კანონი

ყოველგვარ ძალას კარგავენ მსოფლიო სულისა და ბუნების იმ მრავალფეროვნების წინაშე, რომელთა განუყოფელ ნაწილადაც აღიქვამს ამიერიდან თავს ადამიანი. ამრიგად, მესამე საფეხური, რაღაც აზრით, ემთხვევა პირველს, იმეორებს მას, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე – ბავშვი შამაკაცი ხდება, არაცნობიერი – ცნობიერში გადადის, ბავშვური მრწამსი და დაჯერება სასოწარკვეთილებაში გამოწრობილი რწმენით იცვლება.

ზღაპარი ადამიანის არაცნობიერის, მისი სიზმრისეული ცხოვრებისა და გაუცნობიერებელ ოცნებათა ადექვატური ფორმა იყო. სულის განვითარების უმაღლეს საფეხურზე ყოველი ზღაპარი და არაცნობიერი – სიმბოლოდ იქცევა ცნობიერისათვის, რომელიც მას ჭირებს. ცნობიერებას არ ძალუდს ჭეშმარიტების ისეთივე უშუალო და გულუბრყვილო გამოხატვა, როგორც კაცობრიობის სიყრმის გენიას ეს ზღაპრის ფორმით შეეძლო, ვინაიდან მას დაკარგული აქვს ადრინდელი უმანკოება და, ამასთანავე, მან იცის, რომ ყოველივე, რაც კი მოვლენათა სამყაროს განეკუთვნება, მხოლოდ ქარაგმა და ანარეკლია იმ წარუდინებელი არსებითისა, რაც მას საფუძვლად უმევს. „ჭეშმარიტება, —წერდა გოეთე, —რაც იგივეობრივია ღვთაებრივისა, არასოდეს შეიმეცნება პირდაპირ, არამედ მხოლოდ ანარეკლში, მხოლოდ მაგალითში, მხოლოდ ცალკეულსა და მონათესავე მოვლენებში გვეძლევა“. ჰერმან ჰესეს არაერთი ასეთი ქარაგმა და სიმბოლო შეუქმნია. მათი არსი ყოველთვის ის იყო, რომ უაზრო და უღიმდამო ყოველ-

დღიურთბის მიღმა ასრ ჭარმაჩქნენ ხალმე, სიმრავლის იქით მის ერთიან საფუძველს ხდი-დნენ საჩინოდ. „ტრამალის მგელში“ ასეთი ქა-რაგმაა რადიომიმღები, ჰენდელის მუსიკას როგ გამოსცემს, — საკვირველი აპარატი, რომლითაც ესოდენ მოაქვთ თავი ტექნიკური საუკუნის მკვიდრთ, ხრიალებს, ტკაცუნობს და თითქოს ძა-ლას არ იშურებს, რომ როგორმე შეაფერხოს საუცხოო ჰანგების მდინარება, მაგრამ ლვთაებრი-ვი მუსიკის ფონზე, მხოლოდ საკუთარ უმწეობასა და უსუსურობას ავლენს. ჰესეს ამ მოთხრობაში კი ქარაგმული ხატია ჩვეულებრივი დაწესებუ-ლების მსგავსი უფერული შენობა, სადაც კაცობ-რიობის მთელი ცოდნის შემცველი უნიკალური არქივი და უზენაესი სამსჯავრო განლაგებულა. და ბოლოს, ქარაგმულია თავად თხრობის ფორ-მაც, ტრადიციული ტონით თითქოს ყოვლად ჩვე-ულებრივ ამბავს რომ გვაუწყებს და, ამავე დროს, იმ მოუხელებელ აბსოლუტურსა და მაგიურ სამ-ყაროსაც წარმოაჩენს, ჩვეულებრივი გზით რომ ვერ გასწვდება გონების თვალი.

ჩვეულებრივისა და უჩვეულოს, ემპირიულისა და ტრანსცენდენტულის, რეალურისა და იდეა-ლურის შეპირისპირებით შექმნილი ქარაგმა იუ-მორს წარმოშობს, რამდენადაც უსასრულობასთან კონტრასტი მოვლენის ნაკლულობას, არასრულ-ყოფილებას და, საბოლოო ჯამში, მის კომიკუ-რობას წარმოაჩენს, ვინაიდან სრულყოფილების მცოდნეთათვის ყოველთვის სასაცილო იქნება ნაკ-ლოვანების ამბიცია, მარადიულობის მჭვრეტს

ყოფილთვის გაედიმება სასრულიხა და დღემთკლის პრეტენზიაზე — მოიპოვოს უკვდავება. ამრიგად, იუ-მორი, უან პოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სპობს და ანადგურებს სასრულს, იდეასთან მისი კონ-ტრასტის გზით“. შესაბამისად, იგი ეთიკურიდან რწმენის საფეხურზე გადასვლის აუცილებელ მო-მენტსაც უნდა წარმოადგენდეს და შედეგად უნდა ჰქონდეს ემპირიული პიროვნულობის განადგურე-ბა, რადგან რწმენა ადამიანს იდეათა სამყაროს აზიარებს და, ამდენად, მოვლენათა სამყაროსადმი, მათ შორის — საკუთარი თავისადმი იუმორისტულ დამოკიდებულებას გულისხმობს. სწორედ ამიტო-მაა, რომ უკვდავნი „ტრამალის მგელში“ ჰარი ჰალერისაგან მოითხოვენ დაეუფლოს სიცილის ხელოვნებას, ხოლო უხუცესნი ჰესეს აღმოსავლურ ზღაპარში ღიმილით აბათილებენ ჰ. ჰ.-ს „მომაკ-ვდინებელ ცოდვებს“. ამრიგად, ცხოვრების რაცი-ონალური პრინციპი, სულიერი განვითარების ეთი-კური სტადია, წინამავალ და მომდევნო საფეხუ-რების მიმართ ორი კომიკური ფორმითაა შემო-საზღვრული: ზღაპრულსა და უჩვეულოსთან შე-ჯერებული რაციონალიზმი წარმოშობს ირონიას, ხოლო სინამდვილისა და იდეალის, ანუ მეორე და მესამე საფეხურის კონტრასტი იუმორს ქმნის.

იუმორი ჰ. ჰ.-ს უკანასკნელი ფერიცვალები-სათვის ამზადებს, ხოლო ეს ფერიცვალება უკვე იმ იდუმალ სფეროს განეკუთვნება, ისიდას საბურვე-ლით რომ არის დაფარული და არ გამოითქმის სიტყვასა და ხატში. ნოვალისის ლექსში ერთი

უმაწვილი მოასერსებს საისელი დვთაების საშურ-  
გელის ახდას და იქ, სადაც სამყაროს გამოცანა და  
წმიდათაწმიდა ეგულვოდა, თავის თავს აღმოაჩენს.  
ჰესეს ნაწარმოებშიც, სულის განვითარება შინ  
დაბრუნების ნიშნით ხდება და ისევ საკუთარ თავ-  
თან მიჰყავს თავისი არსისაგან ლტოლვილი და  
გაუცხოებული ადამიანი. მაგრამ ეს „საკუთარი  
თავი“, ეს „მე“, რასაც თავგადასავლით აღსაფსე  
მეტამორფოზის დასასრულს უბრუნდება სული,  
არის, რა თქმა უნდა, არა ადამიანის პიროვნული  
„მე“, არა „პერსონა“, არა ის, რადაც იგი ჩანს რეა-  
ლურ ცხოვრებაში, არამედ მისი არსების სამყა-  
როს ერთიანობასთან წილნაყარი ნაწილი, მისი  
მაღალი „მე“. 1920 წელს, ერთ-ერთ წერილში ჰე-  
სე შენიშნავდა: „ის „მე“, რომელსაც მაძიებელი  
ადამიანი გულისხმობს და რომელსაც აგერ უკვე  
მესამე ათასწლეულია, მთელი არაევროპული აზ-  
როვნება და თავად ევროპული მეცნიერებაც იკ-  
ვლევს, ეს „მე“ არის არა ცალკეული ადამიანი, რო-  
გორც იგი შეიგრძნობს და აღიქვამს საკუთარ  
თავს, არამედ ყოველი ადამიანის სულის უშინა-  
განესი და უარსებითესი მარცვალი, რომელსაც  
ინდოელი ატმანს უწოდებს და რომელიც ღვთაებ-  
რივია და მარადიული. ის, ვინც მიაგნებს ამ „მეს“,  
ბუდას, ვეღების, ლაო-ძის თუ ქრისტეს გზით,  
იგი თავისი უშინაგანესი არსით დაკავშირებული  
იქნება სამყაროსთან, ღმერთთან და მისი მოქმე-  
დებაც ყოველთვის ნუმინოზურთან შეთანხმებუ-  
ლი მოქმედება იქნება“.

სწორედ ამ მაღალ „მეს“ დაუბრუნდება ჰ. ჰ.

ლეოსთან შეხვედრით. როდესაც უზენაესი სამსჯავრო ნებას დართავს მას ყოვლისმცოდნე არქივის აზრი შეიტყოს თავის თავზე, განზე გადასწიოს ისიდას საბურველი, იგი არქივის ერთ-ერთ წალოში, რომლის თავზეც მისი სახელია კამოკვეთილი, ერთ ძველ, გამოხუნებულ, ხისა და ცვილისაგან გამოძერწილ ქანდაკებას აღმოაჩენს. ქანდაკება გამოხატავდა ორ, ზურგი-ზურგ გადაჭდობილ მამაკაცს, რომელთაგან ერთი, უსიამო დადალეული, იყო ჰ. ჰ., მისი დაბალი, ამქვეყნიური ვნებით შეპყრობილი „მე“, ხოლო მეორე, ძლიერი და აღზევებული იყო ლეო, მთხრობელის მაღალი, ღვთაებრივი „მეს“ პერსონიფიკაცია, ასე ვთქვათ — მისი ატმანი, მას რომ მარადისობასთან აკავშირებდა. როცა მთხრობელი სანთლის შუქით გაანათებს წალოს და ქანდაკებას დააკვირდება, დაინახავს, რომ ეს ორი გამოსახულება (კოცხალი ორგანიზმივით იყო ერთმანეთთან შეზრდილი). მათ შიგნით თითქოს რაღაც დუღდა და ნელა, ტაატით ჰ. ჰ.-ს გამოსახულებიდან ლეოსაში გადადიოდა. ამიტომ პირველი, როგორც ჩანს, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ილეოდა, ხოლო მეორე—იზრდებოდა და მშვენიერდებოდა. ამის შემყურე ჰ. ჰ. ხვდება, რომ დადგება დღე, როცა მისი გამოსახულება სრულიად გაქრება და მხოლოდ ლეოსი დარჩება.

მოთხრობის დასასრულს ჰ. ჰ. ისევ უბრუნდება ძვირის და განაგრძობს საოცრებებით აღსავსე მსხემობას დილის ქვეყანაში, მაგრამ მკითხველმა

უკვე იცის, რომ, რაც უფრო მიუახლოვდება იგი  
მიზანს, რაც უფრო ღრმად შეიჭრება იდუმალე-  
ბის სამყაროში, რაც უფრო იმატებს იმ საკვირ-  
ველ ქანდაკებაზე ლეოს გამოსახულება და იკლებს  
ჰერმან ჰესესი, მით უფრო ნაკლები ექნება მას  
ჩვენთვის მოსათხრობი, ვიდრე იგი სულ არ გაუ-  
ჩინარდება ხატებისა და ამბების მიღმეულ სამ-  
ყაროში.

რეზო ყარალაშვილი

„მოხილვა დილის ქვეყნისა“ 1930-31 წლებში იწერებოდა. ნაწარმოებზე მუშაობა პესემ 1931 წლის აპრილში დაამთავრა, ციურიხში. „მოხილვა დილის ქვეყნისა“ პირველად გამოქვეყნდა უურნალ „კორონას“ აგვისტოსა და სექტემბრის ნომრებში. 1932 წლის მარტში გამოიცა ცალკე წიგნად ზ. ფიშერის გამომცემლობაში. წიგნი მხატვრულად გააფორმა ალფრედ კუბინმა. თავისი ნაწარმოები პესემ ციურიხელ მეგობრებს ჰანს კ. და ელზი ბოდმერებს მიუძღვნა.

გვ. 5. ძმობა — განდობილთა ეზოთერული კავშირი და მონასტრის ბერთა გაერთიანების მსგავსი პუმანიტართა დაჯუფება პესეს გვიანდელი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივია. ოციანი და ოცდაათიანი წლების მისი ნაწარმოებების გმირები, ისევე როგორც თავად ავტორი, ცხოვრების ორ წესსა და შესაძლებლობას შორის მერყეობენ. ერთი მხრივ, ისინი *Unio mystic*-ისკენ ისწრაფვიან და ცლილობენ ინდივიდუალური არსებობა ზეაღმატებულ იდეას დაუქვემდებარონ, განზავდნენ უმაღლეს ერთიანობაში, შეუერთდნენ „უკვდავთა“ დასს (იხ. „ტრამალის მგელი“), პირადული ინტერესები რომაულ-კათოლიკური ეკლესიასა და კონფუციური სოციალური სისტემის მსგავს კონგრეგაციას დაუმორჩილონ (იხ. კასტალიური ორდენი რომანში „გლას-პერლენშპილი“\*), მეორე მხრივ კი, ყმაწვილი პერმან პესეს მსგავსად, რომელმაც ერთ სუსხიან ზამთრის დილას მოუ-

\* „გლასპერლენშპილის“ ცნება გერმანულ ენაში პ. პესეს მიერ არის შეტანილი და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბროლის მარგალიტების თამაშს“.

ლოდნელად მიატოვა მაულბრონის სამონასტრო სემინარის კედლები და საკუთარი გზებით სიარული არჩია, მზად არიან ჰურგი აქციონ კოლექტივს, მტკიცე ფორმასა და ტრადიციას და ურჩად, როგორც ეს ჭეშმარიტ პროტესტანტს შეკურის, ეძიონ მათი საკუთარი ინდივიდუალური ცხოვრების, ფორმა და წესი. გამუდმებული რხევა ცხოვრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ფორმათა შორის, ნიადაგ გზადყოფნა და საპირისპირო პოლუსებისა და ტენდენციების რიტმული მონაცვლეობა ქმნის პესეს გმირთა ცხოვრების ღინამიკას. წინამდებარე მოთხოვთ აღწერილია მხოლოდ ერთი მხარე, დიალექტური პროცესის მხოლოდ ერთი ნაწილი — გმირის სწრაფვა შეუერთდეს ძმობას, განდობილთა კავშირს და აღადგინოს დაკარგული ერთიანობა. მაგრამ მკითხველმა ეს განვითარება პესეს მთელი შემოქმედების კონტექსტში უნდა აღიქვას, მას უნდა ასსოვდეს, რომ ძმობა, როგორც კი იგი ემპირიული გაერთიანების სახეს იღებს, ცხოვრების მხოლოდ ცალ მხარესა და პოლუსს განასახიერებს.

**პ ი უ თ ნ ბ ო რ დ ო ე ლ ი—ძველფრანგული საგმირო ეპონის გვერი.** კარლოს დიდის დავალებით მიემკავერება ბალდალში, სადაც ათასგვარი ფასერაკი და სავმორო ამბავი გადახდება თავს. პიუონ ბორდოელის თავგადასავალის ცალკეულმა ეპიზოდებმა შთაგონა ლიდოვიკო არიოსტო „შმაგ ორლანდოზე“ მუშაობისას. ნაკოფიერად გამოიყენა ძველ-ფრანგული მასალა ქრისტოფ შარტინ ვილანდმაც თავის ნაწარმოებში „ობერონი“.

**შ მ ა გ ი რ თ ლ ა ნ დ ი (იგვე შმაგი ორლანდო)** — ლოლოვიკო არიოსტოს პოემის გმირი. საგულისხმოა, რომ პესე ასახელებს იტალიელი მკონსის გმირს და არა ძველ-ფრანგული ეპოსისა. ასიონიტოს პოემაში მწერალს ხიბლავდა სინამდვილისა და ფანტასტიკის ზღვარზე გაშლილი პოეტური სამყარო, სადაც წამყვანი მოტივებია სიყვარული და რაინდული ღირსება, სადაც ადამიანები მუდამუამ სასწაულსა და თავგადასავალს ეძებენ და სერიოზული ყოველ წუთს სასაცილოსა და კომიკურში გადადის. გარდა ამისა, პესესთვის ახლობელი უნდა ყოფილიყო სწორედ შმაგი, სწორედ შეშლილი, ჭკუიდან აცდენილი და გონებაარეული როლანდა,

ვინაიდან „შმაგი“ და „შეშლილი“ მისთვის არის ის ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც უპირისპირდება საღი გონების და ანგარიშის ადამიანს, ისეთ რაციონალურ ტიპს, ცხოვრებაში რომ მსოლოდ მოგებისა და სარგებლობის პრინციპებით ხელმძღვანელობს (შდრ. ხელოვანისა და ბიურგერის დაპირისპირება თ. მანის შემოქმედებაში).

დ ი დ ი ო მ ი — იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი.

გვ. 6. გრაფ კაიშერ ლინგის „მოგზაურობის დღიურის“ შემდეგ — პესეს მხედველობაში აქვს გერმანელი მოაზროვნისა და კულტურის ფილოსოფოსის პერმან გრაფ ფონ კაიშერლინგის (1880—1846) „ერთი ფილოსოფოსის მოგზაურობის დღიური“, სადაც აღწერილია მოგზაურობა ცეილონსა და სამხრეთ ინდოეთში. 1920 წელს გამოქვეყნებულ რეცენზიაში პესე კაიშერლინგის დღიურს უწოდებს „უმნიშვნელოვანეს წიგნს, რაც კი უკანასკნელ წლებში გამოსულა გერმანიაში“. ამ თხზულებაში მწერალს ხიბლავდა ავტორის უნარი ბოლომდე ჩასწვდომოდა ინდური რელიგიის თავისებურებას, ინდოელთა სულიერ წყობას, აზროვნებას და ევროპელთათვის ახლობელი გაეხადა ინდური სულის მაგიური სამყარო.

გვ. 7. ოსენ დოკსეგი ფერდინანდ ანტონი (1876—1945) — რეაქციული პოლონელი მწერალი. იმოგზაურა ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

პიეტისტური სექტები — პიეტიზმი ლუთერანობის ერთ-ერთი განშტოებაა, ჩაისახა XVII საუკუნის გერმანიაში. პიეტისტები რელიგიურ განცდას რელიგიურ მოძღვრებაზე მაღლა აყენებდნენ და რაციონალური ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. თვით პერმან პესე პიეტისტურ ატმოსფეროში აღიარდა და გვიანდელ წლებშიც დად ინტერესს იჩენდა პიეტიზმის მამამთავართა შრომებისადმი.

„...უარი თქვეს თანამედროვე მოგზაურობის ისეთ ჩვეულებრივ საშუალებებზე, როგორიცაა რკინიგზა, გემი, ტელეგრაფი, ავტომობილი...“ — უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზა, ტე-

ლეგრაფი, ავტომობილი და თანამედროვე ტექნიკის სხვა მონაპორები, რანიც პესეს ტექნიცისტური საუცუნისა და მანქანური პროდუქციის სიმბოლოებად მიაჩნდა, თითქმის მთლიანადაა განდევნილი მისი შემოქმედებიდან, ხოლო „ტრამალის მგელში“ ავტომობილებზე ნადირობაც კიდ აღწერილი. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვისხუნით გრაფ პერმან ფონ კაიშერლინგის წიგნი „ახლად შექმნილი სამყარო“ (1922), სადაც ავტომობილის მძლოლი ახალი დროის პროტაგონისტადაა დასახული. როგორც ვიცით, ეჭვის თვალით უყურებდა ტექნიკის არნახულ განვითარებას პესეს ერთ-ერთი მასწავლებელი, შვეიცარიელი მოაზროვნე და კულტურის ისტორიკოსი იაკობ ბურკჰარდტიც.

„...გ ა ა დ წ ი ე ს გ რ ძ ნ ე უ ლ მ ხ ა რ ე ე ბ შ ი“ — დედაშია „მაგიურ მხარეებში გააღწიეს“; „მაგიურ სინამდვილეს“ პესე ჩვეულებრივ უწოდებს სულიერი განცდის სფეროს, სადაც მოხსნილია წინააღმდეგობა გარეგანსა და შინაგანს შორის და შესაძლებელი ხდება გარეგანი მოვლენების შინაგანად გადაქცევა და პირიქით.

გვ. 8. მ თ ვ ა რ ი ს ზ ღ ა—ხალხის წარმოდგენაში მთვარე ოდითგანვე მიწიერისადმი დაპირისპირებულ სამყაროს წარმოადგენდა. არიოსტოს მიხედვით, მთვარის ერთ-ერთ ხეობაში თავმოყრილია ყოველივე ის, რაც დედამიწაზეა დაკარგული: შეყვარებულთა ცრემლები, უქმი დროსტარება, განუხორციელებელი ოცნებანი და ა. შ. მთვარე არის, ამავე დროს, ფილოსოფოსების, ასტროლოგებისა და პოეტების ადგილსამყოფელი.

ფ ა მ ა გ უ ს ტ ა — ნავსადგური კუნძულ კვიპროსზე, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ა ლ ბ ე რ ტ უ ს დ ი დ ი (Albertus Magnus, 1193–1200–1280) — გერმანელი დომინიკანელი-თეოლოგი, სქოლასტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, თომას აქვინელის მასწავლებელი. ისწრაფოდა ყველა ინტელექტუალურ ღირებულებათა მოწესრიგებისადმი და ყოვლისმომცველი სულიერი სინთეზისადმი. ამ იდეის მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენს „ძმობის არქივი“ წინამდებარე მოთხოვნაში და კასტალიის ორდენი პესეს რომანში „გლასპერლენშპილი“.

ფარგანების კუნძული — ფარგანა პერმან პესეს მიაჩნდა სულის საღერბო გამოსახულებად და მარადიული არსებობის სიმბოლოდ. ბუნების ამ პატარა საოცრებას, რომლის უპირველესი მტერი, პესეს მიხედვით, არის თანამედროვე სამყაროს რაციონალიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, შეუძლია ადამიანში იმ ბავშვური გაოცების გამოწვევა, რომელიც სამყაროს იდუმალების წვდომის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომაც უწოდებს მწერალი მას „გამოუთქმელის პაწია კარსა და შესასვლელს“ (იხ. „პეპლების შესახებ“, 1935). ამავე დროს, აღნიშნულ კონტექსტში „ფარგანების კუნძული“, შესაძლოა, შეიცავს მინიშნებას პუჩინის ოპერაზე „მადამ ბატერფლაი“, სადაც კომპოზიტორს გამოყენებული აქვს იაპონური თემა.

ციპანგუ — ეს სახელი უწოდა ვენეციელმა ვაჭარმა და მოგზაურმა მარკო პოლომ კუნძულთა ჯგუფს, რომლებზეც განლაგებულია თანამედროვე იაპონია.

რიუდიგერ ბესლარელი—პერსონაჟი გერმანული საგმირო ეპოსისა „სიმღერა ნიბელუნგებზე“; განასახიერებს ქრისტიანულ-რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალულ პოზიციას.

ჰიდჰართა — პერმან პესეს ამავე სახელწოდების ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი.

„სიტყვები ფარულ აზრს არას არ გებენ“...— ზიდჰართას ეს სიტყვები პესეს ნასესხები აქვს თავისივე ნაწარმოებიდან. (იხ. „ზიდჰართა“, 1922).

გვ. 11. ტაო — ძველი ჩინური ფილოსოფიის კატეგორია. აბსოლუტი, ტრანსცენდენტული და ემპირიული აუფიერების ერთიანობა. ევროპულ ენებზე ითარგმნებოდა ავრეთვე როგორც პირველარსი, აზრი, ლოგოსი, შემოქმედი პრინციპი, ყოფიერების დასაწყისი და დასასრული, უზენაარი გონება და სხვა.

კუნდალინი — პინდუისტური და ბუდისტური წარმოდგენების მიხედვით არის გველი, რომელიც ადამიანის ხერხემლის ქვედა ნაწილში თვლებს და სექსუალურ ვნებას განასახიერებს. იოგას მეშვეობით ბილიდან გამორკვეული

კუნდალინა ხერხემლის მაღებს აუყვება და სულ უფრთ მაღლა მიიწევს, ვადრე ცნობიერების ნათელს არ მთავრის. მამაკაცისა თუ ქალის სასქესო ორგანოდან წარმოქმნილი გველი აგრეთვე კოსმოსური ენერგიის სიმბოლოცაა.

ფატმე — აღმოსავლეთში გავრცელებული სახელია. ფატმე ერქვა მაპმად წინასწარმეტყველის უმცროს ქალიშვილს. ეს სახელი ხშირად გვხვდება „ათას ერთი ლაშისა“ და ვილპელმ ჰაუფის აღმოსავლურ ზღაპრებში (იხ. „ზღაპარი ცალთვალა უფლისწულზე“, „ფატმეს გადარჩენა“ და სხვ.). ჰესეს ნაწარმოებში ფატმე მოგზაურობის მიზანია და იმ მაგიურ სამყაროს განასახიერებს, ოომლის სუნთქვასაც ჯერ კიდევ ყრმა მწერალი არაპეთისა და ინდოეთის ჯადოსნურ ზღაპრებში შეიგრძნობდა. ამ თვალსაზრისით ფატმე აქ ირისის (ზამბახის) ანალოგიური სიმბოლოა ჰესეს ამავე სახელწოდების ზღაპრიდან. ორივენი თავის თავში საიდუმლოებას შეიცავენ, ორივენი ძიების მიზანს წარმოადგენენ, ორივენი ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან იშვებიან და ამიტომ ორთავეს პოვნა მშობლიურ მხარეში შინ დაპრუნებას წარმოადგენს.

„ი მ დ რ თ ს...“ — მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მომდევნო პასაუში ჰესე აქსოვს ომისშემდგომი პერიოდის საკუთარი ნაწარმოების მოტივებს. სამყაროს დასასრულის წინათვრძნობა და მესამე იმპერიის დამყარების იმედი აშკარად გაისმის „დემიანის“ (1919) ფინალში; ბაკეანალიურ საცეკვაო საზოგადოებათა მოტივი ტრანსფორმირებული სახით თავს იჩენს „ტრამალის მგელში“ (1927), ხოლო ინდური, ძველი სპარსული და სხვა აღმოსავლური საიდუმლოებებისა და კულტებისადმი სწრაფვის შედეგად შეიძლება მიჩნეულ იქნას „ზიდპართა“ (1922).

გვ. 14. „განა საითკენ მივდივართ? მუდამ შინისკენ“. — ციტატი გერმანელი პოეტ-რომანტიკოსის ნოვალისის (1772–1801) „ფრაგმენტებიდან“.

გვ. 15. ა გ რ ა მ ა ნ ტ ი — წარმართი ბუმბერაზი და კარლოს დიდის მეტოქე, „შმაგი როლანდის“ პერსონაჟი. პოემის დასაწყისში თავს ესხმის პარიზს და ცეცხლს უკიდებს მას.

ქონდრისკაცი, ფისკაცუნა, ნუგეშა—ედუარდ

მიორიკეს (1804—1875) ნოველის „შტუტგარტელი ქონდრის-კაცის“ პერსონაჟები.

ცისფერი ქვაბის ფსკერზე, ლეგენდის თანახმად, ცხოვრობდა მშვენიერი ლაუ; ამ ლეგენდის ლიტერატურულ დამუშავებას წარმოადგენს მიორიკეს „შტუტგარტელ ქონდრისკაცი“ ჩართული ზღაპარი „მშვენიერი ლაუს ამბავი“.

გვ. 16. წმინდა ქრისტეფორე (ბერძ. ქრისტეს მატარებელი) — წმინდანი, პილიგრიმთა და მოგზაურთა მფარველი. წმ. ქრისტეფორეს პესე რამდენჯერმე უბრუნდება (იხ. „ტრამალის მგელი“, „გლასპერლენშპილი“). როგორც ჩანს, წმინდანის ცხოვრებაში მწერალს ხიბლავდა მსახურების იდეა, რომელიც განსაზღვრავს ქრისტეფორეს მთელ მოღვაწეობას და უშუალოდ ეხმიანება „მსახურების“ მოტივს პესეს შემოქმედებაში. ლეგენდების თანახმად, ქრისტეფორე თავდაპირველად ძალლთავა არსება ყოფილა, რომლისთვისაც ღმერთს უწყალობებია მეტყველების უნარი. მისი სურვილი ყოფილა ყველაზე ძლიერი ბატონის მსახური გამხდარიყო. სრულ მოქცევამდე იგი ჯერ მეფეს ემსახურებოდა, მერე ეშმაკს, ხოლო სულ ბოლოს, მას შემდეგ რაც დაინახა, რომ ყველაზე უფრო ძლიერი ბატონი ქრისტეა — ქრისტეს. შუა საუკუნეების ფრესკები მას ჩვეულებრივ გამოსახავენ წყალში მდგომ წვერებიან ბუმბერაზად, ხელში არგანი რომ უპყრია, ხოლო მხრებზე ყრმა მაცხოვარი ჰყავს შესმული.

გვირგვინის მცველნი — თავაღ-აზნაურთა საიდუმლო კავშირი ახიმ ფონ არნიმის (1781—1831) ამავე სახელწოდების რომანში. ბოდენის ტბის ჯადოსნურ ციხეკოშკში გვირგვინის მცველნი პოპენშტაუფენთა დინასტიის სამეფო გვირგვინს ინახავენ. მათი მიზანია ტახტიდან გადმოაგდონ ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი იმპერატორი მაქსიმილიანე და ქვეყნის მართვა-გამგეობა ისევ პოპენშტაუფენებს დაუბრუნონ.

ჰოჰენშტაუფენები (აგრეთვე შტაუფენები) — შვა-

ბი მეფეების დინასტია. 1138–1254 წლებში ხელო ეპურათ გერმანიის სამეფო ტახტი.

გვ. 17. ბო პფინგენი, ურახი — პატარა მვაბურია ქალაქებია.

გვ. 18. მაჰმად წინასწარ მეტყველი (570–632) — არაბი რელიგიური და სახელმწიფო მოღვაწე, ისლამის დამაარსებელი, გარდაიცვალა მეღინში. ლეგენდის თანახმად, მისი კუბო სასწაულებრივად ყოფილა პაერში გაჩერებული.

„...სატურნისა და მთვარის წინააღმდეგობაში შეგვაყოვნა“ — საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვათ ჰესე სერიოზულად იყო დაინტერესებული ასტროლოგითა და თვლიდა, რომ პლანეტების განლაგებას დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება ძალუბს აღამიანთა მოქმედებაზე.

გვ. 22. იზაბელა — შესაძლოა, ჰესეს მსედველობაში ჰყავს ესპანეთის დედოფალი იზაბელა (1451–1504), რომელმაც დაიპყრო მავრთა უკანასკნელი სამეფო გრანადაში და ამით დაამთავრა რეკონკისტა.

პოეტი ლაუშერი — ჰერმან ჰესეს ერთ-ერთი ფსევდონიმი. ამ სახელით გამოაქვეყნა მწერალმა 1901 წელს პროზისა და ლირიკის პატარა კრებული.

მსატვარი კლინგერი — ჰესეს ნოველის „კლინგზორის უკანასკნელი ზაფხულის“ გმირი.

პაულ კლეე (1879–1940) — შვეიცარიელი მსატვარი და გრაფიკოსი, აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთი მამამთავარი.

გვ. 23. დონ კიხოტის საქმეთა წიგნი — ე. ი. სერვანტესის რომანი „დონ კიხოტი“.

იუპი — იგივე იოზეფ ენგლერტი (1874–1957), ინჟინერი და არქიტექტორი, ჰესეს ახლო მეგობარი.

გვ. 23. კოლოფინი (Collofino) — იგივე იოზეფ ფაინპალსი (1867–1947), თამბაქოს ფაბრიკანტი კიოლნიდან, ჰესეს მეგობარი. გერმანული გვარის ლათინური ფორმა ეკუთვნის არა ჰესეს, არამედ მწერალს ალფრედ რიხარდ მაიერს (ფს. მუნკეპუნკე; 1882–1956) და გვხვდება „მუნკეპუნკეს სატურნალიების“ ერთ-ერთ სიმღერაში.

ზომპლიცისიმუსის თავგადასავალი — ე. ი.

ქრისტოფელ გრიმელსპაუზენის რომანი „ზიმბლიციუს ზიმ-  
ბლიცისიმუსი“.

ღური მრის სანე—იგივე ღური მუაიე (1880—1962),—  
შვეიცარიელი მხატვარი და კერამიკოსი, ჰესეს მეგობარი.

ანსე ელმი — პერმან ჰესეს ერთ-ერთი ზღაპრის გმარი.  
მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობს ჩასწერების ფე-  
დის ბაღში მიტოვებული ზამბახის გულის იდუმალებას. ზამ-  
ბახი ამ ზღაპარში არის დაკარგული შინაგანი მთლიანობის  
სიმბოლო. ამავე დროს ზამბახი მიჩნეულია სამყაროს არსეა  
და იდუმალებაში შესაღწევ კარად.

ნინონი — იგივე ნინონ აუსლენდერი (1895—1968),  
ხელოვნებათმცოდნე, ჰესეს მესამე ცოლი.

გვ. 24. რაკი ჩემი ხელობა ვიოლინოზე და-  
კვრა და ზღაპრების კითხვა იყო... — აღსანიშნა-  
ვია, რომ ჰესეს ადრე ბავშვობისას და სიყრმის უდიდეს გა-  
ტაცებას სწორედ ზღაპრებისა და ბიბლიური მოთხოვნების  
კითხვა და ვიოლინოზე დაკვრა წარმოადგენდა.

ღეო — როგორც სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა,  
ეს სახელი ჰესეს საყვარელი კატის „ლიოვეს“ (Löwe) მიერ  
ყოფილა ინსპირირებული. გარდა ამისა, ამ სახელის წყაროდ  
მკვლევარები მიიჩნევენ ფრანც ასიზელის საყვარელ მოწა-  
ფეს ლეო პეკორელას და რომის პაპს ლეო XIII-ს. თუ  
ლეოს სახელს ყოველგვარი ისტორიული მიმართების გარე-  
შე აღვიქვამთ, მაშინ „ლომის“ (Leo) სიმბოლური მნიშვნე-  
ლობა შესაბამის პერსონაჟთან კავშირში ორმხრივ არის ყუ-  
რადსაღები. ჯერ ერთი, საგულისხმოა ის, რომ „ლომი“ ძლი-  
ერების და ძალაუფლების სიმბოლოა, რაც პერსონაჟის მნი-  
შვნელობასა და განდობილთა იერარქიაში მის ჭეშმარიტ  
ადგილს მიგვანიშნებს, ხოლო მეორე მხრივ იგი არის ამბი-  
ვალენტური სიმბოლო და ერთდროულად იმასაც აღნიშნავს,  
რომ მისი მატარებელი სულის საბრძანებლის მეუფეა და  
იმასაც, რომ იგი ანიმალიური ბუნებისაა და გარკვეულად  
„მგლის“ სიმბოლოს ანალოგიას წარმოადგენს. არაცნო-  
ბიერის ენაზე ლომი მზის, ოქროს, მეფის და თვითობის  
განმასახიერებელ სხვა სახეთა იდენტურ სიმბოლოდაა მიჩ-  
ნეული.

„ლ ე თ ი ყ ო ე რ თ-ე რ თ ი ჩ ვ ე ნ ი მ ს ა ხ უ რ თ ა გ ა-  
ნ ი“ — „მსახურება“ პესეს გვიანდელი შემოქმედების ერთ-  
ერთი მთავარი მოტივია. მწერლის თვალსაზრისათ, იგი არას  
სამყაროსადმი მოწიწებითი დამოკიდებულების შედეგი და  
ღვთისმოსავი ადამიანის არსებობის ფორმას წარმოადგენს.  
მსახურების იდეალი კარგად იყო ცნობილი ანტიკურ ჩინეთ-  
ში და პესემაც, როგორც ჩანს, იგი ძველი ჩინური წეაროე-  
ბიდან დაისესხა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მწერლის  
ერთ-ერთი გამონაიქვამი, სადაც მას მოჰყავს იანგ ჩოუს სი-  
ტყვები იმის თაობაზე, რომ ადამიანის დამოკიდებულება  
ცხოვრებისადმი ან მსახურისა შეიძლება იყოს, ან ბატონისა  
(იხ. „ჩინური ჩანაწერი“, 1921). იანგ ჩოუც და პესეც, ბუნებ-  
რივია, უპირატესობას პირველ მათგანს ანიჭებენ. ერთობ  
დიდია „მსახურების“ მოტივის მნიშვნელობა რომანში „გლას-  
ბერლენშპილი“, სადაც რომანის გმირისა და რომანის ძირი-  
თადი ნაწილისადმი თანდართული ბიოგრაფიების გმირთა  
სახელებიც გარკვეულად ცხოვრებისადმი მათ „მსახურისებრ“  
დამოკიდებულებაზე მიუთითებენ.

გვ. 25. „შ ე ე ძ ლ ო ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა მ თ ჩ ვ ე ვ ა დ ა  
რ ო ც ა მ თ ი ნ დ ო მ ე ბ დ ა, ფ ა რ ვ ა ნ ე ბ ს ა ც ი ტ ყ უ ე პ-  
დ ა“. — ფრინველი, ანტიკური ხანიდან დღემდე, სულისა და  
სულიერი აღმაფრენის სიმბოლოს წარმოადგენს. შუა საუკუ-  
ნეებისა და რენესანსის ხელოვნებაში იგი სამოთხის ნეტარ  
არსებობას განასახიერებდა. ფრინველის ალეგორიულ მნიშვ-  
ნელობასთან დაკავშირებით დიონისე არეოპაგელი წერდა:  
„ფრთები სულიერი აღმასვლის სისწრაფეს აღნიშნავენ, ციუ-  
რი... — განშორებას ყოველივესგან, რაც მიწასთანაა დაკავ-  
შირებული..., ხოლო ფრთათა სიმსუბუქე იმაზე მიუთითებს,  
რომ არსი არავითარ შემთხვევაში არ არის მიწიერი და სიმ-  
ძიმეს არ ემორჩილება“. პესეს შემოქმედებაში ფრინველის  
სახე ინარჩუნებს ადრინდელ სიმბოლურ მნიშვნელობას (უდრ.  
„დემიანი“, „ირისი“, „პიქტორის ფერისცვალება“, „ტრამალის  
მგელი“, „ფრინველი“). აღნიშნულ შემთხვევაშიც „ფრინველ-  
თა მოჩვევა“ გულისხმობს ადამიანის სულზე ზემოქმედებას  
უნარს, ხოლო ლეოს სურვილი შეისწავლოს ფრინველთა  
ენა, რაზედაც მომდევნო წინადადებაშია ლაპარაკი, შეიძლე-

ბა გაგებულ იქნას, როგორც სულიერი ცხოვრების ყველა კანონზომიერებათა წვდომის სურვილი.

გვ. 26. „...პატრიარქებთან გვიცხოვრია“ — იგულისხმებიან ისრაელის მამამთავარნი — აბრამი, ისააკი და იაკობი.

ა ლ მ ა ნ ჭ ო რ ი — პაინრის პაინეს ამავე სახელწოდების ტრაგედიის გმირი. წარმოშობით მავრი, აღმანზორი ესპანელთა მიერ გრენადის დაპყრობის შემდეგ მიემგზავრება აღმოსავლეთში. აღმანზორი პქვია აგრეთვე ვ. პაუფის ერთ-ერთი ზღაპრის პერსონაჟს (იხ. „ამბავი აღმანზორისა“).

პ ა რ ც ი ფ ა ლ ი — კოლფრამ ფონ ეშენბახის ამავე სახელწოდების სარაინდო რომანის გმირი.

ვ ი ტ ი კ ო — ადალბერტ შტიფტერის ამავე სახელწოდების ტრილოგიის გმირი; ცხოვრობს ბოპემიის ტყეში და ბუნების პირველყოფილ ძალას განასახიერებს; დილის ქვეყანაში მოგზაურთა მსგავსად ჭეშმარიტი ადამიანის იდეალის განხორციელებისაკენ ისწრაფვის.

გ ო ლ დ მ უ ნ დ ი — ჰ. პესეს რომანის „ნარცისის და გოლდმუნდის“ გმირი.

ბ ა რ მ ე კ ი დ ე ბ ი (ანუ ბარმაქიანები) — ბარმაქის გვარის წარმომადგენლები, რომლებიც რამდენიმე თაობის განმავლობაში აბასიდების დინასტიის ვეზირები იყვნენ. ბარმეკიდები მოიხსენიებიან „ათას ერთი ლამის ზღაპრებშიც“.

გვ. 27. შვაბიაში, ბოდენის ტბაზე, შვეიცარიაშიაში — პესე აქ ჩამოთვლის იმ ადგილთა გეოგრაფიულ დასახელებას, სადაც მას ხანგრძლივად მოუხდა ცხოვრება. იგი დაიბადა შვაბიის პატარა ქალაქ კალვში. შემდეგ მონაცვლეობით ცხოვრობდა ხან შვაბიაში და ხანაც შვეიცარიაში. ხუთი წელი დაპყო მან ბოდენის ტბაზე, ხოლო შემდეგ იტალიურ შვეიცარიაში გადასახლდა და იქ ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ნ ო ე ს კ ი დ ო ბ ა ნ ს წ ა გ ა წ ყ დ ი თ — „კიდობანი“ (Zur Arch) ერქვა პანს კ. ბოდმერის სახლს ციურისში.

პ ა ნ ს კ., ნ ო ე ს შ თ ა მ თ მ ა ვ ა ლ ი — იგივე პანს კ. ბოდმერი (1891—1956), ექიმი, პესეს მეგობარი და მეცენატი. უწოდებს რა მას ნოეს შთამომავალს, პესე მიგვანიშნებს მისი მოგვარის, მეთვრამეტე საუკუნის შვეიცარიელი მწერლის იოპან იაკობ ბოდმერის ეპიკურ პოემაზე „ნოე“.

შტოეკლინის ჯადოსნური კაბინეტი — იგულისხმება გეორგ რაინპარტის სამუშაო ოთახი ვინტერტუნმი, სადაც მას კედლებზე ბაზელელი მსატვრის ნიკლაუს შტოეკლინის (1896) ფერწერული ტილოები ჰქონდა ჩამოკიდებული. (შტოეკლინს, სხვათა შორის, დასურათებული აქვს ჰესეს „კნულბი“; მასვე ეკუთვნის გეორგ რაინპარტის პორტრეტიც). ამ ოთახიდან ხვეული კიბით შეიძლებოდა სარდაფში ჩასვლა, სადაც სასლის პატრონი აღმოსავლური ხელოვნებას უნიკალურ კოლექციას ინახავდა. აქვე ეკიდა დაახლოებით კაცის სიმაღლის გონგი. რაინპარტისადმი მიძღვნილ მოგონებაში ჰესე, სხვათაშორის, წერდა: „ვიწრო ხვეული კიბე სამუშაო ოთახიდან უიდუმალესსა და უწმინდეს მიწისქვეშეთში, ოქროს მაიასა და ძველი გონგის საბრძანებელში, ინდოეთსა და ჩინეთში, ყოველი განდობილისთვის ისეთივე ძვირფას და ზღაპრულ მოგონებად დარჩება, როგორც კაქტუსების საიდუმლოებანი რაინპარტის დიდ სატბურში“ (იხ. „შავი ხელმწიფე“, 1955).

გვ. 28. შავი ხელმწიფე — იგივე გეორგ რაინპარტი (1877–1955), მსხვილი სავაჭრო ფირმის მფლობელი, კოლექციონერი, ჰესეს მეგობარი და მეცენატი. „შავი ხელმწიფე“ რაინპარტს მისმა შვილებმა შეარქვეს.

ზონენბერგის ძირში ზუონ მალის წავაწყდით... — ზონენბერგი ჰქვიდა მთას და ქუჩას ციურისში, სადაც ცხოვრობდნენ ჰესეს მეგობრები ფრიც და ალისე ლოიტპოლდები. ლოიტპოლდების სახლს ერქვა „ზუონ მალი“.

ზიამის მეფე — იგივე ფრიც ლოიტპოლდი (1881–1954), ციურისის უდიდესი სავაჭრო ცენტრის დირექტორი. ჰესე მას გაეცნო სინგაპურში 1911 წელს.

ბრემგარტენი — მაქს ვასმერის სასახლე ბერნას მახლობლად.

მაქსი და ტილი — მაქს ვასმერი (დ. 1887), შვეარიელი ცემენტის ფაბრიკანტი; ტილი ვასმერი — მისი მეუღლე.

ოტმარი — იგივე ოტმარ შოეკი (1886–1957), შვეარიელი კომპოზიტორი; სახელი ვაითქვა როგორც სიმღერის ოსტატმა. აგრძელებდა შუბერტისა და ჰუგო ვოლფის

ტრადიციას. პესეს ძალიან მოსწონდა მისი ლექსების ტექსტზე შოეკის მიერ შექმნილი კომპოზიციები.

ა რ მ ი დ ა — ქრისტოფ ვილიბალდ გლუკის ამავე სახელწოდების ოპერის გმირი. ოპერას საფუძვლად დაედო ტორკვატო ტასოს „განთავისუფლებულ იერუსალემი“ მოყვანილი ეპიზოდი ჯადოქარი დედოფლის არმიდას მხედართმთავარ რინალდოსადმი სიყვარულის შესახებ. არმიდა მოიხსენიება ე. თ. ა. ჰოფმანის მოთხოვბაშიც „რაინდი გლუკი“.

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ მ ი ს ა ნ ი ლ ო ნ გ უ ს ი — იგივე იოჰეფ ბერნჰარდ ლანგი (1883—1945), შვეიცარიელი ექიმი, ფსიქიატრი, კ. გ. იუნგის მოწაფე. 1916 წლიდან ფსიქოთერაპიას უტარებდა პესეს. რომანში „დემიანი“ მწერალმა იგი პისტორიუსის პროტოტიპად გამოიყენა.

ჰ ა ი ნ რ ი ს ფონ ოფტერდინგენი — მითიური ერმანელი მაისტერზინგერი, რომელსაც თითქოს ვოლფრამ ფონ ეშენბახელსა და ვალთერ ფონ დერ ფოგელვაიდესთან პოეტურ პაექრობაში მიეღოს მონაწილეობა. მაგრამ პესეს მხედველობაში ჰყავს არა შუა საუკუნეების ლატერატურული წყაროების გმირი, არამედ ნოვალისის რომანის „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ მთავარი მოქმედი პირი. როგორც ცნობილია, ნოვალისი შეეცადა ეჩვენებინა ყრმა ოფტერდინგენის ხელოვნად ჩამოყალიბების პროცესი.

ჰ ა ნ ს რ ე ზ ო მ ი — იგივე ჰანს ალბრეხტ მოზერი (დ. 1882), შვეიცარიელი მუსიკოსი და მწერალი.

გვ. 29. პ ა ბ ლ ო — პესეს რომანის „ტრამალის მგლის“ პერსონაჟი, საქსოფონზე დამკვრელი და ნარკოტიკების დამამზადებელი.

გვ. 30. ვ ე ს ტ უ მ რ ე მ ო ჩ უ ხ ჩ უ ხ ე ნ ა კ ა დ ე ბ ს...— წყალი, მდინარე და სხვა მისთანა, ბნელი ფსიქეს სიმბოლოა. ამიტომ მომდევნო მონაკვეთი უნდა გავიგოთ, როგორც ჩაშინაგანება და არაცნობიერის სამყაროსთან შეხვედრა.

ბ რ თ ლ ი ს ს ა მ ე ფ თ შ ი — ორიგინალშია „კრისტალის სამეფოში“ (Kristallwelt). ამ სახესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კ. გ. იუნგის თანახმად, არქეტიპს კრისტალის სტერეომეტრული სტრუქტურა უდევს საფუძვლად. ამდენად „კრისტალის სამეფოს“ იქით შეიძლებოდა „არქეტი-

პების სამეფოც“ გვევარაუდა. გარდა ამისა, კრისტალი ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში ფსიქიური მთლიანობის, თვითობის აღმნიშვნელ სიმბოლოდაა მიჩნეული. პესეს შემოქმედებაში განსაკუთრებული სისავსით კრისტალის ხატი და მასთან დაკავშირებული სიმბოლიკა წარმოდგენილია ზღაპარში „პიქტორის ფერისცვალება“ (1922).

„პატარა ბიჭის პირისა ხე...“—ფსიქოლოგებისთვის ცნობილია, რომ თვითობა (das Selbst) სიზმრისეულ სილვებსა და წარმოსახვაში ადამიანს ხშირად ყრმისა და მოხუცი კაცის სახით წარმოუდგება ხოლმე (სხვათა შორის, ამ წყვილს, როგორც მერკურის სიმბოლოს, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ალქიმიაშიც). ბიჭის სახე ასეთ შემთხვევაში შეიძლება განიმარტოს ვითარცა „უზენაესი პიროვნულობა“, ალქიმისტთა filius regius-ი, ადამიანის ფსიქიკის სისავსე და მთლიანობა (შდრ. მაისტერ ეკპარტის მიერ აღწერილი „შიშველი ჭაბუკის“ ხილვა, თვითობის პერსონიფიკაციის ცალკეული შემთხვევები ხალხურ ზღაპარში და სხვ). შესაბამისად, პესესთან ეს დეტალი, რომელიც ტიპიურია მისი შემოქმედებისთვის (იხ. პერმინეს აღწერა „ტრამალის მგელში“, ტიტო დეზინიორისა „გლასპერლენშპილში“ და სხვა), მიგვანიშნებს, რომ ლეოს სახით საქმე გვაქვს ავტორის, ანუ ჰ. ჰ.-ს თვითობასთან, მის ატმანთან. ამ თვალსაზრისით ლეოს ანალოგიად „გლასპერლენშპილში“ შეიძლება მივიჩნიოთ ტიტო დეზინიორი, „ტრამალის მგელში“ — პერმინე და ა. შ.

**გვ. 31.** ...ასოებიდან კი ურჩეულები მოფრინავდნენ და კუდზე შემდგარი ჭრელი გველები სარსალებდნენ — ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში „ურჩეული“ ქალურის ერთ-ერთ არქეტიპადაა მიჩნეული; „გველი“ პირველადი ვნებების, ინსტინქტის, ავრეთვე ანიმას, არაცნობიერის სიმბოლოა. ამდენად, აღნიშნული პასაჟი, სადაც აღწერილია ხეებს შორის ჩაცუცქული ლონგუსი, შეიძლება გავიგოთ როგორც ფსიქოანალიზზე მინიშნება, სადაც ექიმს ცნობიერი გამოვლინებანი (სიტყვები და ასოები) არაცნობიერ შინაარსებზე დაჟყავს (ურჩეულები და გველები).

პუგო ვოლფი (1860–1903) — ავსტრიელი კომპოზიტორი, სასიმღერო ჟანრის გამოჩენილი ოსტატი.

ბრენტანი, კლემენს (1778–1842) — პოეტი-რომანტიკოსი.

პოფ მანი, ერნსტ თეოდორ ამადეი (1776–1822) — გერმანელი მწერალი, კომპოზიტორი და გრაფიკოსი. მისი შემოქმედებისათვის დამასასიათებელია ზღაპრულ-ფანტასტიკური და ემპირიულ-ყოფითი ელემენტების თანაარსებობა.

გვ. 32. არქივარიუსი ლინდპორსტი — პოფმანის ნაწარმოების „ოქროს ქოთანის“ პერსონაჟი. რეალურ ხინამდვილები ლინდპორსტი არის ჩვეულებრივი არქივარიუსი, ხოლო გადატანით, ფანტასტიკურ სამყაროში — სალამანდრების მეფე.

გვ. 33. ვისაც დღეგრძელი სიცოცხლე უნდა, მან უნდა იმსახუროს, ხოლო ვინც ბატონობის კენისწრაფვის, იგი იმოკლებს წუთისოფლის დღეს — შდრ. შემდეგი სიტყვები „ტაო ტე კინგადან“: „მაგარი და ძლიერი სიკვდილის თანამგზავრია, რბალი და სუსტი — სიცოცხლის თანამგზავრი“ (XXVI).

მორბიო ინფერიო (Morbio Inferiore) — შვეიცარიის ტბებს კომოსა და ლუგანოს შორის, მენდონიზიოს აღმოსავლეთით რეალურად არსებული ღრმა ხეობა. ყურადღებას იმსახურებს ამ დასახელების ეტიმოლოგია, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, გარკვეულ კავშირშია პესეს მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებასთან. საქმე ისაა, რომ პირველი სიტყვის ლათინური ძირია „morbis“, რაც სიტყვასიტყვით „ავადმყოფობას“ ნიშნავს, ხოლო „inferi“ სხვა მნიშვნელობებს შორის ნიშნავს „ჯოჯოხეთსაც“ და „მიცვალებულსაც“. ამრიგად, შემთხვევა, რომელიც მოგზაურებს მორბიო ინფერიორეს ხეობაში გადახდებათ თავს, გარკვეული აზრით არის ავადმყოფობა და მსხემობის შეფერხებას მოასწავებს. ინდივიდუალურ პლანში ეს შეფერხება შეიძლება გავიგოთ როგორც სასოწარკვეთა (ჯოჯოხეთი!) და სულიერი განვითარების შეყოვნება.

გვ. 39. კიფპოზერი — ტყიანი მთის ქედი ქვემო პარცის სამხრეთ ნაწილში. კიფპოზერთან დაკავშირებულია

პუგო ვოლფი (1860—1903) — ავსტრიული კომპოზიტორი, სასიმღერო უანრის გამოჩენილი ოსტატი.

პრენტანო, კლემენტი (1778—1842) — პოეტი-რომანტიკოსი.

პოფმანი, ერნსტ თეოდორ ამადეი (1776—1822) — გერმანელი მწერალი, კომპოზიტორი და გრაფიკოსი. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ზღაპრულ-ფანტასტიკური და ემპირიულ-ყოფითი ელემენტების თანაარსებობა.

გვ. 32. არქივარიუსი ლინდპორტი — პოფმანის ნაწარმოების „ოქროს ქოთანის“ პერსონაჟი. რეალურ სინამდვილეში ლინდპორტი არის ჩვეულებრივი არქივარიუსი, ხოლო გადატანით, ფანტასტიკურ სამყაროში — სალამანდრების მეფე.

გვ. 33. ვისაც დღეგრძელი სიცოცხლე უნდა, მან უნდა იმსახუროს, ხოლო ვინც ბატონობის კენისწრაფვის, იგი იმოკლებს წუთისოფლის დღეს — შდრ. შემდეგი სიტყვები „ტაო ტე კინგადან“: „მაგარი და ძლიერი სიკვდილის თანამგზავრია, რბალი და სუსტი — სიცოცხლის თანამგზავრი“ (XXVI).

მორბიო ინფერიორე (Morbio Inferiore) — შვეიცარიის ტბებს კომოსა და ლუგანოს შორის, მენდინიზიოს აღმოსავლეთით რეალურად არსებული ლრმა ხეობა. ყურადღებას იმსახურებს ამ დასახელების ეტიმოლოგია, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, გარკვეულ კავშირშია პესეს მოთხოვნის სიუჟეტურ განვითარებასთან. საქმე ისაა, რომ პირველი სიტყვის ლათინური ძირია „morbis“, რაც სიტყვასიტყვით „ავადმყოფობას“ ნიშნავს, ხოლო „inferi“ სხვა მნიშვნელობებს შორის ნიშნავს „ჯოჯოხეთსაც“ და „მიცვალებულსაც“. ამრიგად, შემთხვევა, რომელიც მოგზაურებს მორბიო ინფერიორეს ხეობაში გადახდებათ თავს, გარკვეული აზრით არის ავადმყოფობა და მსხემობის შეფერხებას მოასწავებს. ინდივიდუალურ პლანში ეს შეფერხება შეიძლება ვავივოთ როგორც სასოწარკვეთა (ჯოჯოხეთი!) და სულიერი განვითარების შეყოვნება.

გვ. 39. კიფპოზერი — ტყიანი მთის ქედი ქვემო პარცის სამხრეთ ნაწილში. კიფპოზერთან დაკავშირებულია

მრავალი თქმულება გერმანელ იმპერიატორებზე. განსაკუთრებით ცნობილია ლეგენდა ფრიდრიხ ბარბაროსას შესახებ.

გვ. 46. ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა—მოეწყო ორი ბერის ინიციატივით 1212 წელს. ლაშქრობაში, რომელიც მიზნად ისახავდა წმინდა მიწის წარმართთაგან განთავისუფლებას, მონაწილეობა მიიღო 30000 ფრანგმა და გერმანელმა ბავშვმა. შემდგომში ამ ბავშვთა უმეტესობა მონებად გაიყიდა ალექსანდრიაში. ადარებს რა დილის ქვეყნის მოხილვას ბავშვთა ჯვაროსნულ ლაშქრობას, ლუკას იმის თქმა უნდა, რომ მისი მეგობრის აღმოსავლური მოგზაურობა ისეთსავე უგუნურ იდეალიზმად და ყოვლად გაუმართლებელ ქარაფშუტობად ესახება, როგორიც იყო შუა საუკუნეების ბავშვთა ტრაგიკული ლაშქრობა.

... როგორ გადაგიციათო ტესინის მონტაგს-დორფი... — მონტაგს-დორფი (გერმ. Montags-Dorf), რაც სიტყვა სიტყვით „ორშაბათის სოფელს“ ნიშნავს, ნაწარმოებია ტესინის სოფლის მონტანიოლას სახელიდან. იტალიური შვეიცარიის ამ პატარა სოფელში ჰესე, როგორც ცნობილია, 1919 წლიდან ცხოვრობდა. „გადაცემა“, როგორც ჩანს, გულისხმობს ჰესესთვის ახალი სახლის გადაცემის ცერემონიას. ეს სახლი, რომელსაც შემდგომში „კასა-ჰესე“ ეწოდა, მონტანიოლას განაპირა ტყეში, ლუგანოს ტბის თავზე მეგობრისთვის ააშენა ჰანს კ. ბოდმერმა. მშენებლობა 1930-იდან 1931 წლამდე გაგრძელდა. სახლის კურთხევა და ახალი მფლობელისადმი გადაცემა მოხდა 1931 წლის 10 აგვისტოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს დღე ორშაბათი იყო. სავარაუდოა, რომ მწერალმა წინდაწინ იცოდა, როდას მოხდებოდა „კასა-ჰესეს“ გადაცემის ცერემონიალი და ეს დღე თავისებური სიტყვათა თამაშით უკვდავყო თავის ნაწარმოებში.

გვ. 47. ...რომ მსოფლიო ომის ზოგიერთი ფაზაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ძმობის ისტორიის საფესურები... — ჰესეს თვალსაზრისით, კაცობრიობის ისტორიაში განმსაზღვრელია სულის განახლება-ცვალებადობის პროცესი, ხოლო მსოფლიო ისტორია, აგრეთვე ომი და პოლიტიკაც, სულის ამ განვითარების მხო-

ლოდ ერთ-ერთ ცალკეულ გამოვლენას, მის გამედავნებასა და სილვადქმნას წარმოადგენს. პესე წერდა: „ყოველი საგანი დედამიწაზე ორმაგად ავლენს თავს, ერთი მხრივ იგი თითქოს ამქვეყნისაა, მეორე მხრივ კი — არა ამქვეყნის. ხოლო ეს ქვეყანა არის ის, რაც ჩვენ გარეთაა, ყველაფერი ის, რაც ჩვენ გარეთაა შეიძლება მტრად, შეიძლება ხიფათად, შიშსა და სიკვდილად გვექცეს. მხოლოდ იმის ცოდნით, რომ ყოველივე ეს გარეგნული არა მხოლოდ ჩვენი შეგრძნებების შედეგია, არამედ ჩვენივე სულის ქმნილებაა, მხოლოდ ამ გარეგნულის შინაგანად, ქვეყნის „მედ“ გარდაქცევით იწყება „ნათება“. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ სიტყვების ავტორს მსოფლიო ომიც, რომელიც ერთი შეხედვით „გარეგნული“ მოვლენაა, სულის განვითარების, ანუ ძმობის ისტორიის ერთ-ერთ საფეხურად მიაჩნდა.

ტრისტრამ შენდი — ლოურენს სტერნის ამავე სახელწოდების რომანის გმირი.

გვ. 51. ზაილერ გრაბ ენის 69 — ზაილერგრამენის ქუჩა რეალურად არსებობს ციურისში. 69 მისი უკანასკნელი ნომერია. თუმცა დღემდე არ არის დადასტურებული, რომ იქ პესეს ვინმე ნაცნობს ეცხოვოს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქუჩის დასახელების ეტიმოლოგია („Seil“ გერმანულად თოკს, ბაგირს ნიშნავს; „Seiler“ — თოკის მგრეხავს), როგორც იგი პესეს ნაწარმოებშია ნახმარი (ქვემოთ მკითხველი ალბათ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ლეო დაგრეხილი ბაწრისძირიან ფეხსაცმელს ატარებს), გარკვეულად დაკაგშირებულია ფრიდრიხ ნიცშეს ერთ ცნობილ გამონათქვამთან: „ადამიანი თოკია, გაჭიმული ცხოველსა და ზეკაცს შორის... ადამიანის სიდიადე ისაა, რომ იგი ხიდია და არა მიზანი. ადამიანი სწორედ იმისთვის უნდა გიყვარდეს, რომ იგი გადასასვლელი და ჩასასვლელია“. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აღმოსავლურ, კერძოდ ძველ ინდურ მეტაფორიკაში „თოკი“ და „ძაფა“ ღმერთის ატრიბუტებია და მის ძლიერებას განასახიერებენ, ხოლო ამერიკელი მეცნიერი ი. ზიოლკოვსკი თოკის სიმბოლიკას პესეს მოთხოვობაში თოკის მგრეხავ ოკნოსის მითოსს უკავშირებს. რაც შეეხება სახლის ნომერს, ამერიკელი მეც-

ნაერის მიდლტონის აზრით, „ა“ როგორც ანბანის პირველი ასო, გზის დასაწყისზე მიუთითებს, ხოლო, ციფრი 69, რომელიც თავდაყირა რომ გადმოატრიალო, მნიშვნელობას არ ჟეიცვლის, სიმბოლურ რიცხვს წარმოადგენს „მოგზაურობის“ პერაკლიტური გაგებისთვის. იგი მიუთითებს იმაზე, რომ მოგზაურობა ზევით და ქვევით ერთი და იგივეა. ადსანიშნავია, რომ პესეც, რაკი „მოგზაურობა“ მისთვის უწინარეს ყოვლისა „სულის თავგადასავალს“ გულისხმობს, სასოწარკვეთას (ძირს) და რწმენას (მწვერვალს) ურთიერთგამომრიცხავ მდგომარეობებად კი არ მიიჩნევს, არამედ ერთიანი დიალექტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილებად, სადაც ჩამოვარდნა აღმაფრენის იდენტურია.

გვ. 55. ...ვითარცა ფრინველის გალობა — შეგახსენებთ მკითხველს, რომ „ფრინველის გალობა“ პესესთვის სულის წიაღიდან მომავალი ხმაა, რომელიც ადამიანს საკუთარ შიდასამყაროში მოგზაურობასა და ფსიქიკური ტოტალობის შეცნობას მოუწოდებს (შდრ. ფრინველის გალობა პესეს ზღაპრის „ირისის“ ფინალში).

გვ. 57. წმინდა პავლეს კარიბჭეს თან — შესაძლოა ეს დეტალი შეიცავს მინიშნებას პავლე მოციქულის მოქცევაზე. როგორც ცნობილია, პავლე მოციქული ადრეული ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ დამასკოში მოგზაურობის შემდეგ, როცა მას გზად ქრისტე გამოეცხადა, მისი უერთგულესი მიმდევარი გახდა.

გვ. 59. მეფე დავითი (IX ს. ჩვ. წ.-მდე — ბიბლიის მიხედვით, ისრაელის მეორე მეფე. მას მიაწერენ ფსალმუნთა ავტორობას.

გვ. 60. „მაგრამ ცხოვრება რომ მხოლოდ თამაში არაა...“ — თამაშის, ვითარცა არსებობის ფორმის თემა, რომელიც წამყვანია პესეს ორ უკანასკნელ ნაწარმოებში, მწერალს აახლოვებს თანამედროვე პოლანდიელ მოაზროვნე იოპან პოიზინგასთან (შდრ. პოიზინგას ტრაქტატი „Homo Ludens“).

გვ. 72. ვაჟუდევა — პესეს მოთხრობის „ზიდპართას“ პერსონაჟი, ბრძენი მებორნე, ზიდპართას მასწავლებელი.

გვ. 75. ქრისტიანოსი — ოქროპირი. „ქრიზოს“

ბერძნულად ოქროს ნიშნავს და რთული სიტყვების დასაწყისში ამ სიტყვის ოქროსადმი მიმართებაზე მიუთითებს. ამ გარემოებას პესესთვის იმდენად ენიჭება მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თხრობაში ხშირად მიმართავს ალქიმიურ სიმბოლოებს. ამ სიმბოლოების ინტერპრეტაციისას პესემ, როგორც ვიცით, განიცადა იუნგიანობის გარკვეული ზეგავლენა, ხოლო იუნგის მიმდევრები შუა საუკუნეების ქიმიურ ცდებში „ინდივიდუაციის“ პროცესის პროექტიას ჭვრეტდნენ – პროცესისა, რომლის საბოლოო მიზანს ფსიქიკური მყოფობის იდუმალი ცენტრის მიღწევა წარმოადგენს. პერმეტიულ სიმბოლიკაში ამ სულიერი არსებობის მაგაურ ცენტრს ჩვეულებრივ „ოქროთი“ აღნიშნავდნენ. ამდენად „ოქრო“ აქ, და ასევე პესესთვისაც, არის არა უბრალოდ კეთილშობილი ლითონის აღმნიშვნელი ცნება, არა *aurum vulgi*, არამედ ერთგვარი ტრანსცენდენტული სიმბოლო, სულის იმ სრულყოფილებისა და მთლიანობის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლისადმიც ისწრაფვის ძმობის ყველა წევრი. შესაძლებელია, რომ ქრიზოსტომოსი შეიცავს მინიშნებას მეოთხე საუკუნას კონსტანტინოპოლის პატრიარქზე იოანე ქრიზოსტომუსზე (იოანე ოქროპირი), რომელიც გამოჩენილი მქადაგებელი იყო და მოქადაგეთა მფარველ წმინდანად არის შერაცხული (შდრ. აგრეთვე „გოლდმუნდის“ ეტიმოლოგია;).

**გვ. 77. Archiepisc. XIX. Diacon. D. VII** – არქიეპისკოპოსი უმაღლესი წოდებაა სახულიერო იერარქიაში, ხოლო დიაკონი, რაც მღვდლის მსახურს ნიშნავს – უმდაბლესი. ამრიგად, ეს წარწერა მიგვანიშნებს იმასაც, რომ ლეო რეალურ ცხოვრებაში მსახური იყო და იმასაც, რომ სწორედ ამ მსახურების ძალით იგი სულის სფეროში მმათა ეზოთერულ გაერთიანებას უდგა სათავეში. *Ammōn* (*Hammōn*) – სიცოცხლისა და ნაყოფიერების ღმერთი თებეში; რომში ცხობილი იყო იუპიტერ ამონის სახელით. ამონის საკრალური ცხოველია ვერძი, რომელსაც დიდი დაგრეხილი რქები აქვს.

**გვ. 80. „პაბლოდ გადაცმული მოცარტი...“** – პესეს რომანის „ტრამალის მგლის“ ფინალში ირკვევა, რომ

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი პაბლი და მოცარტი ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა.

გვ. 84. „...ა მ თ ქ ვ ე ნ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი თ ფ ე ხ ქ ვ ე შ გ ა თ ე ლ ე თ ძ მ თ ბ ი ს ძ ი რ ე უ ლ ი მ თ თ ხ თ ვ ნ ე ბ ი დ ა წ ე ს ე ბ ი“ — ძმობის ძირითადი წესები ამრიგად ითვალისწინებენ მოთმენის უნარს, მოწიწებას ადამიანური სულის ქმნილებათა წინაშე და მჭვრეტელობას. ამ უკანასკნელს, რომელსაც იგი სხვა ადგილას „სულის პიგიენას“ უწოდებს, პესე გვიანდელ შემოქმედებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ადამიანმა, პესეს აზრით, მჭვრეტელობა ისეკი უნდა შეუნაცვლოს აქტიურ, ქმედით ცხოვრებას, როგორც ჩასუნთქვა ენაცვლება ამოსუნთქვას. 1946 წლის ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „ჩვენ საკმარისი მაგალითი ვნახეთ ამ უკანასკნელ ათწლეულებში იმისა, თუ სად მივყავართ მჭვრეტელობის უგულებელყოფას ხალისიანი მოქმედების სასარგებლოდ: ცარიელი დინამიზმის გაღმერთებასთან და, ვინ იცის, „საშიში ცხოვრების“ ქებასთანაც, მოკლედ რომ ვთქვათ, ადოლფთან და ბენიტოსთან“.

გვ. 87. „...ს ა ს თ წ ა რ კ ვ ე თ ა ა რ ი ს შ ე დ ე გ ი...“ — სასოწარკვეთა პესეს ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა. პესეს მიერ შედგენილი „ადამიანად ქმნადობის“ ფსიქოგრაფიული სქემის მისედვით, რომელიც მოიცავს ესთეტიკურ, ეთიკურ და რწმენის საფეხურებს, სასოწარკვეთით, მთავრდება აზამიანის სულიერი განვითარების მეორე, ეთიკური სტადია. პესე წერს: „ადამიანად ქმნადობის გზა უმანკოებით იწყება (სამოთხე, ბავშვობა, პასუხისმგებლობას მოკლებული წინასტადია). აქედან მას მივყავართ დანაშაულისკენ, კეთილისა და ბოროტის შეცნობისკენ, კულტურის, მორალის, რელიგიისა და კაცობრიობის სხვა იდეალების მიერ წაყენებული მოთხოვნებისაკენ. ყოველი ადამიანისთვის, ვინც ამ საფეხურს სრული სერიოზულობით განვლის, ისე როგორც ეს ოვითმყოფ პიროვნებას შეუფერება, იგი აუცილებლად სასოწარკვეთით მთავრდება, სახელდობრ იმის შეცნობით, რომ სათნოების განსორციელება, სრული მორჩილება, ნამდვილი მსახურება შეუძლებელია,

რომ სამართლიანობა მიუწვდომელია, რომ სიკეთე ჰდუსრულებელია” (იხ. „ცოტაოდენი თეოლოგია“, 1932).

გამოღვიძებული — „გაღვიძებას“ პესე უწოდებს იმ წამიერ გასხივოსნებას, როცა ადამიანი ინტენსიურად შეიგრძნობს სამყაროს მაჯისცემას და „თვალი ეხილება“ არ სებობის მანამდე უსილავ და გონებით აღუქმელ რეალიებზე, როცა ის, ასე ვთქვათ, უამთა მდინარების მიღმა დგას, სამყაროს სტეროთა პარმონიას „ჭვრეტს“ “და თვითონაც გამსჭვალულია ამ პარმონიისადმი თანაზიარების განცდით.

გვ. 90. „ჩემს წინაპარს ეობანს წავაწყდი...“ — პესე აქ გულისხმობს აღორძინების ხანის პოეტსა და პუმანისტს ეობანუს პესუსს (1466—1540).

*Chattorum* — ეს სიტყვა სულ ცოტა ორ მინიშნებას შეიცავს. პირდაპირი მნიშვნელობით „ხატები“ ერთ-ერთი გერმანიკული ტომის — თანამედროვე პესენთა — ლათინური სახელწოდებაა, რომელთანაც დაკავშირებულია ტომის გერმანული დასახელების და, აგრეთვე, ისეთი გვარების წარმოშობა, როგორიცაა პესი, პესე, პესენი. ამასთან დაკავშირებით, ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს პესე მოგონებაში „შეწყვეტილი გაკვეთილი“. იგი აქ წერს, რომ გიმნაზიაში მას ლათინურის მასწავლებელი თურმე სუმრობით „*Chattus*“-ს ეძახდა ხოლმე. მეორე მინიშნება, რომელსაც შეიცავს ეს ლათინური ფორმა, დაკავშირებულია კატის სიმბოლოსთან და მიუთითებს პ.პ.-ს ლეოსთან იდენტურობაზე. ასოციაციური კავშირი ხატება (*Chatti, Catti*) და კატას (*Catus Catta*) შორის ძველი და საყოველთაოდ აღიარებულია. როგორც ჩანს, იგი ცნობილი ყოფილა მწერლისთვისაც, რომელსაც იგი მისთვის ჩვეული იუმორით გამოუყენებია თავის ნაწარმოებში.

*Calv* (კალვი) — ქალაქი მდინარე ნაგოლდზე შვაბიაში, სადაც დაიბადა პერმან პესე.

*infid. 49* — „*infidelis*“ არასანდოს, ურწმუნოს, მერყევს და წარმართს ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, თ. ზიოლკოვსკი ვარაუდობს, რომ რიცხვი „49“ მიუთითებს ავტორის ასაკზე, როდესაც მან დაკარგა რწმენა და სასოწარკვეთას მიეცა (ე. ი. 1926 წელზე).

**გვ. 94.** გილსონის გაქცევა — იგულისხმება ამერიკის პრეზიდენტი თომას უდილო გილსონი (1856—1924), რომელიც 1914—1918 წლებში სოციალურ რეფორმებზე დაკრდნობით ცდილობდა დემოკრატიული პოლიტიკის გატარებას, მაგრამ ომის შემდეგ უღალატა „თოთხმეტი პუნქტის პროგრამაში“ (8.1.1918) ჩამოყალიბებულ სამართლიანი მშვიდობის პრინციპებს. სავარაუდოა, რომ პესეს სწორედ ეს პროგრამა აქვს მსედველობაში, როცა დემოკრატიული მსოფლიოს იდეაზე ლაპარაკობს (როგორც ცნობილია, ამ პროგრამისთვის გილსონს 1919 წელს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა), ხოლო მომდევნო წლებში ანტანტის სახელმწიფოების ზეგავლენის შედეგად საკუთარ იდეალებზე უარის თქმას მწერალი „გაქცევას“ უწოდებს.

**გვ. 98.** „მისდავერას აღთრდინებად, ხოლო ჩემდა მოგლებად“ — ციტატი სახარებიდან (იოან. 3.30).

რეზო ყარალაშვილი